ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—68
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34,
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთა 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 18—80.

ოთხშაბათი 21 აპრილი, 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 89 (1544)

დ ღ ი უ რ ი

- გადადგა პოლონეთის მთავრობა.
- შეწყდა მოლაპარაკება აბდ-ელ-ქერიმსა და ესპანეთ-საფრანგეთს შორის.
- ინგლისსა და ოსმალეთს შორის გრძელდება მოლაპარაკება მოსულის საკითხის გარშემო.
- პარიზის სასამართლოში დაიწყო კომუნისტ კლერკის და ბერნარდონის საქმის გარჩევა.
- ინდოეთში გაფიცვა გამოაცხადა 35 ათასმა მუშამ.
- რუმინეთის ესკადრა აპირებს იტალიის წყლებში ჩასვლას.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა

ამხ. სტალინის მოხსენება ცეკას პლენუმის შესახებ ლენინგრადის პარტაქტივის კრებაზე

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორი ხანა.-სოციალისტური დაგროვების საკითხი.-დაგროვილ დოვლათის მიზანშეწონილი გამოყენება.-უნდა შევქმნათ ინდუსტრიის მშენებელთა კადრი.-მუშების და გლეხების კავშირი.-შინაპარტიული დემოკრატიის საკითხი.

ცეკას პლენუმის დღის წესრიგი

მოსკოვი, 20 აპრილი. ამხანაგებო! ნება მომეცით შევუდგე მოხსენებას.

ჩვენი პარტიის ცეკას აპრილის პლენუმის დღის წესრიგი შესდგებოდა 4 მუხლისაგან.

პირველი მუხლი შეეხებოდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობას და ჩვენი პარტიის სამეურნეო პოლიტიკას.

მეორე მუხლი—ჩვენი პურის დამამზადებელი აპარატების რეორგანიზაციას, მათს გამარტივებასა და გაუმჯობესებას.

მესამე მუხლი— ჩვენი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცეკას პლენუმის მუშაობის გეგმას 1926 წლისათვის, სამეურნეო აღმშენებლობის ძირითადი და მთავარი საკითხების თვალსაზრისით.

მეოთხე მუხლი—ცენტრალური კომიტეტის მდივნის ევდოკიმოვის ადგილზე შვერნიკის დანიშვნას.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ საკითხს—ერთი მდივნის მეორეთი შეცვლას--ყველა დანარჩენი საკითხები, რომელთა ირგვლივ სწარმოებდა კამათი ცეკას პლენუმზე, წარმოადგენენ ერთ მთავარ საკითხს—ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობას და პარტიის პოლიტიკას. ამიტომ ჩემს მოხსენებაში მე შევეხები ამ ძირითად საკითხს—ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობას.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორი ხანა

ძირითადი ფაქტი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს პოლიტიკას, მდგომარეობს იმაში, რომ სამეურნეო განვითარების პროცესში ჩვენი ქვეყანა გადავიდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ახალ ხანაში, უშუალო ინდუსტრიალიზაციის ხანაში.

5 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვლადიმერ ილიჩმა აღიარა ახალი ეკონომიური პოლიტიკის აუცილებლობა. ძირითადი ამოცანა, რომელიც მაშინ ჩვენს წინაშე, პარტიის წინაშე იდგა, მდგომარეობდა იმაში, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, საქონლის ბრუნვის გაფართოების პირობებში, აგვეგო სახალხო მეურნეობის სოციალისტური საძირკველი. ეს სტრატეგიული ამოცანა ამ ჟამადაც სდგას ჩვენს წინაშე. ამ ძირითად ამოცანას მაშინ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში, დაწყებული 1921 წლიდან ჩვენ უპირველეს ყოვლისა ვუდგებოდით სასოფლო-მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით.

ლენინი ამბობდა: ჩვენი ამოცანაა—სახალხო მეურნეობის სოციალისტური საძირკვლის აგება. ასეთი საძირკვლის ასაგებათ საჭიროა განვითარებული ინდუსტრია, განვითარებული მრეწველობა, რადგან მრეწველობა არის სოციალიზმის, სოციალისტური აღმშენებლობის თავი და ბოლო. ინდუსტრიის განვითარებისათვის, საჭიროა სასოფლო-მეურნეობის აღორძინება. რატომ? იმიტომ, რომ მრეწველობის გაფართოება-განვითარებისათვის იმ ეკონომიური ნგრევის პირობებში, რომელსაც ჩვენ მაშინ განვიცდიდით, საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, ნედლი მასალის მარაგი შეგვექმნა ჩვენი მრეწველობა- ინდუსტრიისათვის. არ შეიძლება მრეწველობის განვითარება ცარიელ ადგილზე. არ შეიძლება ინდუსტრიის განვითარება, თუ არ გვექნება ნედლი მასალა, არ გვექნება სურსათი მუშებისათვის, თუ არ გვექნება განვითარებული სასოფლო-მეურნეობა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის ძირითად ბაზარს.

მაშასადამე ინდუსტრიის განვითარებისათვის საჭირო იყო სამი წინასწარი პირობა: 1) შინაური ბაზარი; ის ჩვენში უმთავრესად გლეხურია; 2) ასე თუ ისე განვითარებული სასოფლო-მეურნეობა; 3) საჭირო იყო, რომ სოფელს შეძლება ჰქონოდა გამოეყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ერთგვარი მინიმუმი მრეწველობის და მუშების დასაკმაყოფილებლად.

აი რატომ ამბობდა ლენინი, რომ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური საძირკველის აგება, ინდუსტრიის აგება, ჩვენ უნდა დავიწყოთ სასოფლო-მეურნეობიდანო.

აი რაში მდგომარეობს შინაარსი და მთავარი აზრი იმ ლოზუნგისა, რომელიც წამოაყენა მეთოთხმეტე პარტყრილობამ და ცხოვრებაში ტარდება ამჟამად. ამ მთავარი ლოზუნგით ხელმძღვანელობდა თავის მუშაობაში ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმი. მაშასადამე მორიგი ძირითადი ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ დავაჩქაროთ ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი და წინ წავსწიოთ მთელი ჩვენი ინდუსტრია, გამოვიყენოთ არსებული რესურსები და ამით დავაჩქაროთ მეურნეობის განვითარება მთლიანად.

ეს ამოცანა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს სწორედ ეხლა, იმიტომ, რომ ჩვენში მეურნეობის განვითარების გამო შეიქმნა ერთგვარი შეუსაბამობა მრეწველობის ნაწარმოების მოთხოვნილებასა და მრეწველობის მხრივ ამ ნაწარმოების მიწოდებას შორის. მოთხოვნილება მრეწველობის პროდუქტებზე იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე თვით მრეწველობა. ჩვენში არსებული საქონლის სიმცირე, ყველა მისი შედეგებით წარმოადგენს ამ შეუსაბამობის გამოხატულებას და შედეგს.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ჩვენი მრეწველობის სწრაფი განვითარება არის ამ შეუსაბამობის ლიკვიდაციის და საქონლის სიმცირის მოსპობის საუკეთესო საშუალება.

ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ ინდუსტრიალიზაცია ჰგულისხმობს ყოველგვარი მრეწველობის განვითარებას. არიან ისეთი გულუბრყვილოებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჯერ კიდევ ივანე მრისხანე, რომელმაც შექმნა მრეწველობის ერთგვარი ჩანასახი, ინდუსტრიალისტი იყო. თუ წავალთ ამ გზით, მაშინ პეტრე დიდს პირველი ინდუსტრიალისტი უნდა ვუწოდოთ. ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. მრეწველობის ყოველგვარ განვითარებას როდი ეწოდება ინდუსტრიალიზაცია. ინდუსტრიალიზაციის ცენტრს, მის საფუძველს წარმოადგენს მძიმე მრეწველობის განვითარება, საკუთარი მანქანის მშენებლობის, საწარმოო იარაღების დამზადების განვითარება.

ინდუსტრიალიზაციის მიზანს შეადგენს არა მარტო ის, რომ გაადიდოს ჩვენს სახალხო მეურნეობაში მრეწველობის წილი, არამედ მისი ამოცანაა აგრეთვე, რათა ამ განვითარების პროცესში უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა მსოფლიო კაპიტალიზმისაგან. პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას, რომელიც გარშემორტყმულია კაპიტალისტური მსოფლიოთი, არ შეუძლია შეინარჩუნოს ეკონომიური დამოუკიდებლობა, თუ ის თვით არ ამზადებს საწარმოო იარაღებს, თუ ის გაიყინა განვითარების იმ საფეხურზე, სადაც მისი მეურნეობა დამოკიდებულია კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებისაგან, რომლებიც ამზადებენ საწარმოო იარაღებს როგორც საკუთარი საჭიროებისათვის, ისე საექსპორტოთ. ამ საფეხურზე გაყინვა ნიშნავს მსოფლიო კაპიტალიზმისადმი დაქვემდებარებას.

აიღეთ ინდოეთი. ყველამ ვიცით, რომ ინდოეთი ახალშენია. აიღეთ ინგლისის კონცესიები ჩინეთში (დამახინჯებულია).. ახალშენის უფლებებით. არის თუ არა ინდოეთში აღებულ კონცესიებში მრეწველობა? თავისთავად ცხადია, არის. ვითარდება თუ არა ის? ვითარდება. მაგრამ იქ ვითარდება ისეთი მრეწველობა, რომელიც არ ამზადებს საწარმოო იარაღებს და საშუალებებს. იქ საწარმოო იარაღები შემოაქვთ ინგლისიდან. ამიტომ, თუმცა, რასაკვირველია, არა მხოლოდ ამიტომ, იქ მრეწველობა მთლიანად ინგლისის ინდუსტრიას ემორჩილება. ეს იმპერიალიზმის განსაკუთრებული მეთოდია—ახალშენებში მრეწველობის განვითარება იმგვარათ, რომ ის მეტროპოლიისაგან იყოს დამოკიდებული. მაგრამ აქედან გამოდის დასკვნა, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია არ ამოიწურება ყოველგვარი მრეწველობის განვითარებით—მაგალითად მსუბუქი მრეწველობის განვითარებით, თუმცა მსუბუქი მრეწველობა და მისი განვითარება ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. აქედან სჩანს, რომ ინდუსტრიალიზაცია ჩვენ უპირველეს ყოვლისა უნდა გვესმოდეს, როგორც მძიმე მრეწველობის განვითარება, განსაკუთრებით, როგორც საკუთარი მანქანების აღმშენებლობის, ინდუსტრიის ამ ძირითადი ნერვის განვითარება. უამისოდ ზედმეტია ლაპარაკი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის შესახებ.

სოციალისტური დაგროვების საკითხი

მაგრამ, ამხანაგებო, იმისთვის, რომ ინდუსტრიალიზაცია წავსწიოთ წინ, საჭიროა ჩვენი ქარხნების ძველი მოწყობილობის განახლება, და ახალი ქარხნების აგება. ჩვენი მრეწველობის განვითარების იმ ხანას, რომელსაც ჩვენ ეხლა განვიცდით, ახასიათებს ის, რომ ჩვენ უკვე დავტვირთეთ ძველი ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც ჩვენ დაგვიტოვა მეფის რუსეთმა, დავტვირთეთ სავსებით, და ეხლა იმისთვის, რომ წავიდეთ წინ, საჭიროა ტეხნიკის გაუმჯობესება, საჭიროა ძველი ქარხნების გადახალისება და ახლების აგება. უამისოთ შეუძლებელია წინსვლა.

მაგრამ იმისთვის, რომ განვაახლოთ ჩვენი მრეწველობა ახალი ტეხნიკის საფუძველზე, საჭიროა, ამხანაგებო, მნიშვნელოვანი კაპიტალები. ამ მხრივ კი ჩვენ, როგორც ვიცით, ღარიბნი ვართ.

წელს ჩვენ შევსძლებთ მრეწველობის კაპიტალურ ხარჯებში დავაბანდოთ 800 მილიონ მანეთზე მეტი. ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა. მაგრამ ეს ცოტა რამ მაინც არის. ეს არის პირველი დიდი თანხა, რომელსაც ვხარჯავთ მრეწველობისათვის.

მე ვამბობ, ეს ცოტაა, იმიტომ რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლო ორჯერ მეტი თანხის შთანთქმა. **ჩვენ უნდა განვავითაროთ მრეწველობა, უნდა გავაფართოვოთ ჩვენი ინდუსტრია ჩქარის ტემპით,** გავადიდოთ მუშების რიცხვი ორჯერ, სამჯერ. ჩვენ უნდა გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად და რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესია.

მაგრამ ყველაფერ ამისათვის საჭიროა დიდი თანხები. ამიტომ დოვლათის დაგროვების, **სოციალურ დაგროვების საკითხს ჩვენში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა.**

შეგვიძლია თუ არა ჩვენ საკუთარი ღონით, უცხოეთში სესხის აუღებლად, ჩვენი ქვეყნის შინაურ ძალების საფუძველზე უზრუნველვყოთ ისეთი დაგროვება, ისეთი რეზერვები, რაც საჭიროა ინდუსტრიალიზაციის გასატარებლათ, სოციალურ მშენებლობის გასამარჯვებლად ჩვენს ქვეყანაში.

ეს საკითხი მეტად სერიოზული საკითხია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ისტორიამ იცის. ინდუსტრიალიზაციის სხვადასხვა საშუალებები. ინგლისში ინდუსტრია განვითარდა იმის წყალობით, რომ იგი სძარცვავდა კოლონიებს ათეული და ასეული წლების განმავლობაში, აგროვებდა იქ დამატებით კაპიტალს, აბანდებდა მას თავის მრეწველობაში და აჩქარებდა თავის ინდუსტრიალიზაციის ტემპს. ეს არის ინდუსტრიალიზაციის ერთი საშუალებათაგანი. გერმანიამ დააჩქარა თავისი ინდუსტრიალიზაცია საფრანგეთთან ძლევა-მოსილ ომის შემდეგ წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როდესაც მან აიღო ფრანგებისაგან 5 მილიარდი კონტრიბუცია და დააბანდა იგი თავის მრეწველობაში. ეს არის ინდუსტრიალიზაციის მეორე საშუალება. ორივე ეს საშუალება ჩვენთვის მოსპობილია, რადგან ჩვენ ვართ საბჭოთა ქვეყანა, რადგან კოლონიალური ძარცვა-გლეჯა და ომები არ შეეფერება საბჭოთა ხელისუფლების ბუნებას. ძველი რუსეთი კონცესიებს აძლევდა უცხოელებს, სესხებს ღებულობდა მონურ პირობებში და ამგვარად სცდილობდა დამდგარიყო ინდუსტრიალიზაციის გზაზე. ეს არის მესამე საშუალება. მაგრამ ეს არის მონობის და ნახევრად მონობის გზა, რუსეთის ნახევრად კოლონიად გადაქცევის გზა. ეს გზაც დახურულია ჩვენთვის. ამისთვის კი არ გვიწარმოებია ჩვენი 3 წლის სამოქალაქო ომი, მოგვიგერიებია ყოველგვარი ინტერვენციონისტები, რომ შემდეგ, ინტერვენციონისტებზე გამარჯვების შემდეგ, ნებაყოფლობით ჩავარდეთ იმპერიალისტების მონობაში.

რჩება ინდუსტრიალიზაციის მეოთხე გზა, საკუთარი დოვლათის, სოციალური დაგროვების გზა, რომელზედაც არა ერთხელ მიუთითებია ლენინს; ეს არის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ერთად-ერთი გზა.

ამგვარად, შეიძლება თუ არა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია სოციალისტურ დაგროვების საფუძველზე? გვაქვს თუ არა ჩვენ საკმარისად ასეთი ინდუსტრიალიზაციის წყაროები.

დიახ, შესაძლებელია. დიახ, ჩვენ მოგვეპოვება ასეთი წყაროები.

მე შემეძლო მიმეთითებია ისეთ ფაქტებზე, როგორც მემამულეების და კაპიტალისტების ექსპროპრია[illegible] ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, კერძო საკუთრების მოსპობა მიწაზე, ფაბრიკებსა და ქარხნებზე, მათი გადაცემა ხალხისათვის. ზედმეტია იმის დამტკიცება, რომ ეს ფაქტი წარმოადგენს დაგროვების საკმაოდ დიდ წყაროს.

მე შემეძლო მიმეთითებია ისეთ ფაქტებზედაც, როგორც მეფის ვალების გაუქმება, რამაც ჩვენ სახალხო მეურნეობას მოაშორა რამდენიმე მილიარდი მანეთის გადახდის სიმძიმე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ვალების ცნობის შემდეგ ჩვენ მოგვიხდებოდა ყოველ წელს რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის გადახდა მხოლოდ პროცენტების სახით. რაც დიდ ზიანს მიაყენებდა ჩვენს მრეწველობას, ჩვენს სახალხო მეურნეობას. ზედმეტია ლაპარაკი, რომ ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ჩვენში დაგროვების საქმეს.

მე შემეძლო მიმეთითებია ჩვენს ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობაზე. რომელიც აღორძინდა და იზრდება, რომელიც იძლევა ერთგვარ მოგებას მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ესეც დაგროვების წყაროებია. მე შემეძლო მიმეთითებია ჩვენს ნაციონალიზაციაქმნილ საგარეო ვაჭრობაზე, რომელიც იძლევა ერთგვარ მოგებას, რომელიც მაშასადამე, წარმოადგენს დაგროვების წყაროს. შეიძლებოდა მიგვეთითებია ასე თუ ისე მოწყობილ საშინაო ვაჭრობაზე, რომელიც აგრეთვე იძლევა განსაზღვრულ მოგებას და რომელიც წარმოადგენს აგრეთვე დაგროვების ერთგვარ წყაროს. შეიძლებოდა მიგვეთითებია დაგროვების ისეთ წყაროზე, როგორიცაა ჩვენი საშინაო სისტემა, რომელიც იძლევა განსაზღვრულ მოგებას და შეძლებისდაგვარად კვებავს ჩვენს მრეწველობას. ბოლოს ჩვენ გვაქვს ისეთი იარაღი, როგორიცაა სახელმწიფო ხელისუფლება, რომლის განკარგულებაშია სახელმწიფო ბიუჯეტი და რომელიც აგროვებს ფულებს სახალხო მეურნეობის და განსაკუთრებით ჩვენი ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის.

ასეთია უმთავრესად ჩვენი შინაური დაგროვების მთავარი წყაროები. ეს წყაროები საინტერესოა იმ მხრივ, რომ საშუალებას გვაძლევენ შევქმნათ ის საჭირო რეზერვები, უომლისოდაც შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. მაგრამ, ამხანაგებო, შესაძლებლობა ჯერ კიდევ რეალობა არ არის. თუ საქმე რიგიანად ვერ დავაყენეთ, დაგროვების შესაძლებლობასა და ნამდვილ დაგროვებას შორის საკმაოდ დიდი მანძილი იქნება.

ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ერთი შესაძლებლობით. ჩვენ უნდა გადავაქციოთ სოციალურ დაგროვების შესაძლებლობა ნამდვილ დაგროვებათ, თუ მართლაც გვინდა საჭირო რეზერვები შევქმნათ ჩვენი ინდუსტრიისათვის.

აქედან გამომდინარეობს საკითხი: როგორ უნდა წავიყვანოთ საქმე, რომ ეს ხელსაყრელი იყოს მრეწველობისათვის; სამეურნეო ცხოვრების რომელ მხარეს უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება, რომ დაგროვების შესაძლებლობა გადავაქციოთ ნამდვილ სოციალისტურ დაგროვებად.

არსებობს დაგროვების სხვადასხვა საშუალება; აქედან უნდა აღვნიშნოთ სამი მთავარი მაინც:

1) საჭიროა, რომ ზედმეტი დაგროვება ქვეყანაში არ დაიქსაქსოს, არამედ საკრედიტო, კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებებში შევიდეს და აგრეთვე შინაური სესხის სახით უწინარეს ყოვლისა მრეწველობას მოხმარდეს. თავისთავად ცხადია, რომ შემნახველებს უნდა ეძლეოდეთ განსაზღვრული პროცენტი. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგში საქმე ჩვენში დამაკმაყოფილებლად იყოს. მაგრამ ჩვენი საკრედიტო ქსელის გაუმჯობესების, მოსახლეობის თვალში საკრედიტო დაწესებულებათა ავტორიტეტის აწევის, შინაურ სესხების ორგანიზაციის ამოცანა, ეჭვს გარეშეა, სდგას ჩვენს წინაშე, როგორც მორიგი ამოცანა და ჩვენ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავსწრათ იგი.

2) საჭიროა მჭიდროთ დაიხუროს ყველა ის ხვრელები, რომლის საშუალებითაც დაგროვილ დოვლათის ნაწილი გადადის კერძო კაპიტალის ხელში და ამგვარად ზარალი ადგება სოციალურ დაგროვებას. ამისათვის საჭიროა ვაწარმოოთ ფასების ისეთი პოლიტიკა, რომელიც ასეთ დიდ უფსკრულს არ შექმნიდა საბითუმო და საწვრილმანო ფასებს შორის. უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები მრეწველობის პროდუქტების საწვრილმანო ფასების დასაკლებად, რათა შევაჩეროთ ან მინიმუმამდე დავიყვანოთ დაგროვილ დოვლათის გადასვლა კერძო პირის ჯიბეში. ეს არის ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა. აქედან გამომდინარეობს სერიოზული საფრთხე როგორც ჩვენი დაგროვებისა, ისე ჩვენი ჩერვონეცისათვის.

3) საჭიროა, რომ თვით მრეწველობაში, ყოველ მის დარგში გროვდებოდეს განსაზღვრული მარაგი წარმოებათა ამორტიზაციისათვის, მათ გასაფართოებლად. ეს საქმე ძალიან საჭირო საქმეა და იგი წინ უნდა წავსწიოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

საჭიროა, რომ სახელმწიფოს ხელში გროვდებოდეს განსაზღვრული რეზერვები, რაც საჭიროა ქვეყნის დასაზღვევად ყოველგვარ შემთხვევით მოულოდნელობისაგან, მრეწველობის ასაღორძინებლად, სასოფლო მეურნეობის და კულტურის განსავითარებლად. ეხლა ურეზერვოდ მუშაობა და ცხოვრება არ შეიძლება; გლეხსაც კი არ შეუძლია იცხოვროს ურეზერვოთ, მით უმეტეს არ შეუძლია იცხოვროს ურეზერვოთ დიდი ქვეყნის სახელმწიფოს.

ჩვენთვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ვიქონიოთ რეზერვი საგარეო ვაჭრობაში. ჩვენ უნდა მოვაწყოთ ჩვენი ექსპორტ-იმპორტი იმგვარად, რომ სახელმწიფოს ხელში რჩებოდეს ერთგვარი რეზერვი, განსაზღვრული აქტივი საგარეო ვაჭრობაში. ეს საჭიროა არა როგორც დაზღვევა საგარეო ბაზარზე მომხდარ მოულოდნელობისაგან, არამედ როგორც საშუალება ჩერვონეცის კურსის განსამტკიცებლად. ჩერვონეცის კურსი ჯერ მტკიცეა, მაგრამ იგი შეიძლება შეირყეს, თუ არ მივაღწევთ აქტიურ ბალანსს საგარეო ვაჭრობაში. ექსპორტის გაძლიერება, იმპორტის შეგუება ექსპორტის შესაძლებლობასთან—ასეთია ჩვენი ამოცანა. ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ ისე, როგორც ძველად ამბობდენ:

„თვითონ არა ვსჭამთ და გატანით კი გავიტანთო“.

ჩვენ არ შეგვიძლია ამის თქმა, რადგან მუშებს და გლეხებს ადამიანურად უნდათ ცხოვრება და ჩვენ მათ სავსებით მხარს ვუჭერთ ამ მხრივ. ჩვენ მაინც შეგვეძლო ხალხის მოთხოვნილებათა შეუზღუდავათ მიგვეღო ზომები იმისათვის, რომ ჩვენი ექსპორტი გაიზარდოს, რათა სახელმწიფოს ხელში დარჩეს განსაზღვრული სავალიუტო რეზერვი.

თუ ჩვენ 1923 წელს შევსძელით საბჭოთა ნიშნიდან მტკიცე ვალიუტაზე გადასვლა, ეს, სხვათა შორის, მოხდა იმიტომ, რომ საგარეო ვაჭრობის აქტიური ბალანსის გამო ვალიუტის ერთგვარი მარაგი გვქონდა. თუ გვინდა განვამტკიცოთ ჩერვონეცი, საგარეო ვაჭრობის საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ გვრჩებოდეს სავალიუტო რეზერვი—ჩვენი ჩერვონეცის ბაზისი.

შემდეგ ჩვენთვის საჭიროა ერთგვარი რეზერვები საშინაო ვაჭრობის დარგში. მე მხედველობაში მაქვს, უმთავრესად, პურის რეზერვების შექმნა სახელმწიფოს ხელში კულაკების და პურის სხვა სპეკულიანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს საჭიროა თუნდაც იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ცხოვრების ხელოვნური გაძვირება სამრეწველო ცენტრებში და მუშების ხელფასის საქმის ჩაშლა.

დაბოლოს, ჩვენთვის საჭიროა ისეთი საგადასახადო პოლიტიკა, რომელსაც გადასახადის სიმძიმე გადააქვს მქონებელ ფენების მხრებზე და რომელიც შექმნის სახელმწიფოს ხელში განსაზღვრულ რეზერვს სახელმწიფო ბიუჯეტის დარგში. ჩვენი 4 მილიარდიანი ბიუჯეტის შესრულება გვიჩვენებს, რომ შემოსავალი მეტი იქნება გასავალზე დაახლოებით 100 მილიონი მანეთით. ზოგიერთ ამხანაგებს ეს ციფრი ძალიან დიდათ მიაჩნიათ. მაგრამ, ამხანაგებს მხედველობა ჰღალატობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შენიშნავდენ, რომ 100 მილიონიანი რეზერვი ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა, წარმოადგენს წვეთს ზღვაში. ზოგიერთი ფიქრობს, რომ საერთოთ საჭირო არ არის ეს რეზერვი. როგორ მოვიქცეთ მაშინ, თუ წელს ადგილი ექნება მოუსავლობას ან სხვა რამე უბედურებას? ვისი საშუალებებით დავაღწევთ თავს გაჭირვებას? ჩვენ ხომ ტყუილად დახმარებას არავინ გვაძლევს და არც არავინ მოგვცემს. მაშასადამე, ჩვენთვის საჭიროა საკუთარი მარაგი. თუ წელს, რაიმე მოულოდნელობას ადგილი არ ექნა, ჩვენ ამ რეზერვს მოვახმართ სახალხო მეურნეობას, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობას. ნუ გეშინიათ, ეს რეზერვები არ დაიკარგება.

ასეთია საერთოდ, ამხანაგებო, ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ის უმთავრესი მხარეები, რომელსაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რათა შინაურ დაგროვების შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში გადავაქციოთ ნამდვილ სოციალისტურ დაგროვებად.

დაგროვილ დოვლათისა მიზანშეწონილი გამოყენება

მაგრამ საქმე მხოლოდ დაგროვებით არ ამოიწურება. საჭიროა ვიცოდეთ ამ რეზერვების გონივრულად და ანგარიშიანად ხარჯვა, ისე რომ არც ერთი კაპეიკი ტყუილად არ დაიკარგოს, რათა დაგროვილი დოვლათით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის უმთავრესი მოთხოვნილებანი. ამ პირობების გარეშე ჩვენ დაგვექსაქსება დაგროვილი თანხები სხვადასხვა პატარა და დიდ ხარჯებზე, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ინდუსტრიის განვითარებასთან და მთელი სახალხო მეურნეობის აღორძინებასთან.

საშუალებების გონივრულად და ანგარიშიანად ხარჯვა მნიშვნელოვანი ხელოვნებაა, რომელიც ერთბაშად არავის ეძლევა. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საბჭოთა და კოოპერატიულმა ორგანოებმა თავი ისახელეს ამ მხრივ. პირიქით, გვაქვს საფუძველი განვაცხადოთ, რომ საქმე ჩვენში ამ მხრივ სრულიადაც არ მიდის, როგორც საჭიროა. ამის აღიარება ძნელია, ამხანაგებო, მაგრამ ეს ფაქტია და მას ვერ დაფარავთ ვერავითარი რეზოლიუციებით.

არის შემთხვევები, როცა ჩვენი მმართველი ორგანოები ვარდებიან იმ გლეხის მდგომარეობაში, რომელმაც დააგროვა ცოტაოდენი ფული და იმის [illegible] და განიხილა თავისი მეურნეობა, იყიდა უზარ-მაზარი გრამოფონი და გაღატაკდა. მე უკვე არაფერს ვამბობ დაგროვილ რეზერვების პირდაპირ გაფლანგვის ფაქტებზე, ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის ზოგიერთ ორგანოს უძლურებაზე, ქურდობის ფაქტებზე.

ამიტომ საჭიროა მიღებული იქნას ისეთი ზომები, რაც დაიცავს ჩვენს დოვლათს დაქსაქსვისა, გაფლანგვისა და მიზანშეუწონელი ხარჯვისაგან. საჭიროა უწინარეს ყოვლისა, რომ სამრეწველო გეგმები მუშავდებოდეს არა ბიუროკრატიული მოსაზრებებით, არამედ ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობასთან შეფარდებით და ჩვენი მრეწველობის რესურსების და რეზერვების მიხედვით. არ შეიძლება სამრეწველო მშენებლობის გეგმის დამუშავება ჩამორჩეს მრეწველობის განვითარებას. არ შეიძლება აგრეთვე წინ გადარბენა, სასოფლო მეურნეობისაგან ჩამოშორება, დოვლათის დაგროვების ტემპისაგან ჩამოშორება. ჩვენი საშინაო ბაზრის მოთხოვნილებანი და ჩვენი რესურსების სიდიდე—აი მრეწველობის განვითარების ბაზისი.

ჩვენი ინდუსტრია ეყრდნობა შინაურ ბაზარს. ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარება მოგვაგონებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლის ინდუსტრია განვითარდა საშინაო ბაზრის საფუძველზე, წინააღმდეგ ინგლისის ინდუსტრიისა, რომელიც ემყარება საგარეო ბაზრებს.

ინგლისში მოიპოვება მრეწველობის დარგები, რომელნიც 40—50 პროცენტით საგარეო ბაზრისათვის მუშაობენ. ამერიკა, პირიქით, ჯერ კიდევ ისევ თავის შინაურ ბაზარს და უწინარეს ყოვლისა გლეხთა ბაზარს ემყარება. ამაშია ინდუსტრიის და გლეხთა მეურნეობის კავშირის საფუძველი.

იგივე უნდა ითქვას ჩვენი დაგროვების ტემპზე, ჩვენს განკარგულებაში არსებულ რეზერვებზე. ჩვენში ხშირად უყვართ ფანტასტიურ სამრეწველო გეგმების შედგენა, ანგარიშს არ უწევენ რესურსებს. ადამიანები ივიწყებენ, რომ არ შეიძლება სამრეწველო გეგმების და ფართო (გამოტოვებულია)... შედგენა, ისე თუ არ იქნა რეზერვების ერთგვარი მინიმუმი. ივიწყებენ და ამასთანავე წინ გარბიან. რას ნიშნავს წინ გადარბენა მრეწველობის გეგმების შედგენის საქმეში? ეს იმას ნიშნავს, რომ გეგმებს არ უფარდებ საშუალებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა გააყრუო ძახილით ფართო გეგმის შესახებ, საქმეში ჩააბა ათასი და ათეული ათასი ახალი მუშა, ასტეხო განგაში, და შემდეგ, როდესაც გამოირკვევა საშუალებათა ნაკლებობა, დაითხოვო მუშები, გაუსწორო მათ ანგარიშები, მიიღო დიდი ზარალი და ამით მშენებლობის საქმეში შეიტანო სასოწარკვეთილება და შექმნა პოლიტიკური სკანდალი.

საჭიროა თუ არა ჩვენთვის ეს? არა, ამხანაგებო, ეს ჩვენთვის არ არის საჭირო. ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ ინდუსტრიის განვითარების ტემპს და არც უნდა გავუსწროთ წინ. ჩვენ გვერდით უნდა მივყვებოდეთ ამ განვითარებას, წინ უნდა წავსწიოთ ინდუსტრია ისე, რომ არ ჩამოვაშოროთ ის სახალხო მეურნეობის მთელ სისტემას, რადგან ის ეზიდება, მას მიჰყავს წინ მთელი სახალხო მეურნეობა, რომელშიაც შედის სასოფლო - მეურნეობაც. ის ახდენს მთელი ჩვენი სახ. მეურნეობის რეორგანიზაციას, სწევს წინ სასოფლო-მეურნეობას, აბამს გლეხობას კოოპერაციის საშუალებით სოციალისტური მშენებლობის ფერხულში. მაგრამ ჩვენ მრეწველობას იმ შემთხვევაში შეუძლია ამ ხელმძღვანელი როლის შესრულება, თუ ის არ ჩამოშორდება სასოფლო მეურნეობას, თუ ის შეუთანხმდება რესურსების და რეზერვების დაგროვების ტემპს. არმიის სარდლობა, რომელიც სწყვეტს კავშირს თავის ჯართან, აღარ შეიძლება ჩაითვალოს სარდლობათ. სწორედ ასევე ინდუსტრია, რომელიც შორდება სახ. მეურნეობას და ჰკარგავს კავშირს მასთან. არ შეიძლება იქნეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ ფაქტორად.

აი რატომ არის, რომ სწორი და მიზანშეწონილი გეგმიანობა მრეწველობაში წარმოადგენს აუცილებელ პირობას დაგროვების მიზანშეწონილად გამოყენებისათვის.

გარდა ამისა საჭიროა შემცირება, გამარტივება, გაიაფება და გაჯანსაღება სახელმწიფო კოოპერატიული აპარატის და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი წარმოება - დაწესებულებების. გადაჭარბებული შტატები და უფაიურობა ჩვენს სამმართველო ორგანოებში [illegible] მოვლენად გადაიქცა. ლენინი [illegible] ქვამს, რომ მუშები და გლეხები ვერ აიტანენ ჩვენი სახელმწიფო აპარატის დატვირთვას და სიძვირეს, რომ საჭიროა მისი შემცირება და გაიაფება, ყოველ მიზეზს გარეშე და ყოველგვარი საშუალებით. ამ საქმეს ხელი უნდა მივჰყოთ ბოლშევიკურათ და შემოვიღოთ ეკონომიის უსასტიკესი რეჟიმი. ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ, თუ გვინდა უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის, მრეწველობის განვითარების საქმე.

აი ცოცხალი მაგალითი. ამბობენ, რომ ჩვენი პურის ექსპორტი არახელსაყრელი და შემოუსავლიანია. რატომ არ არის ის ხელსაყრელი? იმიტომ, რომ პურის დასამზადებელ აპარატზე იხარჯება მეტი, ვინემ საჭიროა. ჩვენი საგეგმო ორგანოების გამოანგარიშებით ერთი ფუთი პურის დამზადებისათვის საკმარისია 8 კაპეიკი. სინამდვილეში კი 8 კაპ. მაგიერ იხარჯება 13 კაპეიკი ე. ი. 5 კაპეიკით მეტი. როგორ მოხდა ეს? მოხდა იმიტომ, რომ თვითეული, ცოტათ თუ ბევრად დამოუკიდებელი მუშაკი დამზადების დარგში, სულ ერთია, კომუნისტი იქნება ის თუ უპარტიო, სანამ შეუდგებოდეს პურის დამზადებას, საჭიროდ სთვლის შტატის უზომოთ გადიდებას, სტენოგრაფისტ და მემანქანე ქალების არმიის შექმნას, ავტომობილის შეძენას, მრავალი არა-საწარმოო ხარჯების გაწევას და შემდეგ ანგარიშით გამოდის, რომ ექსპორტი შემოუსავლიანია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენ ვამზადებთ ასეულ მილიონ ფუთ პურს და თვითეულ ფუთზე ზედმეტ 5 კაპ. ვიხდით, დავინახავთ, რომ ათეული მილიონი ამაოდ იხარჯება.

აი სად მიდის და მომავალშიაც წავა ჩვენ მიერ დაგროვილი საშუალებები, თუ უსასტიკეს ზომებს არ მივიღებთ ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმაძღრობის წინააღმდეგ.

მე აქ აღვნიშნე ერთად ერთი მაგალითი. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ასეთი მაგალითები უამრავია. ცეკას პლენუმმა გადასწყვიტა ჩვენი დასამზადებელი აპარატის გამარტივება და გაიაფება. პლენუმის სათანადო რეზოლიუცია თქვენ ალბად უკვე წაკითხული გაქვთ. ის გამოქვეყნებული იყო პრესაში. ამ რეზოლიუციას მთელი სისასტიკით გავატარებთ. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა, ამხანაგებო. ეს მხოლოდ ჩვენი სახელმწიფო აპარატის მოუწყობლობის და ნაკლულოვანებების ერთი კუთხეა. ჩვენ კიდევ უფრო შორს უნდა წავიდეთ და უნდა მივიღოთ ზომები, რათა გავამარტივოთ და გავაიაფოთ მთელი სახელმწიფო აპარატი, მთელი კოოპერატიული და საქონლის გამტარებელი აპარატი თავიდან ბოლომდე.

გარდა ამისა საჭიროა დაუზოგავი ბრძოლა ყოველგვარ გადაჭარბებულ ხარჯების წინააღმდეგ მმართველობის ორგანოებში, საჭიროა ბრძოლა იმ დანაშაულობრივ მოპყრობის წინააღმდეგ სახალხო და სახელმწიფო რეზერვებისადმი, რომელსაც ჩვენში ადგილი აქვს უკანასკნელ დროს. ჩვენში ეხლა ავადმყოფობათ გადაიქცა ყოველგვარი დღესასწაულები, საზეიმო კრებები, იუბილეები, ძეგლების გახსნა და სხვ. ათეული და ასეული ათასები იხარჯება ამ საქმეზე. იუბილეს გადახდის მსურველთა რიცხვი ისე დიდია, რომ საჭიროა ათეული მილიონები მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ამხანაგებო, ჩვენ ბოლო უნდა მოვუღოთ ამ კომუნისტებისათვის შეუფერებელ თავაშვებულობას. უნდა გავიგოთ, დაბოლოს, რომ იმ დროს, როცა მრეწველობა ასეთ მოთხოვნილებებს გვიყენებს, როცა სინამდვილეში ადგილი აქვს მასიურ უმუშევრობას, ჩვენ არ შეგვიძლია და არც გვაქვს უფლება დავუშვათ ასეთი თავაშვებულობა, ფლანგვის ასეთი ვაკხანალია. მეტად საგულისხმოა ის, რომ უპარტიონი ხშირად იჩენენ უფრო ფხიზელ დამოკიდებულებას ჩვენი სახელმწიფო დოვლათისადმი, უფრო უფრთხილდებიან და ზოგავენ მას, ვინემ პარტიულები. კომუნისტი ასეთ შემთხვევებში უფრო გაბედულათ და გადაჭრით მოქმედებს. მისთვის ადვილი საქმეა დაურიგოს მოსამსახურეებს დახმარება ჯილდოს სახით, თუმცა აქ ჯილდო არაფერ შუაშია. მისთვის ადვილი საქმეა კანონის შემოვლა, მისი დარღვევა. უპარტიო აქ მეტ სიფრთხილეს და თავდაჭერილობას იჩენს. ეს აიხსნება მით, რომ კომუნისტი, ზოგიერთ შემთხვევებში კანონს და სახელმწიფოს ამგვარ ფაქტორებს ოჯახურ საქმეთ სთვლის. სწორედ ამიტომ ხშირად ზოგიერთ კომუნისტს ადვილ საქმეთ მიაჩნია თავისი გულუხვობის გამოჩენა სახელმწიფოს ხარჯზე. საჭიროა, რომ **ამ უმსგავსო მოვლენას ერთხელ და სამუდამოთ მოვუღოთ ბოლო.** უნდა დავიწყოთ სასტიკი, დაუზოგავი ბრძოლა სახელმწიფო ქონების განიავების წინააღმდეგ ჩვენს სამრეწველო ორგანოებში, თუ გვინდა ნამდვილად გამოვიყენოთ დაგროვება მრეწველობის საჭიროებისათვის.

ჩვენ უნდა ვაწარმოოთ სისტემატიური ბრძოლა ქურდობისა, ეგრედ წოდებულ „მხიარული ქურდობის“ წინააღმდეგ ჩვენს სახელმწიფო ორგანოებსა, კოოპერაციისა და პროფკავშირებში. არის ქურდობა მორცხვი, ფარული, არის ქურდობა გაბედული, [illegible] როგორც [illegible] „[illegible]სკაია პრავდა“-ში [illegible] ოკუნევის შენიშვნა „მხიარული ქურდობის“ შესახებ. იყო თურმე ერთი ახალგაზრდა, რომელიც მხიარულად ქურდობდა ერთ-ერთ ჩვენ დაწესებულებაში, ქურდობდა სისტემატიურად, შეუსვენებლად, ქურდობდა მოხერხებულათ და ნაყოფიერად. აქ საყურადღებოა არა იმდენად თვითონ ქურდი, რამდენადაც ის ფაქტი, რომ მოსამსახურეები იცნობდენ ქურდს და არამც თუ არ ებრძოდენ მას, არამედ, პირიქით, ქებას ასხამდენ კიდეც მის ხელმარდობას და მოხერხებას, რის გამო ქურდი მათ თვალში ერთგვარ გმირად გადაიქცა.

აი რა არის საყურადღებო, აი რა არის ყველაზე უფრო საშიში, ამხანაგებო. როცა იჭერენ ჯაშუშს ან მოღალატეს, ხალხი უაღრესად აღშფოთებულია და მოითხოვს მის დახვრეტას. ხოლო როცა ქურდი თავის საქმეს აკეთებს ყველას თვალწინ, იპარავს სახელმწიფო ქონებას, მის ირგვლივ მყოფი ხალხი უყურადღებოთ რჩება, ან ტაშს უკრავს კიდეც. აშკარაა, რომ ქურდი, რომელიც იტაცებს სახალხო ქონებას და ძირს უთხრის სახალხო მეურნეობის ინტერესებს, იგივე ჯაშუში და გამცემია, თუ უარესი არა. ეს ახალგაზრდა „მხიარული ქურდი“, რასაკვირველია, დაბოლოს, დაიჭირეს. მაგრამ განა საკმარისია ერთი „მხიარული ქურდის“ დაჭერა? ასეთი ქურდები ჩვენში ასობით და ათასობით არიან. ყველას ვერ დაიჭერ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საშუალებით; საჭიროა სხვაგვარი ღონისძიება, უფრო ნამდვილი და უფრო სერიოზული.

ეს ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ქურდების ირგვლივ შევქმნათ საერთო მორალური ბოიკოტის და სიძულვილის ატმოსფერა. ეს ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ დავიწყოთ ისეთი კამპანია, შევქმნათ ისეთი მორალური ატმოსფერა მუშებსა და გლეხებს შორის, რომელშიაც შეუძლებელი იქნება ქურდობა, რომელშიაც შეუძლებელი იქნება „მხიარული“ და „არამხიარული ქურდების“, სახალხო ქონების გამტაცებლების არსებობა. ბრძოლა ქურდობის წინააღმდეგ არის ჩვენი დაგროვების დაცვის ერთ-ერთი საშუალება დატაცებისაგან. ასეთია ამოცანა.

ჩვენ უნდა დავიწყოთ კამპანია ფაბრიკა - ქარხნებში სამუშაო დღის გაცდენის წინააღმდეგ, შრომის ნაყოფიერების ასაწევად და წარმოებებში შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. ათეულ, ასეულ და ათასეულ დღეებს ჰკარგავს მრეწველობა სამუშაო დღის გაცდენის სისტემად გადაქცევის გამო. ყველაფერი ეს აუარებელ ზარალს აყენებს ჩვენს მრეწველობას, ჩვენს ინდუსტრიას.

ჩვენ წინ ვერ წავსწევთ ინდუსტრიას, ვერ შევსძლებთ სამუშაო ხელფასის გადიდებას, თუ ბოლო არ მოუღეთ სამუშაო დღის გაცდენას, თუ შრომის ნაყოფიერება ერთ წერტილზე გაიყინება. უნდა [illegible] მუშებს, [illegible] რომ [illegible] დღის გაცდენით მათ ზიანი მოაქვთ საერთო საქმისა, მთელი მუშათა კლასისა და მრეწველობისთვის. ბრძოლა სამუშაო დღის გაცდენის წინააღმდეგ, ბრძოლა შრომის ნაყოფიერების აწევის სასარგებლოთ, ჩვენი მრეწველობის, მთელი მუშათა კლასის ინტერესების სახელით—ასეთია ჩვენს წინაშე ამართული ამოცანა.

ასეთია გზები და საშუალებანი, რომლებიც საჭიროა იმისთვის, რომ დავიფაროთ ჩვენ მიერ დაგროვილი დოვლათი და რეზერვები დატაცებისაგან, რომ ეს დოვლათი და რეზერვები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საჭიროებისათვის გამოვიყენოთ.

უნდა შევქმნათ ინდუსტრიის მშენებელთა კადრი

მე ვილაპარაკე ინდუსტრიალიზაციისკენ კურსის აღების შესახებ. ვილაპარაკე ინდუსტრიის განვითარებისათვის რეზერვების დაგროვების შესახებ. დაბოლოს, ვილაპარაკე დაგროვილი დოვლათის რაციონალურად გამოყენების შესახებ ინდუსტრიის საჭიროებისათვის. მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, ამხანაგებო, იმისთვის, რომ გავატაროთ პარტიის დირექტივა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, საჭიროა შევქმნათ ახალი ხალხის კადრი, ინდუსტრიის ახალი მშენებლების კადრი. არავითარი ამოცანა, განსაკუთრებით ისეთი დიდი ამოცანა, როგორიცაა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს ცოცხალი ხალხის, ახალი ხალხის, ახალი მშენებლების კადრის გარეშე. წინათ, სამოქალაქო ომის ხანაში ჩვენთვის განსაკუთრებით საჭირონი იყვნენ ახალი სამხედრო ხელმძღვანელები არმიის მშენებლობის, ომის წარმოების საქმეში. ამ ახალ სამხედრო ხელმძღვანელების გარეშე ვერ შევსძლებდით ჩვენი არმიის მოწყობას, ვერ შევსძლებდით მრავალრიცხოვანი მტრის დამარცხებას. მაშინ ამ ახალმა სამხედრო მეთაურებმა გადაარჩინეს ჩვენი არმია, ჩვენი ქვეყანა, რასაკვირველია, მუშების და გლეხების საერთო დახმარების წყალობით.

მაგრამ ეხლა ინდუსტრიის შენების ხანაში ვიმყოფებით. ეხლა ჩვენ სამოქალაქო ომის ფრონტიდან გადავედით ინდუსტრიის ფრონტებზე. სწორედ ამიტომ ჩვენთვის საჭიროა ახალი ხელმძღვანელი ხალხი ინდუსტრიაში, ფაბრიკა - ქარხნების კარგი დირექტორები. ტრესტების კარგი ხელმძღვანელები, საქმიანი ვაჭრები და მრეწველობის გეგმიანი აღმშენებლობის კარგი მცოდნენი. ეხლა მრეწველობის და მეურნეობის ახალი მეთაურები უნდა შევქმნათ. ასეთი ხალხის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ წავსდგამთ წინ.

ამიტომ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევქმნათ ინდუსტრიის მშენებელთა მრავალრიცხოვანი კადრები, გამოსული მუშების და საბჭოთა ინტელიგენციის რიგებიდან, იმ საბჭოთა ინტელიგენციის, რომელმაც თავისი ბედი მუშათა კლასის ბედს დაუკავშირა და რომელიც ჩვენთან ერთად ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ საძირკველს აშენებს.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევქმნათ ასეთი კადრი, დავაყენოთ ის პირველ რიგში და ყოველგვარი დახმარება გაუწიოთ მას.

ამ ბოლო ხანებში ჩვენში მიეჩვივნენ სამეურნეო დარგში მომუშავეთა დაწიხვლას და ამავე დროს უარყოფითი ხასიათის ცალკე მოვლენების სამეურნეო დარგში მომუშავეთა მთელ დანარჩენ კადრზე გადატანას. ყველა, ვისაც კი არ ეზარება, ვალდებულად სთვლის თავის-თავს რითიმე ჩირქი მოსცხოს სამეურნეო დარგში მომუშავეს, მიაწეროს რა მას ყოველ ცოდვებს. უნდა შევიგნოთ, რომ არაა ოჯახი უმახინჯოთ. უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და მრეწველობაში აღმშენებელთა ახალი კადრების დაწინაურების ამოცანა მოითხოვს სამეურნეო დარგში მომუშავეთა არა დაწიხვლას, არამედ ხელის შეწყობას ჩვენი მრეწველობის აღმშენებლობის საქმეში. მეტი ნდობა და დახმარება სამეურნეო მუშაკთ, ხელის შეწყობა ჩვენი მრეწველობის აღმშენებელთა ახალი კადრების ჩამოყალიბების საქმეში, ინდუსტრიის აღმშენებელთა პოსტის გადაქცევა სოციალისტური აღმშენებლობის პოსტად—აი რა მიმართულებით უნდა მუშაობდნენ ეხლა ჩვენი პარტიული ორგანიზაციები.

უნდა ავწიოთ მუშათა კლასის აქტივობა.

ასეთია ჩვენს წინ მდგარი უახლოესი ამოცანები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსთან დაკავშირებით.

შეიძლება თუ არა ამ ამოცანების განხორციელება მუშათა კლასის უშუალო დახმარების გარეშე? არა, არ შეიძლება.

ჩვენი მრეწველობის დაწინაურება, მისი ნაყოფიერების გადიდება, ინდუსტრიის მშენებელთა ახალი კადრების შექმნა, სოციალისტური სიმდი-

დროის სწორი დაგროვების წარმოება, დაგროვილი სიმდიდრის სწორად გამოყენება მრეწველობის საჭიროებისათვის, მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმის დამყარება, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება, მისი გაიაფება და გაჯანსაღება, მისი გასუფთავება იმ ჭუჭყისა და უწმინდურობისაგან, რომელიც გაჩნდა ჩვენი აღმშენებლობის პერიოდში, სისტემატიური ბრძოლა სახელმწიფო დოვლათის გამტაცებელთა და გამნიავებელთა წინააღმდეგ, — ყოველივე ეს ისეთი ამოცანებია, რომელთა დაძლევას ვერავითარი პარტია ვერ შესძლებს მუშათა კლასის მრავალ მილიონიან მასების უშუალო, სისტემატიური დახმარების გარეშე.

ამიტომ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უპარტიო მუშების მრავალ მილიონიანი მასები ჩავაბათ ჩვენს საამშენებლო მუშაობაში. ყოველი მუშა, ყოველი პატიოსანი გლეხი უნდა ეხმარებოდეს პარტიას და მთავრობას მომჭირნეობის რეჟიმის დამყარებასა, სახელმწიფო რეზერვთა გაფლანგვა - განიავების წინააღმდეგ ბრძოლასა, ქურდების და ოინბაზების განდევნაში, რომელ ფირმასაც არ უნდა ეკუთვნოდენ უკანასკნელნი, ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებასა და გაიაფებაში.

ამ მხრივ საწარმოო თათბირებს შეუძლიათ დაუფასებელი სამსახურის გაწევა. ერთ დროს საწარმოო თათბირები ჩვენში ძალიან გავრცელებული იყო. ეხლა თითქმის არაფერი ისმის მათ შესახებ. ეს დიდი შეცდომაა, ამხანაგებო. რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გამოვაცოცხლოთ საწარმოო თათბირები. საწარმოო თათბირების წინაშე დასმული უნდა იყოს არა მარტო სანიტარიის წვრილმანი საკითხები. საწარმოო თათბირების პროგრამა უნდა გავაფართოოთ და გავამდიდროთ შინაარსით. საწარმოო თათბირებზე ჩვენი მრეწველობის აღმშენებლობის ძირითადი საკითხები უნდა იქნეს დასმული. მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ მუშათა კლასის მრავალ მილიონიან მასების აქტივობის გადიდებას და მათ მრეწველობის მშენებლობის შეგნებულ მონაწილეებად გახდომას.

უნდა განვამტკიცოთ მუშების და გლეხების კავშირი

როცა მუშათა კლასის აქტივობის ზრდაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გლეხობის დავიწყება. ლენინი გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის მთავარ პრინციპს წარმოადგენს. ეს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ. მრეწველობის განვითარება, სოციალისტური სიმდიდრის დაგროვება, მომჭირნეობის რეჟიმი—ყოველივე ეს ისეთ ამოცანებს წარმოადგენს, რომელთა განუხორციელებლად ჩვენ ვერ შევძლებთ კერძო კაპიტალის დაძლევას და სიძნელეების აღმოფხვრას ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში. ამ ამოცანებიდან არც ერთის გადაჭრა არ შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის გარეშე. პროლეტარიატის დიქტატურა მუშათა კლასის და გლეხობის კავშირს ემყარება. ამიტომ ყველა ჩვენი ამოცანები ჰაერში დარჩება ჩამოკიდებული, თუ ჩავშალეთ ან შევასუსტეთ მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი.

ჩვენ პარტიაში გვყავს ისეთი ხალხი, რომელსაც გლეხობის მშრომელი მასები მიაჩნია უცხო ვინმედ, მრეწველობის ექსპლოატაციის ობიექტად, ჩვენი ინდუსტრიის ერთგვარ ახალშენად. ეს ხალხი— საშიში ხალხია, ამხანაგებო. მუშათა კლასისათვის გლეხობა არ შეიძლება იყოს არც ექსპლოატაციის ობიექტი, არც ახალშენი. საგლეხო მეურნეობა წარმოადგენს მრეწველობის ბაზარს, ისე როგორც მრეწველობა საგლეხო მეურნეობის ბაზარს წარმოადგენს. გლეხობა ჩვენში მარტო ბაზარს როდი წარმოადგენს, ის გარდა ამისა მუშათა კლასის მოკავშირეა.

სწორედ ამიტომ საგლეხო მეურნეობის აღდგენა, გლეხობის მასიური ჩაბმა კოოპერაციაში, მისი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს იმ წინასწარ პირობას, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია ჩვენი მრეწველობის ოდნავ სერიოზული [illegible] უზრუნველყოფა, [illegible] [illegible]ეა, სასოფლო - სამეურნეო მანქანების, ტრაქტორების დამზადება გლეხობისათვის მრეწველობის პროდუქტების მასიური მიწოდების მიზნით, —წარმოადგენს იმ წინასწარ პირობას, ურომლისოდაც სასოფლო მეურნეობა წინ ვერ წავა. ამაში მდგომარეობს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის ერთ-ერთი სერიოზული საფუძველი. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმ ამხანაგებს, რომელნიც მოითხოვენ გლეხობაზე ზეგავლენის მოხდენის გაძლიერებას გადასახადების უზომოდ გადიდების და მრეწველობის ნაწარმოების გაძვირების გზით. ჩვენ მათ ვერ დავეთანხმებით, რადგან ისინი, მათთვის შეუმჩნევლად, შლიან მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან და ძირს უთხრიან პროლეტარიატის დიქტატურას. ჩვენ კი გვსურს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცება და არა ჩაშლა.

ჩვენ მუშათა კლასის და გლეხობის ყოველგვარ კავშირს როდი ვიცავთ. ჩვენ ვიცავთ ისეთ კავშირს, რომელშიაც ხელმძღვანელი როლი მუშათა კლასს ეკუთვნის. რატომ? იმიტომ, რომ თუ მუშათა კლასმა არ გასწია ხელმძღვანელობა მუშების და გლეხების კავშირის სისტემაში, შეუძლებელია მშრომელების, გაყვლეფილ მასების გამარჯვება მემამულეებსა და კაპიტალისტებზე. მე ვიცი, ზოგიერთი ამხანაგი ამას არ ეთანხმება. ისინი ლაპარაკობენ: „კავშირი კარგი საქმეა, მაგრამ რაღა საჭიროა ეს მუშათა კლასის ხელმძღვანელობა?" ეს ამხანაგები ძალიან სცდებიან. ისინი სცდებიან, რადგან არ ესმით, რომ მხოლოდ მუშების და გლეხების ისეთი კავშირი გაიმარჯვებს, რომელსაც ხელმძღვანელობს უფრო გამოცდილი და უფრო რევოლიუციონური კლასი — მუშათა კლასი.

რატომ დაიღუპა გლეხობის აჯანყება პუგაჩოვის და სტენკა რაზინის დროს? რატომ მაშინ ვერ მოახერხეს გლეხებმა მემამულეების განდევნა? იმიტომ, რომ მათ არ ჰყავდათ და არც შეიძლებოდა ჰყოლოდათ ისეთი რევოლიუციონური ხელმძღვანელი, —როგორიც არის მუშათა კლასი.

ჩვენი ქვეყანა ერთად-ერთია მთელს მსოფლიოში, სადაც მუშების და გლეხების კავშირმა დაამარცხა მემამულეები და კაპიტალისტები. რითი აიხსნება ეს? მით, რომ ჩვენს ქვეყანაში რევოლიუციონურ მოძრაობას მეთაურობდა და ეხლაც მეთაურობს ბრძოლებში [illegible] მუშათა კლასი. საქმ[illegible] ელავს ინტერესისა [illegible] ლების ხორცი, რომ მუშების და გლეხების ვერ სცილდან ქვა-ქვაზე არ დარჩეს და რომ კაპიტალისტები და მემამულეები კვლავ დაუბრუნდენ თავის ძველ ბუდეებს.

აი ამიტომ ჩვენ უნდა დავიცვათ და განვამტკიცოთ მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი ჩვენს ქვეყანაში. აი ამიტომ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მუშათა კლასის ხელმძღვანელობა ამ კავშირის სისტემაში.

შინაპარტიული დემოკრატიის საკითხი

მე ვილაპარაკე მუშათა კლასის აქტივობის გადიდებაზე, იმაზე, რომ საჭიროა მუშათა კლასის მილიონიან მასების ჩაბმა ჩვენი მეურნეობის მშენებლობის საქმეში, ინდუსტრიის მშენებლობის საქმეში. მაგრამ მუშათა კლასის აქტივობის ზრდა სერიოზული და ძალიან დიდი საქმეა. მუშათა კლასის აქტივობის აღსადგენად საჭიროა, პირველ ყოვლისა, თვით პარტიის აქტივობის გამოცოცხლება. საჭიროა, რომ თვით პარტია მტკიცეთ და გადაუხვევლად დაადგეს შინაპარტიული დემოკრატიის გზას, რათა ჩვენი ორგანიზაციები აღმშენებლობის საკითხების განხილვაში აბამდენ პარტიის ფართო მასებს, რომელნიც ჩვენი პარტიის ბედს ქმნიან. მე ამას განსაკუთრებით ხაზს უსვამ იმიტომ, რომ ლენინგრადის ორგანიზაციამ ამას წინად განიცადა ისეთი პერიოდი, როცა ზოგიერთი ხელმძღვანელი მხოლოდ დაცინვით ლაპარაკობდა შინაპარტიულ დამოკრატიაზე.

მე მხედველობაში მაქვს ის პერიოდი პარტიის ყრილობის წინ, ყრილობის დროს და უშალოთ ყრილობის შემდეგ, როდესაც პარტიულ კოლექტივებს ლენინგრადში არ აძლევდენ შეკრების საშუალებას და როდესაც კოლექტივების ზოგიერთი ორგანიზატორი, მაპატიეთ პირდაპირობა, უბნის ზედამხედველის როლს თამაშობდა კოლექტივების მიმართ. ამაზე წაიტეხა ფეხები ე. წ. ახალმა ოპოზიციამ. თუ კი ჩვენი ცეკას წევრებმა ლენინგრადის აქტივის დახმარებით ორი კვირის განმავლობაში ოპოზიციის გარიყვა მოახერხა, ეს იმიტომ მოხდა, რომ განმარტებითი კამპანია ყრილობის გადაწყვეტილებების შესახებ დაიწყო სწორედ იმ დროს, როდესაც ადგილი ჰქონდა მისწრაფებას დემოკრატიზმისაკენ და მისწრაფებამ თავი იჩინა ლენინგრადის ორგანიზაციაში.

მე მინდა, ამხანაგებო, რომ თქვენ გაითვალისწინოთ ეს წარსული გაკვეთილი. მე მინდა, რომ ამ გაკვეთილის გათვალისწინებით, თქვენ სინდისიერათ და მტკიცეთ გაატაროთ შინაპარტიული დემოკრატია, ასწიოთ პარტიული მასების აქტივობა, ჩააბათ ისინი სოციალისტური მშენებლობის მთავარ საკითხების განხილვაში და დაარწმუნოთ რომ ჩვენი პარტიის ცეკას აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი სწორია. მე მინდა, რომ სწორედ თქვენ დაარწმუნოთ პარტიული მასები, რადგან დარწმუნების მეთოდი, მუშათა კლასის რიგებში, ჩვენი მუშაობის მთავარი მეთოდია.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ შინაპარტიული დემოკრატია ნიშნავს ფრაქციულ ჯგუფების თავისუფლებას. ნურას უკაცრავად, ამხანაგებო! ჩვენ ასე არ გვესმის შინაპარტიული დამოკრატია. არაფერი საერთო შინაპარტიულ დემოკრატიასა და ფრაქციულ ჯგუფების თავისუფლებას შორის არ არის და არც შეიძლება იყოს. რას ნიშნავს შინაპარტიული დემოკრატია? შინაპარტიული დამოკრატია ნიშნავს პარტიულ მასების აქტივობის გაძლიერებას, პარტის მთლიანობას და პარტის შეგნებულ პროლეტარულ დისციპლინის განმტკიცებას.

რა არის ფარაქციულ ჯგუფების თავისუფლება? ფრაქციულ ჯგუფების თავისუფლება არის პარტიულ რიგების დაშლა, პარტიის გათიშვა ცალკე ცენტრებათ, პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესუსტება. რა უნდა იყოს მათ შორის საერთო?

ჩვენს პარტიაში არიან ადამიანები, რომლებთაც სძინავთ და ხედავდენ, რომ დაიწყო საერთო პარტიული დისკუსია. მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც პარტია ვერ წარმოუდგენიათ უდისკუსიოთ. ეს ადამიანები პრეტენზიებს აცხადებენ პროფესიონალურ დისკუსანტების სახელწოდებაზე. შორს ჩვენგან ასეთი პროფესიონალური დისკუსანტები. ჩვენთვის საჭიროა არა ნაძალადევი დისკუსია და არა პარტიის გადაქცევა სადისკუსიო კლუბათ, არამედ საამშენებლო მუშაობის გაძლიერება, ინდუსტრიალურ მშენებლობის გაძლიერება, და განსაკუთრებით, იმ მებრძოლი, შემჭიდროებული ერთიანი და განუყოფელი პარტიის განმტკიცება, რომელიც ხელმძღვანელობს მთელს ჩვენ საამშენებლო მუშაობას.

ის, ვინც სცდილობს დაუსრულებელ დისკუსიების დაწყებას, ვინც მოითხოვს ფრაქციული ჯგუფების თავისუფლებას, ის ძირს უთხრის პარტიის ძლიერებას.

რათ ვიყავით ჩვენ ძლიერი წარსულში? ჩვენი რიგების მთლიანობით.

სწორი პოლიტიკა მოგვცა ჩვენი პარტიის მე-14 პარტყრილობამ. ეხლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი რიგების და ჩვენი პარტიის მთლიანობა,რომელიც მზადაა ცხოვრებაში გაატაროს პარტიული ყრილობის გადაწყვეტილება ყოველ მიზეზს გარეშე. ასეთია ჩვენი პარტიის ცეკას პლენუმის გადაწყვეტილების დედა-აზრი.

დასკვნები

ეხლა ნება მიბოძეთ გადავიდე დასკვნებზე: **ჯერ ერთი, წინ უნდა წავსწიოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრია, როგორც სოციალიზმის საფუძველი და ხელმძღვანელი ძალა, რომელიც ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის აღორძინებას.**

მეორე, უნდა შევქმნათ საამშენებლო ინდუსტრიის ახალი კადრები, რომელნიც პირდაპირ და უშუალოთ გაატარებენ ინდუსტრიალიზაციას.

მესამე, უნდა დავაჩქაროთ ჩვენი სოციალისტური დაგროვების ტემპი და დავაგროვოთ რეზერვები მრეწველობის საჭიროებისათვის.

მეოთხე, სისწორით უნდა დავხარჯოთ დაგროვილი დოვლათი და დავამყაროთ მომჭირნეობის სასტიკი რეჟიმი.

მეხუთე, უნდა გავზარდოთ მუშათა კლასის აქტივობა და მუშათა მილიონიანი მასები ჩავაბათ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

მეექვსე, უნდა განვამტკიცოთ მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ამ კავშირში.

მეშვიდე, უნდა გავაძლიეროთ პარტიული მასების აქტივობა და გავატაროთ შინაპარტიული დემოკრატია.

მერვე, უნდა დავიცვათ და განვამტკიცოთ ჩვენი პარტიის მთლიანობა და ჩვენი რიგების შემჭიდროება.

შევსძლებთ თუ არა ამ ამოცანების შესრულებას? დიახ, შევსძლებთ, თუ კი ამას მოვისურვებთ. ეს კი ჩვენ გვსურს—ამას ყველა ხედავს. დიახ, შევსძლებთ, რადგან ჩვენ ბოლშევიკები ვართ. რადგან ჩვენ არ გვეშინია სიძნელის, რადგან სიძნელე იმისათვის არსებობს, რომ ვებრძოლოთ მას და დავსძლიოთ იგი. დიახ, შევსძლებთ, რადგან ჩვენი პოლიტიკა სწორია და ჩვენ ვიცით, სად მივდივართ. და ჩვენ წავალთ წინ მტკიცეთ და გაბედულად მიზნისაკენ, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისაკენ.

ამხანაგებო, ჩვენ პატარა ჯგუფს წარმოვადგენდით 1917 წლ. თებერვალში, 9 წლის წინად. მოხუცებულ პარტიულებს ახსოვთ, რომ ჩვენ ბოლშევიკები წარმოვადგენდით მაშინ ლენინგრადის საბჭოს უმნიშვნელო უმცირესობას. მოხუც პარტიულებს უნდა ახსოვდეთ, რომ მაშინ დაგვცინოდენ ბოლშევიზმის მრავალრიცხოვანი მტრები. ჩვენ მოვდიოდით წინ და ვიპყრობდით პოზიციებს პოზიციებზე, რადგან ჩვენი პოლიტიკა სწორი იყო და შემჭიდროებული რიგებით ვიბრძოდით.

შემდეგ ეს პატარა ძალა გაიზარდა. ჩვენ დავამარცხეთ ბურჟუაზია, ჩამოვაგდეთ კერენსკი. ჩვენ მოვაწყვეთ საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ დავამარცხეთ კოლჩაკი და დენიკინი. ჩვენ განვდევნეთ ჩვენი ქვეყნიდან ინგლის-საფრანგეთის და ამერიკის მოძალადეები. ჩვენ თავი დავახწიეთ სამეურნეო ნგრევას. ბოლოს ჩვენ აღვადგინეთ ჩვენი მრეწველობა. საბჭოთა მეურნეობა.

ეხლა ჩვენს წინაშე დასმულია ახალი ამოცანა—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა. ყველაზე უფრო სერიოზული სიძნელენი უკან დავსტოვეთ. განა შეიძლება დაგვებადოს ეჭვი, რომ შევასრულებთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამ ახალ ამოცანას? რა თქმა უნდა, არ შეიძლება. პირიქით. ჩვენ გვაქვს დღეს ყოველგვარი საშუალება, რომ გადავლახოთ სიძნელენი და ცხოვრებაში გავატაროთ პარტიის მე-14 ყრილობის მიერ დასმული ამოცანები.

აი, ამიტომ ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ინდუსტრიის ახალ ფრონტზე, ჩვენ აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ (მქუხარე ტაში).

◆

საბჭოთა კავშირი და იტალია

რომი, 19 აპრილი. იტალიის მძიმე ინდუსტრიის ორგანო „მესაჯერო" მოწინავე წერილს უძღვნის დირიჟაბლ „ნორვეგიას" მეგობრულ მიღებას ლენინგრადში და აღნიშნავს, **რომ საბჭოთა კავშირს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ საკითხების გადაჭრის დროს არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში.**

„იტალიის უდიდესი დამსახურება —სწერს „მესაჯერო" მდგომარეობს იმაში, რომ იგი პირველად მიხვდა ამას. იტალიას, რომელიც ეკონომიურად ჩამოქვეითებული იყო ომის შემდეგ და რომელსაც საშუალება არ ჰქონდა გაედიდებია თავისი ბუნებრივი სიმდიდრენი, უნდა მიემართა საბჭოთა კავშირისათვის და კიდეც მიმართა მას; იტალიას შეუძლია თავის სასარგებლოთ გამოიყენოს საბჭოთა კავშირის ნედლი მასალა.

დასასრულ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ საბჭოთა ბაზარი და შავი ზღვა იქნება უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორი იმისა, რომ იტალია გახდება ეკონომიურად დამოუკიდებელი სხვა სახელმწიფოებისაგან.

საბჭოთა კავშირი ამავე დროს არის უდიდესი ბაზარი ჩვენი ნაწარმოებას გასასაღებლად; **მით უფრო, რომ საბჭოთა მეურნეობის ზრდასთან ერთად იზრდება უკანასკნელის მოთხოვნილება სამრეწველო პროდუქტებსა და ფართო მოხმარების საგნებზე.** ამიტომ კავშირი ამ ორ ერის შორის კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს. ეს კავშირი განსაკუთრებით მტკიცე უნდა იყოს შავი ზღვის სანაპიროებსა და სამხრეთ - იტალიას შორის.

◆

ინგლისის მუშების დელეგაცია

ლონდონი, 19 აპრილი. **საბჭოთა კავშირში გამოემგზავრენ ინგლისის პარლამენტის დეპუტატები: ფრანკ ნელსონი, რობერტ ბუტბი, კაპიტანი რობერტ კრაფტი, ბერნი და პოლკოვნიკი ბური.**

მინსკი, 20 აპრილი. **18 აპრილს ინგლისელ რკინისგზელების დელეგაციამ დაათვალი[illegible] და წარმოებები, აგრეთვე წითელი ყაზარმები და დასასვენებელი სახლები.**

საღამოს რკინისგზელთა კლუბში მინსკის რკინისგზელები შეხვდენ ინგლისელ სტუმრებს. მემანქანე გორმახოვი ესალმება ინგლისელ მემანქანეებს და აღნიშნავს ინგლისელ რკინისგზელების დამსახურებას რუსეთის რევოლიუციის წინაშე, როცა ინგლისელი რკინისგზელები აარსებდენ მოქმედების კომიტეტებს და უარს ამბობდენ იმ ყუმბარების გადაზიდვაზე, რომელნიც საბჭოთა ქვეყნის მუშების და გლეხების წინააღმდეგ მოჰქონდათ.

მისალმების საპასუხოდ დელეგაციის [illegible] [illegible]დებს: ჩვენ გეხმარებოდით შეძლების დაგვარად: უარს ვამბობდით იარაღის გადაზიდვაზე, ვაარსებდით მოქმედების კომიტეტებს. **მეორე ინტერნაციონალი თანდათან ჰკარგავს თავის გავლენას მუშებზე. მის მაგიერ იზრდება მესამე ინტერნაციონალი, რომელიც მალე გააერთიანებს ყველა მუშებს და შექმნის ბრძოლის ერთიან ფრონტს კაპიტალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგ.**

◆

კრიზისი სამხრეთ-სლავიაში

რადიჩის პარტიაში

ვენა, 19 აპრილი. **რადიჩის გლეხთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მომავალ კვირაში იწვევს პარტიის კონფერენციას ზაგრებში.** ამ კონფერენციაზე განხილული იქნება პარტიიდან ნიკიჩის და შუპერინის გამორიცხვით შექმნილი მდგომარეობა. ნიკიჩმა და შუპერინმა ვერ მოახერხეს „სკუპშჩინის" იმ დეპუტატების მიმხრობა, რომელნიც შედიან რადიჩის პარტიაში, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ რადიჩის პარტიის კიდევ რამოდენიმე დეპუტატი გავა რადიჩის პარტიიდან.

რადიჩი და მისი პარტიის მდგომარეობა თითქმის შეურყეველია. რადიჩმა განაცხადა, რომ განაგრძობს ბრძოლას სამხრეთ - სლავიის პოლიტიკურ მოღვაწეთა კორრუპციის წინააღმდეგ.

უზუნოვიჩის მთავრობა დღეგრძელად ვერ ჩაითვლება, რადგან, თუ კორუპციის საკითხი დაყენებული იქნება სკუპშჩინას პირველ სხდომაზე, მაშინ მთელი ოპოზიცია მისცემს ხმას უზუნოვიჩის მთავრობის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვება უკანასკნელის ჩამოგდება.

საერთო აზრით უზუნოვიჩის კაბინეტის მდგომარეობა ამჟამად ფრიად სუსტია. უზუნოვიჩი სცდილობს შეადგინოს მთავრობის კოალიცია სლოვენიის კლერიკალურ პარტიასა და მუსლიმანებთან ან პრიბიჩევიჩის დამოუკიდებელ პარტიასთან ერთად ჯერ - ჯერობით არც ერთ პარტიას თანახმობა არ განუცხადებია.

განხეთქილება

ვენა, 19 აპრილი. რადიჩის პარტიიდან გამორიცხულ სამხრეთ-სლავიის მინისტრებს **ნიკიჩს და შუპერინს შეუერთდა სკუპშჩინას დეპუტატი რადიჩის პარტიის წევრი.** ამ დელეგატებმა მოაწყვეს ცალკე საპარლამენტო კლუბი კოკაშევიჩის თავმჯდომარეობით.

◆

ჩინეთის რეაქცია

ძალადობა საბჭოთა მოქალაქეებზე

ხარბინი, 19 აპრილი. **პეკინში მომხდარ ამბების და ჩჟან-ძო-ლინის არმიის გამარჯვების გამო, ჩინეთის ხელისუფლებამ ხარბინში გააძლიერა საბჭოთა მოქალაქეების შევიწროვება.**

მუკდენის უცხოელ წრეებიდან იუწყებიან, რომ განზრახულია 40 საბჭ. მოქალაქის გადასახლება, ვითომდა პროპაგანდის წარმოებისათვის.

უცხოელების „წყალობა"

პეკინი, 19 აპრილი. საერთაშორისო სეტტელმენტის (უცხოელთა უბანი) ცენზიან მოქალაქეთა წლიურ კრებაზე შანხაიში მიღებული იქნა რეზოლიუცია, სეტტელმენტის მუნიციპალურ საბჭოში 3 ჩინელის შეყვანის შესახებ (დღემდის ჩინელ ვადამხდელებს არ ჰქონდათ მუნიციპალურ საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და არ შედიოდენ ამ საბჭოს შემადგენლობაში).

შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საბჭოში ჩინელების წარმომადგენლობას ჩინელების მიერ შეტანილ გადასახადების პროპორციის მიხედვით. ამ რეზოლიუციას ხმა მისცა 6 კაცმა 500 კაციდან. რეზოლიუციის წარმომდგენ პირებს გაშმაგებით თავს ესხმოდენ კრების დანარჩენი მონაწილენი.

მუნიციპალურ საბჭოს შემადგენლობაში 3 ჩინელის შეყვანა დადასტურებული უნდა იქნას სახელმწიფოების მიერ.

„რეიტერის" სააგენტო აღნიშნავს, რომ მიღებული რეზოლიუცია ამტკიცებს იმას, რომ უცხოელთა კოლონია თანდათან უფრო უწევს ანგარიშს ჩინელების მოთხოვნილებებს.

◆

საფრანგეთის ვალები

პარიზი, 19 აპრილი. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის ელჩმა ამერიკაში **ბერანჟემ**, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას საფრანგეთის ვალების მოწესრიგების შესახებ, მიიღო თანხმობა ამერიკის მთავრობისაგან იმის შესახებ, რომ გაერთიანებული იქნას საფრანგეთის მიერ ომის დროს აღებული ვალები იმ თანხებთან, რომელიც ამერიკის არმიამ დასტოვა საფრანგეთში სხვადასხვა ქონების სახით.

მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება ყოველწლიურად შესატან თანხის რაოდენობის საკითხში. შესატანი თანხები უფრო მცირე იქნება, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო **კაიოსთან** მოლაპარაკების დროს.

შესაძლებელია, რომ ამერიკა თანახმა იქნება, რათა შემცირებული იქნას ყოველწლიურად შესატანი თანხები იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთმა ვერ მიიღო გერმანიისაგან რეპარაციები.

პოლონეთი ემუქრება ლიტვას

კოვნო, 19 აპრილი. პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე ამას წინად მომხდარ შეტაკების გამო ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„გახშირდა შეტაკებანი პოლონეთ - ლიტვის საზღვარზე. 13 აპრილს ლოკაის ხიდთან მოხდა კონფლიქტი პოლონეთის და ლიტვის სანაპირო რაზმებს შორის. **პოლონელები იმუქრებიან, რომ ძალით დაიკავებენ ხიდს.**

14 აპრილს ლიტვის სანაპირო რაზმი სცდილობდა პოლონეთის სანაპირო რაზმის ოფიცერის დაკავებას, რადგან უკანასკნელი გადავიდა სადემარკაციო ხაზზე. ოფიცერმა წინააღმდეგობა გაუწია და იგი მოკლული იქნა ლიტვის სანაპირო რაზმის ჯარისკაცის მიერ.

◆

ბონკურის განცხადება

პარიზი, 19 აპრილი. **პოლონეთიდან დაბრუნდა ფრანგი სოციალისტი პოლ ბონკური** (საფრანგეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში), რომელმაც ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა:

„პოლონეთმა დიდ წარმატებებს მიაღწია და სავსებით დაიმსახურა მუდმივი ადგილი ერთა ლიგაში. პოლონეთის უმთავრეს ამოცანას შეადგენს მისი საზღვრების დაცვა და 3 ეროვნების (პოლონელების, უკრაინელების და ბელორუსების) გაერთიანება.

ლიტვასა და პოლონეთის დამოკიდებულება არავითარ საშიშროებას არ იწვევს, სამაგიეროთ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულება გამოურკვეველია და საშიშარიც. ამჟამად პოლონეთ - საბჭოთა კავშირის საზღვარზე სიმშვიდეა, მაგრამ საკმარისია ერთი ნაპერწკალი.

პოლონეთს სწამს, რომ ჩვენ მას დავეხმარებით და ერთგული დავრჩებით მისადმი".

◆

კრიზისი ინგლისში

მონდის წერილი

ლონდონი, 19 აპრილი. ცნობილი ფინანსისტი და ნახშირის მაგნატი სერ **ალფრედ მონდი** „ტაიმს"-ში აქვეყნებს წერილს ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

მონდის აზრით, ინგლისის მრეწველობაში წარმოშობილ კრიზისის მთავარი მიზეზია ზედმეტი ნახშირის დამზადება. მონდი ლაპარაკობს, რომ მთავრობის სუბსიდია მხოლოდ მაღაროების მეპატრონეებს მოხმარდა. ის ფიქრობს, რომ ვერც სამუშაო ხელფასის შემცირებით, ვერც პროდუქციის გადიდებით ინგლისის ნახშირის ექსპორტიორები ვერ დაიბრუნებენ დაკარგულ ბაზრებს.

პროდუქციის ღირებულების შემცირება მხოლოდ გააღრმავებს არსებულ მეტოქეობის ნახშირის ექსპორტიორებს შორის. ამიტომ მონდი მოითხოვს დაარსებულ იქნეს „ინგლისის სათბობი მასალის ფედერაცია, რომელიც დააწესებს ფასებს ნახშირზე და შუამავლობას გასწევს სხვა ქვეყნების სანახშირო ტრესტებთან მოლაპარაკებაში, რომლის საბოლოო მიზანი იქნება საერთაშორისო შეთანხმების დადება ნახშირის ექსპორტის მოსაწესრიგებლად.

მონდის აზრით, სამთამადნო მუშების წარმომადგენლებიც უნდა შედიოდენ ამ ფედერაციაში.

◆

ინგლის-იტალიის შეთანხმება

პარიზი, 19 აპრილი. ინგლისის ელჩმა პარიზში გადასცა **საფრანგეთის მთავრობას ინგლის - იტალიის შორის დადებულ ხელშეკრულების ტექსტი გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ აბისინიაში.**

იტალია აღიარებს ინგლისის ძალაუფლებას ცისფერ ნილოსის წყაროებზე (დასავლეთ აბისინიაში, სუდანის საზღვარზე).

ინგლისი არ გაილაშქრებს ერიტრიის შიგნივ რკინისგზის ქსელის გაფართოების წინააღმდეგ (ერიტრია არის იტალიის კოლონია წითელი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირზე აბისინიის საზღვართან).

◆

მუშათა ბრძოლა

„სოციალისტურ რევოლიუციონურ მოქმედების კომიტეტი".

პარიზი, 19 აპრილი. საფრანგეთის მემარცხენე სოციალისტებმა, რომელნიც სოციალისტურ პარტიის რიგებში რჩებიან, დაარსეს „სოციალისტურ რევოლიუციონურ მოქმედების ფრაქციული კომიტეტი", რომელმაც გამოუშვა მოწოდება. **მოწოდებაში კომიტეტი მოითხოვს ბრძოლას პარტიის რეფორმისტულ გადაგვარების წინააღმდეგ, ჰგმობს სოციალისტების თანამშრომლობას ბურჟუაზიასთან, ხმის მიცემას სამხედრო და კოლონიალურ კრედიტებისათვის ბიუჯეტის საიდუმლო ფონდებიდან.**

კომიტეტი აცხადებს, რომ ის მხარს უჭერს საფრანგეთის ყველა პროლეტარულ პარტიების დაახლოვებას.

კომიტეტი სთხოვს პარტიის ყველა წევრებს და თავის თანამოაზრეებს გატარდენ რეგისტრაციაში კომიტეტის მდივანთან.

ფრანგ კომუნისტების საქმე

პარიზი, 19 აპრილი. **პარიზის სასამართლოში დაიწყო ფრანგ კომუნისტების კლერკის და ბერნარდონის საქმის გარჩევა. მათ აბრალებენ ფაშისტების მოკვლას დამრემონის ქუჩაზე. ამ საქმეზე გამოწვეულია 200 მოწმე.**

გერმანიის პროლეტარიატის სოლიდარობა

ბერლინი, 19 აპრილი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად გერმანიის პროლეტარიატის სოლიდარობა **ინგლისის სამთამადნო მუშებისადმი უკანასკნელთა გაფიცვის დროს გამოიხატება უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ ხელს შეუშლიან გერმანიიდან ინგლისში ნახშირის გატანას.**

გერმანელ სამთამადნო მუშების თანაგრძნობის გაფიცვა; გერმანიის სამთო მრეწველობის მძიმე მდგომარეობის გამო, უკიდურეს შემთხვევაში მოხდება.

◆

მოლაპარაკება რიფებთან

რიფების განცხადება

პარიზი, 19 აპრილი. უჯდაში გამართულ საზავო კონფერენციაზე რიფების დელეგატებმა მოისმინეს საფრანგეთის და ესპანეთის წინადადებანი და განაცხადეს, რომ **ისინი უნდა გაემგზავრონ აბდ-ელ-ქერიმთან ინსტრუქციების მისაღებად. რიფების დელეგატები დაბრუნდებიან 3—5 დღის შემდეგ.**

მოლაპარაკება უჯდაში

პარიზი, 20 აპრილი. უჯდაში გამართულ მოლაპარაკების დროს, **აბდ-ელ-ქერიმის წარმომადგენელმა აზერ-ხანმა განაცხადა, რომ აბდ-ელ-ქერიმი თანახმაა დროებით ზავზე, მაგრამ ეწინააღმდეგება საფრანგეთ-ესპანეთის ჯარების წინ წამოწევას ხელშეკრულების დადებამდე** და აგრეთვე ტყვეების გადაცვლას. ფრანგები და ესპანელები დაჟინებით მოითხოვენ ტერიტორიის ოკუპაციას, რითაც სურთ გარანტია იქონიონ იმისა, რომ აბდ-ელ-ქერიმი სინდისიერად შეასრულებს დაპირებას. რადგან აზერ-ხანი შეურიგებელ პოზიციას ადგია, გადაწყდა ხელახლა დაინიშნოს თათბირი 22 აპრილს, აბდ-ელ-ქერიმის პასუხის მიღების შემდეგ.

პრიმო - დე-რივერა ვერ ისვენებს

ბერლინი, 20 აპრილი. **უჯდის კონფერენციაზე პრიმო-დე-რივერამ მოითხოვა, რომ აბდ-ელ-ქერიმი გაძევებულ იქნეს არა მარტო მაროკოდან, არამედ საერთოდ მუსლიმანთა ქვეყნებიდან. ამ მოთხოვნილებამ შეაჩერა შემდეგი მოლაპარაკება.**

ფრანგ დელეგატებმა გაკვირვება გამოსთქვეს ესპანელების ასეთი მოთხოვნილების გამო და ურჩიეს მათ მეტი ზომიერების გამოჩენა.

◆

ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

ლენინგრადი, 20 აპრილი. **ამუნდსენის დირიჟაბლი ლენინგრადიდან გაფრინდება 24 აპრილს, თუ ამინდმა ხელი შეუწყო.** თუ ცუდი ამინდი იქნა გაფრენა დაგვიანდება.

ლენინგრადიდან შპიცბერგენამდე —ყველაზე ძნელი საფრენი მანძილია, რადგან ამინდი ყინულოვან ოკეანეზე, ძალიან ცვალებადია. შპიცბერგენს იქით ფრენა უფრო ადვილი იქნება, რადგან იქ ამინდი უფრო უცვლელია.

◆

პოლონეთის მთავრობა გადადგა

სკშინსკის გადადგომა

ბერლინი, 20 აპრილი. სკშინსკის კოალიციონურმა კაბინეტმა გადასცა რესპუბლიკის პრეზიდენტს განცხადება გადადგომის შესახებ, რასაც ის ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ შეუძლებელი გახდა შეთანხმების მიღწევა საფინანსო საკითხებში.

დიქტატურა აუცილებელია

ბერლინი, 20 აპრილი. **ვარშავაში ხმები დადის, რომ დიქტატურა აუცილებელია, რადგან ახალი კოალიციონური კაბინეტის შედგენა შეუძლებელია.**

◆

სხვადასხვა

პოლონეთ-ავსტრიის შეთანხმება. სკშინსკიმ და ავსტრიის პრემიერმა რამეკმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ყველა სადაო საკითხები ავსტრიასა და პოლონეთს შორის გარჩეულ იქნება სამედიატორო სასამართლოს წესით. ხელშეკრულება ითვალისწინებს საქმის შეთანხმებით გარჩევას, ამ შემთხვევაში, თუ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, საკითხს ორივე მხარე გადასცემს გადასაჭრელად სამედიატორო სასამართლოს, რომელიც არჩეულ იქნება თვითეულ ცალკე შემთხვევაში. ხელშეკრულება სამი წლის ვადით არის დადებული.

კაბაკჩიევის განთავისუფლება. სოფიიდან მიღებული ცნობით, განთავისუფლეს ბულგარეთის კომპარტიის ცეკას ყოფილი წევრი კაბაკჩიევი, რომელიც დატუსაღებულ იქნა 9 აპრილს, სამხრეთ-სლავიის საზღვარზე გადასვლის დროს.

უმუშევრები გერმანიაში. უკანასკნელ კვირაში, უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 2.500 კაცით.

ნახშირის მრეწველნი ემზადებიან. „დეილი მეილი"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამ დღეებში შესდგება ევროპის ნახშირის მრეწველობის ხელმძღვანელ წარმომადგენლების კონფერენცია ევროპის ნახშირის სინდიკატებს მეთოდების შესამუშავებლად, საზიანო კონკურენციიდან განთავისუფლების მიზნით.

იტალია-საბერძნეთის შეთანხმება. კონსტანტინოპოლის ბირჟის ცნობით, ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში შიშს გამოსთქვამენ იტალია-საბერძნეთის ახალი შეთანხმების გამო ოსმალეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ანგორის მთავრობა თვალყურს ადევნებს ამბებს და მიიღებს საჭირო ზომებს ოსმალეთის უშიშროების დასაცავათ.

ამერიკის „განიარაღება". ამერიკის საზღვაო მინისტრი ვილბური მოითხოვს კონგრესისაგან 20 მილ. დოლარს ამერიკის საზღვაო ბაზების გასაძლიერებლად საზღვარგარეთ, განსაკუთრებით პირლის ნავთსადგურში და ჰავაის კუნძულზე.

რუმინეთის ესკადრა ნეაპოლში. იტალიის გაზეთები იუწყებიან, რომ ახლო მომავალში განზრახულია რუმინეთის ესკადრას ჩასვლა ნეაპოლში პრინც ნიკოლოზის სარდლობით.

რუმინეთის გემები დარჩებიან ნეაპოლში 2 თვეს.

სატელეფონო კავშირი მოსკოვ-ვარშავას შორის. პოლონეთის ფოსტა-ტელეგრაფის დირექცია ახლო მომავალში შეუდგება პირდაპირ სატელეფონო კავშირის მოწყობას მოსკოვსა და ვარშავას შორის.

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

სოციალური დაზღვევის მუშაკთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 20 აპრილი. სოციალური დაზღვევის მუშაკთა საკავშირო თათბირს საკავშირო პროფსაბჭოს სახელით მიესალმა ამხ. **ტომსკი**, რომელმაც განაცხადა:

„საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო უცდის თათბირს, იმიტომ, რომ თათბირი, გაითვალისწინებს რა სოციალური დაზღვევის საქმის მიღწევებს და ნაკლულოვანებებს, გამოიტანს სათანადო დასკვნებს რათა სოციალური დაზღვევა უფრო სწორად იქნეს დაყენებული.

სოციალური დაზღვევის საქმეში საჭიროა გამორკვეულ იქნეს პროფკავშირების და სოციალურ დაზღვევის სამმართველოს ფუნქციები.

სწორი სოციალური დაზღვევის ამოცანა განუზომელია. საჭირო იქნება დიდი ენერგია, ბევრი მუშაობა, რომ სწორად იქნეს წარმართული სოციალური დაზღვევის პოლიტიკა. შემუშავებულ იქნეს სწორი მოქმედების გეგმა".

ტომსკი აღნიშნავს, რომ მთავრობამ დაადგინა სოციალური დაზღვევის სამმართველოს კაპიტალიდან 5 პროცენტი გამოყოფილ იქნეს მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის; თათბირმა უნდა შეიმუშაოს ისეთი ზომები, რომ ამ თანხების გადარიცხვა უმტკივნეულო იქნეს სოციალური დაზღვევის სამმართველოსათვის.

მოსკოვი, 20 აპრილი. პირველ საკავშირო სამთამადნო სამეცნიერო —ტექნიკურ ყრილობის სხდომაზე 19 აპრილს ბულგაკოვმა მოხსენებაში ბაქო - ბათომის ნავთსადენის შესახებ სთქვა:

ბაქოს ნავთის პროდუქტების გადატანა ბათომში რკინისგზით ქმნის ისეთ [illegible] კავშირო [illegible] მრავალ მილიონ მანეთს, რომლიდანაც $2/3$ მოდის „აზნავთზე". ხოლო $1/3$ ამიერ-კავკასიის რკ. გზებზე. ამ ზარალის რაოდენობა ყოველწლიურად აღწევს ნავთსადენის ღირებულების $1/3$ და ხელს უშლის ნავთის ექსპორტის განვითარებას.

გამოკვლევამ დაამტკიცა არსებული ნავთსადენის სადგურების მდებარეობის არა რაციონალობა. გაუმჯობესებულ უნდა იქნეს აგრეთვე ცენტრ-განსრბოლი საქაჩები და სადგურები. შუა მდებარე აუზები.

პირველ საკავშირო სამთამადნო სამეცნიერო ტეხნიკურ ყრილობაზე **სმირნოვმა** თავის მოხსენებაში ნავთის ამოღების რაციონალიზაციის შესახებ აღნიშნა, რომ ნაციონალიზაციამდე ბაქოს სამრეწველო რაიონის ფირმების უმრავლესობა მუშაობდა გეოლოგების რეგულიარულ დახმარების გარეშე. **ამჟამად ნავთის ტრესტებში უკვე მუშაობენ გეოლოგების სპეციალური მზვერავი ბიუროები და მოწყობილია გეოლოგიურ - ტეხნიკური კონტროლი ყველა წარმოებულ ტეხნიკურ ოპერაციებზე.**

სწარმოებს აგრეთვე ცალკე ნავთიანი ადგილების პროდუქციულობის მეცნიერული შესწავლა, ლაბორატორიული გამოკვლევები და სხვ.

უ კ რ ა ი ნ ა

გაზაფხული

კიევი, 20 აპრილი. დნეპრზე თავიდან ბოლომდე ყინული გადნა. მოსალოდნელია დიდი წყალდიდობა.

ხარკოვი, 20 აპრილი. უკრაინის მეტ წილ ოლქებში დაიწყო საგაზაფხულო თესვა. გლეხობას ესაჭიროება სასოფლო - სამეურნეო მანქანები. დაიჭირა თბილი ამინდი, რომელიც სავსებით ხელს უწყობს თესვას.

პროვოკატორ ქალის გასამართლება

მოსკოვი, 20 აპრილი. სასამართლოში „მეფის ოხრანკის ბურჯის" სერებრიაკოვას საქმის გამო დაკითხულ იქნენ მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს სერებრიაკოვას დანაშაული.

მოწმე სმიდოვიჩი ახასიათებს სერებრიაკოვას, როგორც „რევოლიუციიდან გამოსულ ქალს" და აცხადებს, რომ სხვათაშორის, 1901 წელს სერებრიაკოვამ გასცა სოციალ-დემოკრატების მოსკოვის ორგანიზაცია.

მოწმეების — ანნა ილიას ასულ **ელიაზაროვას** და **ლუნაჩარსკის** დაკითხვის შემდეგ, მოწმე **ანარაუდი** სასამართლომ პასუხისგებაში მისცა ცრუმოწმეობისათვის (მისი ჩვენება სასამართლოში ეწინააღმდეგებოდა წინასწარ გამოძიებაზე მიცემულ ჩვენებას).

18 აპრილს, საღამოს, დაკითხულ იქნა მოწმე ავდეევი, რომელსაც დაკითხვის შემდეგ გული წაუვიდა და გარდაიცვალა. ექიმმა გამოარკვია, რომ ავდეევის სიკვდილი გამოწვეულია გულის გასკდომით. ავდეევი კომუნისტი იყო 1904 წლიდან. ის ერთ დროს კოლჩაკოველებს ჩაუვარდა ხელში, მას დახვრეტა მოელოდა, მაგრამ მოახერხა განთავისუფლება. ბევრჯერ ყოფილა დაჭრილი, ყველა ჭრილობა გადაიტანია, მხოლოდ გულის ავადმყოფობა დასჩემდა.

საკავშირო ცაკის სესია

სისხლის სამართლის კოდექსის შეცვლა.

მოსკოვი, 20 აპრილი. საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 19 აპრილის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები საბჭოთა კავშირის და [illegible] სისხლის სამართლის კანონმდებლობის მთავარ საფუძვლების შეცვლის შესახებ.

მოხსენება სისხლის სამართლის კანონმდებლობის მომქმედ საფუძვლების შეცვლის შესახებ გააკეთა **კრილენკომ**, მოხსენება სახელმწიფოებრივ ბოროტმოქმედებათა შესახებ—**ვინოკუროვმა.**

კრილენკოს მოხსენება.

„სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები,—განაცხადა კრილენკომ, — ცაკის მიერ მიღებულ იქნა 1924 წლ. ოქტომბერში. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამ საფუძვლების პრაქტიკაში გამოყენების დროს გამოირკვა, რომ საჭიროა მათში მთელი რიგი შესწორებების შეტანა. განსაკუთრებით სერიოზული პრინციპიალური შესწორებები შეტანილია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების მე-31-ე და მე-32-ე მუხლებში. ეს მუხლები განსაზღვრავენ დანაშაულის დამძიმებას, ან შემსუბუქებას იმ გარემოების მიხედვით, თუ რომელი წრიდან, ან კლასიდან არის გამოსული დამნაშავე. ამგვარად ვღებულობთ შემდეგ სურათს: თუ დანაშაულობა ჩაიდინა 2 პირმა, რომელთა შორის ერთი ეკუთვნის ექსპლოატატორების კლასს, მეორე კი მშრომელთა კლასს, კანონი პირველს სჯის უფრო სასტიკად, მეორეს—უფრო მსუბუქად. ცაკის სესიამ სცნო, რომ სასჯელის ზომების ასეთი განსაზღვრა არ არის სწორი, და დაადგინა გაუქმებულ იქნეს ასეთი მიდგომა, ვინაიდან სოციალური დაცვის კონკრეტიული ზომა არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს კლასობრივი წარმოშობის მიხედვით; ამ საკითხის გადაჭრაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხს, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ესა თუ ის ბოროტმოქმედება, ან პირი. თავის თავად ცხადია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის მიზეზები, რომელთაც აიძულეს ადამიანი ჩაედინა ბოროტმოქმედება, მაგრამ სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს არ უნდა გამოვდიოდეთ იმ მოსაზრებიდან, თუ რომელი კლასიდან არის გამოსული დამნაშავე.

ვინოკუროვის მოხსენება.

მომხსენებელი სახელმწიფოებრივ ბოროტმოქმედებათა შესახებ **ვინოკუროვი**, [illegible] რა ანალიზს კონტრ-რევოლიუციონური [illegible] არის ბოროტმოქმედებანი, ჩადენილი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის წინააღმდეგ, მიმართული მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამხობის, ძირის გამოთხრის და შესუსტებისაკენ, ან რომელიც ემუქრება კავშირის უშიშროებას გარედან, ემუქრება მის მეურნეობას — აღნიშნავს, რომ საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს პროექტში საბჭოთა რუსეთის და საბჭოთა უკრაინის სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შედარებით ახალია მუხლი 10, რომელიც არ არის მოხსენებული არც ერთ რესპუბლიკანურ კოდექსში. ამ მუხლში ლაპარაკია მასების ნაციონალურ და რელიგიურ შუღლის და ცრუმორწმუნეობის გამოყენების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თითქმის ყველა მუხლები ცალკე კონტრ-რევოლიუციონური ბოროტმოქმედებისათვის აწესებენ დახვრეტას, ან კავშირის საზღვრებიდან სამუდამოთ გადასახლებას. უმაღლესი ზომის სასჯელის შემცირება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემამსუბუქებელი გარემოებანი. სასჯელის ზომის შემცირება შეუძლებელია ისეთი დანაშაულობის დროს, როგორიც არის ჯაშუშობა, რომლისთვისაც დაწესებულია მხოლოდ დახვრეტა და გაძევება.

კამათი.

კამათი მოხსენების გარშემო სწარმოებდა ცალკ-ცალკე საკავშირო საბჭოში და ეროვნებათა საბჭოში.

კრილენკოს და **ვინოკუროვის** საბოლოო სიტყვების შემდეგ, საკავშირო საბჭომ დაადგინა დაარსდეს კომისია სახ. კომისართა საბჭოს მიერ წამოყენებულ პროექტების განსახილველად. კომისიაში შედიან **სკრიპნიკი, სოლცი, კრილენკო, ვინოკუროვი, რიაზანოვი, ვეტოშკინი, რეიხელი, კატანიანი, არისტოვი** და სხვ.

ამხ. თოდრიას სიტყვა

მოსკოვი, 20 აპრილი. „ამხანაგებო, მე აქ გამოვდივარ, როგორც პატარა ეროვნების, საქართველოს წარმომადგენელი იმ კამათთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართა ჩუბარის მოხსენების ირგვლივ.

ლარინის აზრით გამოდის, რომ ჩვენ—პატარა რესპუბლიკები და პატარა ეროვნებები—გამოვედით მჩაგვრელების და არა ჩაგრულთა როლში. ლარინის სიტყვა რომ ცოტად გავაშალაშინოთ და გადავცეთ რადიოთი მსხვილი ბურჟუაზიის მიერ დაჩაგრულ ერებს, ამაზე უკეთეს მასალას ამ ერებს შორის პროპაგანდისათვის ჩვენ ვერ ვიშოვით. ისინი იფიქრებენ—აი რას ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლება. პატარა ერები შურს იძიებენ და სამაგიეროს უხდევენ იმ ერებს, რომელნიც მათ წინად სჩაგრავდენ.

ზედმეტია ლაპარაკი რუსული ენის შევიწროების და შეზღუდვის შესახებ კავშირის საზღვრებში.

ადგილებზე ხშირად ჩივიან, რომ რუსული ლიტერატურა და ენა ჩრდილავს ყველაფერს და ადგილობრივ კულტურას გასაქანი არა აქვს. ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია ამა თუ იმ ეროვნების ენის სიძლიერის და ისტორიულ განვითარებისაგან.

მაგრამ ლარინის სიტყვა შეიძლება რამოდენიმეთ მართალი იყვეს. შესაძლებელია, რომ უკრაინელი ამხანაგების სურვილის გარეშე ადგილი აქვს ზოგიერთ შეცდომებს.

მე მოვიყვან მაგალითს საქართველოს სინამდვილიდან. ჩვენმა წვრილბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ, ისარგებლა რა თავისუფლებით, მოინდომა მისი აბსურდამდე მიყვანა ენის განვითარების საკითხში. ათეული წლების განმავლობაში, როცა საქართველო დამონებული იყო რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ, რუსული ენა იჭრებოდა საქართველოს ლიტერატურაში და უკანასკნელი ითვისებდა ბევრ რუსულ სიტყვას. ხალხმაც შეითვისა ეს სიტყვები, ხმარობდა მას ლაპარაკში, ეხლა კი ჩვენი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია ცდილობს გამოჩხრიკოს ისტორიული არქივიდან სიტყვები, რომლებიც თვით ჩვენ ქართველებმა დიდი ხანია დაივიწყეთ. ასეთი ზომები გაცილებით უფრო მეტ ზიანს მოუტანს ადგილობრივ ენას, ვინემ რუსულს.

მე ნაკლებ ვიცნობ უკრაინას, მაგრამ საქართველოს მაგალითის მიხედვით მე ვფიქრობდი, რომ ველიკოროსები და მალოროსები—ეს იგივეა, რაც იმერლები და ქართლელები.

მე მგონია, რომ ისინი განსხვავდებიან მხოლოდ ტემპერამენტით, მჭერმეტყველობით და მოქნილობით. თურმე განსხვავება უფრო დიდი ყოფილა.

თუ ჩვენ გადავაჭარბებთ ნაციონალურ საკითხში, მაშასადამე, აღმოსავლეთში, სამხრეთში, დასავლეთში, ეს ჩვენ დიდათ არ გვავნებს, მაგრამ თუ ჩვენ გადავამეტებთ ნაციონალურ საკითხში საბჭოთა კავშირის ისეთ ნაწილებში, როგორიც არის ველიკოროსია და უკრაინა და ასეთ დაყოფას მოვახდენთ ამ ორ, ერთმანეთთან ძმურად დაკავშირებულ ხალხს შორის, ეს არ იქნება კარგი.

ჩუბარმა სულ ცოტა სთქვა განათლების საკითხებზე. მან სთქვა, რომ ასი ათასობით გამოდიან სკოლებიდან, მაგრამ მან არ აღნიშნა, რანაირ განათლებას ღებულობენ.

საქართველოში ახალგაზრდობა, რომელიც სკოლებში იზრდება, გამოშვების შემდეგ არაფრისათვის გამოსადეგი არ არის, მათ არაფერი გაეგებათ არც სოფლისა და არც ქალაქის მეურნეობაში. [illegible] ხომ [illegible] არის უკრაინაშიაც?

სასოფლო მეურნეობაში ტრაქტორების გამოყენების შესახებ ჩუბარმა სთქვა, რომ ტრაქტორების ნაწილი კერძო პირებსაც უვარდებათ ხელში. ეს ძალიან ცუდი და საშიში მოვლენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გლეხებს შორის ხელს უწყობთ მემამულეების და კულაკების გაჩენას, მაშინ, როცა გლეხების დიდი ნაწილი უმიწოწყლობას განიცდის.

მოვიყვან მაგალითს:

ჩერნიგოვშჩინიდან საქართველოში ჩამოვიდენ გლეხები, რომელნიც დაეძებდენ მიწას გადმოსასახლებლად. ჩვენ განცვიფრებული დავრჩით. საჭიროა საფუძვლიანად გადასინჯულ იქნეს მიწის საკითხი. უკრაინა ამ მხრივ სამაგალითო რესპუბლიკას უნდა წარმოადგენდეს. ნაციონალურ და სამეურნეო დარგებში მან მაგალითი უნდა მოგვცეს.

უკანასკნელი ცნობები

პანგალოსის სულგრძელობა

ათინა, 19 აპრილი. პანგალოსი უკვე შეუდგა პრეზიდენტის თანამდებობის შესრულებას. ამის გამო მან გამოსცა განკარგულება ოპოზიციაში მყოფ პარტიათა ბელადების და კუნძულ სანტორინზე მოთავსებულ მთელ რიგ პირების განთავისუფლების შესახებ.

ზავის დაჩქარებას მოითხოვენ

პარიზი, 19 აპრილი. ფრანგული გაზეთი „ტან" უკეთებს რა კომენტარიებს რიფების და ისპანია-საფრანგეთის დელეგატების პირველ შეხვედრას, მოითხოვს მოლაპარაკების დაჩქარებას. „არ შეიძლება, სწერს გაზეთი, მოლაპარაკების გაჭიანურება რადგან გაზაფხული ხელსაყრელი დროა შეტევისათვის რიფების წინააღმდეგ, თუ ზავის ჩამოგდება არ მოხდა".

კონსერვატორების მოგზაურობას იწონებენ

ლონდონი, 19 აპრილი. ლონდონის კონსერვატიული გაზეთი „ობსერვერ"-ი მიზანშეწონილად აღიარებს ინგლისის პარლამენტის კონსერვატორ წევრების მოგზაურობას საბჭოთა კავშირში.

„მოგზაურობას, სწერს გაზეთი, შეუძლია გაადნოს ყინული ინგლის-საბჭოთა ურთიერთობაში".

კაიოს სიტყვა

პარიზი. 19 აპრილი. საფრანგეთის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა კაიომ, თავის საარჩევნო ოლქში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც შეეხო საფრანგეთის ფინანსიურ კრიზისს.

„ეხლანდელი ფინანსიური გასაჭირი, სთქვა მან, ჯერ არ არის დამთავრებული, უმთავრესი სიძნელენი წინ არის. კაიო მოუწოდებდა „დიდი პარტიის" დაარსებისაკენ, რომელიც „გააერთიანებს ყველა დემოკრატებს" რევოლუციის, დემაგოგიის და ფაშიზმის წინააღმდეგ.

მემარჯვენე წრეებში თვლიან, რომ კაიომ ამ სიტყვით თავისი თავი პრემიერის თანამდებობაზე წამოაყენა ერიოს კონკურენტად.

ემშანოვის დანიშვნა.

ხარბინი, 20 აპრილი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის უფროსმა ამხ. ივანოვმა შეიტანა გამგეობაში თხოვნა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

გამგეობამ, სხდომაზე, დააკმაყოფილა მისი თხოვნა და რკინის გზის უფროსად დაამტკიცა **ემშანოვი**.

ოტტო ბაუერის გამოსვლა.

ვენა, 19 აპრილი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ვენის ორგანიზაციის თანამდებობის პირთა კრებაზე მოხსენებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირში მყოფ დელეგაციის წევრები.

დაახასიათეს რა საბჭოთა კავშირის მიღწევები, ისინი მოითხოვდენ მთელიანობისათვის მხარის დაჭერას.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ოტტო ბაუერი, რომელმაც თუმცა აღიარა საბჭოთა კავშირის „ეკონომიური წინსვლა, მაგრამ მაინც გაილაშქრა მის წინააღმდეგ, რადგან საბჭოთა ხელისუფლება არ აძლევს მენშევიკებს ლეგალურ პირობებში მუშაობის საშუალებას, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ომი დამთავრებულია.

კრება, ბაუერის გამოსვლის მიუხედავათ, ღრმა სიმპატიითა და ინტერესით მოეკიდა დელეგაციის ანგარიშს.

* * *

ფუნტიკოვის გასამართლება

მოწმე დანიელიანის ჩვენება

ბაქო, 19 აპრილი. სხდომის მესამე დღის მოწმე პლეშაკოვის დაკითხვის შემდეგ, სახელმწიფო ბრალმდებელის შუამდგომლობით. სასამართლო ბრძანებს დაკითხულ იქნეს ახალი მოწმე დანიელიანი, რომელიც სასამართლოს სხდომის დარბაზში იმყოფება.

მოწმე განმარტავს იმ პირობებს, რომელიც წინ უძღოდა დაშნაკელების მიერ მოწყობილ ორივე თავდასხმას სტეფანე შაუმიანზე.

მოწმე ცნობას იძლევა იმ წერილის შინაარსზე, რომელიც აღმოჩნდა ბაქოს ფრონტზე მის მიერ მოკლულ მოწინააღმდეგეს. წერილი ეკუთვნოდა არზუმანიანს, დაშნაკელების ცენტრალური ორგანიზაციის და აგრეთვე ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელს. წერილში არზუმანიანი იტყობინებოდა, რომ ის უკვე ოსმალეთის ჯარის ნაწილებში იმყოფება და რომ ოსმალების და დაშნაკელების შორის ზავია ჩამოგდებული და საჭიროა გაერთიანებული ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ლევ დალინის ჩვენება

სხდომის ყველაზე უფრო საინტერესო ნაწილს წარმოადგენს ლევ დალინის დაკითხვა. ლევ დალინი იყო ესერი, ცენტროკასპიის დიქტატურის საგანგებო საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბაქოში და მაშინდელ სამხედრო კონტრ-დაზვერვის ხელმძღვანელი.

ის 1920 წლის ბოლოს გამოვიდა პარტიიდან, რადგან, როგორც თვითონ ამბობს დარწმუნდა, რომ მის მუშაობას ნიადაგი აღარ ჰქონდა.

მოწმის სიტყვით, ბოლშევიკების დაპატიმრებას კომისიის მიერ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და, თუმცა ეს მის მოვალეობაში არ შედიოდა, მოწმე ბევრს ანთავისუფლებდა, ან თავდებს ქვეშ უშვებდა. მისი უფროსები უკმაყოფილო იყვენ ასე ლმობიერი მოპყრობით დაპატიმრებულებისადმი.

სასამართლოს თავმჯდომარე აქვეყნებს ესერების კომისიის ყოფილ გამომძიებელ ჟუკოვის ჩვენებას, რომელიც მან წინასწარ გამოძიების დროს მისცა.

ჟუკოვის ჩვენება ეხება იმ გარემოებას, რომელიც წინ უძღოდა შაუმიანისათვის პორტფელის ჩამორთმევას დოკუმენტებთან და ფულთან ერთად.

დალინი კატეგორიულად უარჰყოფს ამ ადგილს ჟუკოვის ჩვენებიდან და აგრეთვე იმ გარემოებას, თითქოს მას ებრძანებინოს ჟუკოვისათვის, რომ ის დასწრებოდა ბაქოს დაპატიმრებულ კომუნისტებთან ლაპარაკის დროს ციხეში.

თავმჯდომარის შეკითხვაზე რა და რა ბრალდება წარუდგინა საგამომძიებლო კომისიამ ბაქოს კომისრებს, მოწმე აცხადებს, რომ არავითარი დოკუმენტი, რომელზედაც შეიძლებოდა ბრალდების დამყარება, არ არსებობდა. იყო მხოლოდ დაუსაბუთებელი ბრალდება, რომ კომისრებმა ბაქოს ფრონტი ოსმალებს გაუხსნეს.

სურენ შაუმიანის ჩვენება

დალინის შემდეგ სასამართლოს მიერ დაკითხულ იქნა სტეფანე შაუმიანის შვილი 24 წლის სურენ შაუმიანი.

სურენ შაუმიანის ჩვენება ერთი საათი გრძელდება. ის დაწვრილებით ეხება დაპატიმრებულ კომუნისტების ბაილოვის ციხიდან განთავისუფლებას და მათ საბედისწერო გამგზავრებას გემ „ტურკმენ"-ზე.

მოწმის ჩვენება ბევრ ახალ გარემოებას აშუქებს: სტეფანე შაუმიანის დაკითხვის დროს, რომელსაც აწარმოებდა საგანგებო კომისიის გამომძიებელი, ესერი ჟუკოვი, უკანასკნელმა კომისრებს წარუდგინა საშინელი ბრალდება: აბრალებდა მათ ფულის გატაცებას, ოსმალებთან კავშირს, საბაქოს დარბევას და სხვა სისულელეებს.

ესერებს და მენშევიკებს ასეთი გამოძიებით სურდათ სისხლის სამართლის წესით სახელი გაეტეხათ ბაქოს კომისრებისათვის, რადგან დარწმუნებული იყვენენ, რომ პოლიტიკური გასამართლებით მათ ავტორიტეტს ვერ შეარყევდენ.

ესერების საქციელიდან შეიძლებოდა ასეთი დასკვნის გამოტანა, რომ მათ გადასწყვიტეს კომისრების ბაქოში დატოვება, რათა იქ ისინი ოსმალებს გაეჟლიტათ.

სურენ შაუმიანის დაკითხვით დასრულდა უზენაეს სასამართლოს 19 აპრილის სხდომა.

როდის იქნება განაჩენი?

ბაქო, 19 აპრილი. განაჩენი ფუნტიკოვის საქმეზე, ალბად, გამოტანილი იქნება 24 აპრილს.

ბაქო, 20 აპრილი. 20 აპრილის სხდომაზე სასამართლომ დაჰკითხა მოწმე ნ. ღოღობერიძეს, და გამოაქვეყნა ტერ გაბრიელიანის, მიქოიანის და მანდელშტამის წერილობითი ჩვენებები.

სტეფანე შაუმიანის წერილების გამოქვეყნების შემდეგ სასამართლო შეუდგა იმ მოწმეების დაკითხვას, რომლებიც გააშუქებენ კასპიის იქითა მხრის ამბებს. პირველად დაკითხეს კასპიის იქითა მხარის რკინის-გზელებს: ხრიაპს და ხრაბროვს.

* * *

ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა უცხოეთთან

(საუბარი საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის რწმუნებულთან ამიერ-კავკასიაში ამხ. ივანიანთან)

პარიზიდან თბილისში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. **ივანიანი**, რომელიც გაგზავნილი იყო საზღვარგარეთ მოლაპარაკების საწარმოებლად იქაურ ფირმებთან ამიერ-კავკასიის ექსპორტისათვის ფინანსების მიწოდების შესახებ.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. **ივანიანმა** განაცხადა შემდეგი:

— თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ჩემზე დაკისრებული მოვალეობა მეტად მნიშვნელოვანი და რთული იყო. ჩვენი იმპორტის გადიდებასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება ამიერ-კავკასიის საექსპორტო ოპერაციები. ასე, მაგალითად, 1923—24 წელში ჩვენ მიერ საზღვარგარეთ გატანილია 9.305.000 მანეთის პროდუქტები; ამაში არ შედის ნავთის პროდუქტები და შავი-ქვა, ნაგულისხმევია მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტები; 1924—25 წელში უკვე გატანილია 9.858.000 მანეთის პროდუქტები, რაც წინა წელთან შედარებით უდრის 115 პროც.

შემდეგ: 1924—25 წლის პირველ ნახევარში გატანილია (ნავთის პროდუქტების და შავი-ქვის გამოკლებით) 4.660 ათასი მანეთის პროდუქტები, 1925—26 წლის პირველ ნახევარში კი—5.075 ათასი მანეთის პროდუქტები, რაც წინა წელთან შედარებით შეადგენს 130 პროც., ექსპორტის შემდგომ განვითარებას ხელს უშლის საჭირო თანხების უქონლობა.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, რომლის ამოცანას შეადგენს არა მარტო ექსპორტის გადიდება, არამედ ხელის შეწყობა ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობათა განვითარებისათვის, უკანასკნელ საზღვრამდი მივიდა თავისი განსაზღვრული თანხების გამოყენების საქმეში და მისთვის ფინანსების მიწოდება საზღვარგარეთელი ბაზრების მიერ, რომლებიც დაინტერესებული არიან ჩვენი ნედლი მასალით—გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ჩემი მოლაპარაკების მთავარ საგანს შეადგენდა ფინანსების მიწოდება აბრეშუმის პარკის, ხალიჩების და თამბაქოს ექსპორტისათვის.

ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთის და იტალიის ფირმებთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მე შევძელი ხელშეკრულების დადება იტალიის კომერციულ ბანკთან 30.000 ფუთ აბრეშუმის პარკის დამზადებისათვის ფინანსების მიწოდების შესახებ 2.500.000 მანეთის რაოდენობით. ხელშეკრულება შედგენილია ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ და დამტკიცებულია ვაჭრობის სახალხო კომისარის მიერ. ბანკიდან უკვე მიღებულია პირველი თანხა 400.000 მანეთი.

ჩვენი აბრეშუმის პარკის ყველაზე მსხვილი გამსაღებელია იტალია (მილანი) და შემდეგ საფრანგეთი (მარსელი).

ჩემ მიერ დადებული იქნა აგრეთვე ხელშეკრულება ინგლისის ერთ-ერთ ფირმასთან, რომლის ძალით ეს ფირმა ვალდებულია მიაწოდოს ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ხალიჩების დამზადებისათვის კრედიტი 1000.000—1.500.000 მანეთამდე.

ჩვენი ხალიჩები ყველაზე უფრო მეტათ საღდება ამერიკაში. ხალიჩებს ყიდულობენ ამერიკელები, უმთავრესად, სტამბოლში და ლონდონში. სტამბოლის ბაზა ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ გამოყენებულია სავსებით. ამჟამად სდგას ლონდონის ბაზის გაძლიერების საკითხი.

რაც შეეხება თამბაქოს, იგი უმთავრესად მიდის ეგვიპტეში, ამერიკაში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, პოლონეთში და ავსტრიაში.

თამბაქოს დამზადებისათვის ფინანსების მიწოდების შესახებ მე მოლაპარაკებას ვაწარმოებდი ცნობილ ფირმა „ჟენერალ ლე-ტაბაკ"-თან. ფირმასთან დადებულ შეთანხმების ძალით ჩვენ მივიღებთ კრედიტს 2.000.000 მანეთის რაოდენობით. შეთანხმება ჯერ კიდევ არ არის სავსებით ჩამოყალიბებული.

მ.-გ. მილიციის ხუთი წლის თავი

ალლუმი თავისუფლების მოედანზე

გუშინ, შუადღის 12 საათზე თავისუფლების მოედანზე გამართა მუშათა და გლეხთა მილიციის ალლუმი მისი არსებობის 5 წლის თავის შესრულების გამო.

ალლუმში მონაწილეობა მიიღეს მილიციის ცხენოსანთა რაზმა, სამაზრო მილიციამ, სისხლის სამართლის მილიციამ, საველოსიპედო რაზმმა და მილიციის ყველა რაიონების თანამშრომლებმა.

ნაშუადღევის პირველ საათზე ალლუმზე გამოცხადდენ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ი. ხარაბაძე**, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ს. ჯუღელი**, შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ამხ. **მათიკაშვილი**, იუსტ. სახ. კომისარი ამხ. **ვარძიელი**, ამხ. **ლ. ქართველიშვილი**, ამხ. ივანოვ-კავკასიელი და სხვები.

მთავრობის წევრებმა ჩამოიარეს და მიესალმენ მწყობრად ჩამწკრივებულ მილიციელთა რიგებს.

შემდეგ მილიციის სკოლის უფროსმა ამხ. **მირიანაშვილმა** წაიკითხა მთავრობის ბრძანება მილიციის მუშაკთა დაჯილდოვების შესახებ.

ბრძანების წაკითხვის დასრულებისთანავე, ამხ. ჯუღელმა, ამხ. მათიკაშვილმა და ამხ. მიქაძემ ამხ. ს. ხმალაძეს გადასცეს ბრძანებში აღნიშნული საპატიო იარაღი; საპატიო მილიციელის ნიშანი დაურიგეს აგრეთვე მილიციის 8 თანამშრომელს. საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა კავშირის სახელით მილიციას მიესალმა ამხ. **ათოევი**, რომელმაც ამასთანავე გადასცა დროშა.

— ამ დროშის წინაშე,—განაცხადა დროშის ჩაბარების დროს,—ამხ. ხმალაძემ ჩვენ ფიცს ვდებთ—უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ მთელი ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას.

სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მილიციას მიესალმა ამხ. **ჯუღელი**.

— მაშინ, როცა ჩვენი რესპუბლიკა,—ამბობს ამხ. **ჯუღელი**, გარშემორტყმული იყო მტრებით, მილიცია ფხიზლად იდგა თავის სადარაჯოზე და მზად იყო თავი გაეწირა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

— ჩვენი მუშურ-გლეხური მილიცია—ამბობს ამხ. **ი. ხარაბაძე** ღირსია იმ ქების, რომელიც მის მისამართით ისმის ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან.—გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ მილიციას!

— მ-გ. მილიცია იგივე წითელი არმიაა, რომელიც პირველ მოწოდებისთანავე იცავდა და იცავს საბჭოთა ხელისუფლებას. დასძინა წითელი არმიის წარმომადგენელმა.

მისალმებათა დამთავრების შემდეგ მილიციის სახელით მთავრობას მადლობა გადაუხადა ამხ. **შ. კილურაძემ** განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვისათვის.

ალლუმი დასრულდა ცერემონიალურ გავლით ქალაქის მთავარ ქუჩებზე.

საზეიმო სხდომა ოპერის თეატრში

გუშინ, სალამოს 8 საათზე შესდგა საზეიმო სხდომა მ.-გ. მილიციის პატივსაცემლად. სხდომა გახსნა ამხ. **ვარძიელმა**, რომელმაც მოკლედ დაახასიათა მილიციის მრავალფეროვანი [illegible] ადმინისტრატიული მუშაობა, რევოლუციონური კანონიერების გატარება სასამართლო მოვალეობის [illegible] და მილიციის [illegible] მუშაობის გაგრძელება.

სხდომის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ ამხანაგები: **კალინინი, სტალინი, რიკოვი, მახარაძე, ცხაკაია, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი და სუხიშვილი.**

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მილიციას მიესალმა ამხ. **იოსებ ხარაბაძე**, რომელმაც ხაზი გაუსვა მშრომელ მოსახლეობის და მილიციის შორის არსებულ მჭიდრო კავშირს.

ამხ. **შამშე ლეჟავამ**, რომელმაც მილიციას მიესალმა საქ. კომპარტიის ცეკას სახელით, ურჩია მას რევოლუციონური გათვითცნობიერება და სიმტკიცე.

შემდეგი მისალმების სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ქვათარაძემ; რკინისგზის მუშების სახელით ამხ. **ლორთქიფანიძემ**, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს წარმომადგენელმა, იუსტიციის სახალხო კომისარიატის სახელით ამხ. **ოდილავაძემ**.

ორატორებმა დაწვრილებით და ყოველი მხრივ შეაფასეს წითელი მილიციის დიდი როლი და დამსახურება საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და უსურვეს მას წარმატება.

სიტყვების შემდეგ მოკლე მოხსენება გააკეთა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. **შ. მათიკაშვილმა**,

წაკითხულ იქნა მილიციის სახელზე მოსული მრავალი მისალოცი დეპეშები.

დასასრულ საქ. ცაკის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ხარაბაძემ** დაურიგა ჯილდოები მილიციის იმ ერთგულ მუშაკთ, რომელთა გვარები მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

აუდიტორია დიდი აღფრთოვანებით შეეგება თბილისის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსის მოადგილის ამხ. **შ. კილურაძის** შრომის ორდენით დაჯილდოებას.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ გამართა კონცერტი.

ეკონომიური ცხოვრება

პროვინციის ბაზრების მდგომარეობა აპრილის პირველ ნახევარში

თელავი

ბაზარი გაცხოველებულია. გაძლიერებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოტანა. მიუხედავათ ამისა, ზოგიერთი პროდუქტების ფასები იზრდება, რადგან ეს პროდუქტები მცირე რაოდენობით მოიპოვება.

გაძლიერებული მოთხოვნილება ნედლ ტყავეულობაზე, რომელიც ბაზარზე ცოტაა, რადგან საქონლის დაკვლა უკანასკნელ ხანებში შემცირდა.

სამრეწველო საქონლიდან განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა მანუფაქტურაზე. სამომხმარებლო საზოგადოებამ მიიღო მანუფაქტურის ახალი პარტია. დიდი მოთხოვნილებაა შაბიამანზე, რომელიც სრულებით არ იშოვება ბაზარზე.

სიღნაღი

ბაზრის მდგომარეობა მერყევია. მიუხედავად დღესასწაულების მოახლოვებისა, ვაჭრობა არა თუ იზრდება, არამედ მცირდება კიდეც, რადგან გლეხების სყიდვითი უნარიანობა დაეცა. გაიიაფა ხორბლეული, რაც გამოწვეულია მოთხოვნილების შემცირებით. მდგომარეობას ართულებს საქონლის კრედიტის შემცირება, რის გამო კოოპერაციას საშუალება არა აქვს შემოიტანოს საჭირო საქონელი, რომლის მარაგი თანდათან მცირდება.

გაძვირდა ხორცი. ამას წინად მოსულმა თოვლმა დიდი ზიანი მიაყენა მესაქონლეობას. სამაზრო აღმასკომი ყოველგვარ დახმარებას უწევს მესაქონლეობას; სასოფლო-სამეურნეო ბანკის ადგილობრივმა განყოფილებამ ამავე საჭიროებისთვის გადასდო 1.500 მანეთი.

ქუთაისი

ბაზარი გაცხოველებულია. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ფართლეულობის განყოფილებამ მიიღო ბამბეული მანუფაქტურის დიდი პარტია; ფასები უცვლელია.

ბაზარზე არ იშოვება კალოშები, რომლის მოთხოვნილება თოვლის დნობის გამო დიდია. კერძო პირებს აკრძალული აქვთ ხორბლეულის შემოტანა ყუბანიდან, ამის გამო პურის მარაგი კერძო სავაჭროებში თავდება; ზოგიერთმა ვაჭრებმა სრულიად შესწყვიტეს ვაჭრობა, როგორც ქუთაისში, ისე პროვინციაში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები მტკიცეა.

* * *

სახალხო კომისართა საბჭოში

ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების პროექტი საკავშირო მასშტაბით სოფლის მეურნეობის მავნებლებთან გეგმიანი ბრძოლის წარმოების შესახებ გადაეცა კომისიას ამხ. ა. გეგეჭკორის (თავმჯდომარე), კანდელაკისა და რცხილაძის შემადგენლობით საბოლოო დასკვნის მისაცემად.

საჯარო ბიბლიოთეკის შესახებ

სახალხო კომისართა საბჭომ ამოირჩია კომისია ამხ. დ. კანდელაკისა (თავმჯდომარე), ვარძიელის, სალარიძის და ბაბუნაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დავალებული აქვს სასწრაფო წესით გამოძებნოს ქალაქის ცენტრში შესაფერი შენობა საჯარო ბიბლიოთეკის საჭიროებისათვის.

ნავთ-საწყობების ხანძრისაგან დამცველ კომისიის დაარსება

ნავთსაწყობების ხანძრისაგან დამცველი კომისია, თანახმად ს. მ. უ. ს. წარმომადგენლის, დამტკიცებულ იქნა ამხ. ბორკონის (თავმჯდომარე), მატვეევისა, მარტიროსიანის, ტერიანისა, ა. ბერიძისა და გულიევის შემადგენლობით.

მუშა-მოსამსახურეთა შრომის ხელფასის შესახებ

საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი დადგენილება საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა შრომის ხელფასის საქმის მოწესრიგების შესახებ დამტკიცებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ.

1-ლი ქართული ცხენოსანი ლეგიონის 5 წლის თავი

სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო, რათა 1-ლ ქართულ ცხენოსან ლეგიონს ა.-წ. აპრილის 30-ს მისი დაარსებიდან 5 წლის შესრულების გამო გადაეცეს სახალხო კომისართა საბჭოს სახელით დროშა (შტანდარტი).

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს კოლეგიის დაარსება

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს საშეცნიერო მეთოდოლოგიური კოლეგია დამტკიცებულ იქნა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ა. რუხაძე (თავმჯდომარე), ჩიგოგიძე, გოგიჩაიშვილი, კუპრეიშვილი, კოლესნიკოვი, ყორიაშვილი, ბოლანდია, ფრაძე, ნუცუბიძე და ჩახვაძე.

სამმართველოს ადმინისტრატიულ-ფინანსიური საკითხების მომწესრიგებელი მცირე კოლეგია დამტკიცდა ამხ. ა. რუხაძის (თავმჯდომარე), ჩიგოგიძისა და ოდიშარიას შემადგენლობით.

თბილისის საბჭოს სექციებში

ორშაბათს, 19 აპრილს, შესდგა თბილისის საბჭოს სექციების მორიგი სხდომები.

კომუნალური სექცია

კომუნალურ სექციის მორიგ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ინჟ. ლ. დიასამიძემ „ზაჰეს"-ის ენერგიის გამოყენების შესახებ თბილისის წყალსადენის საელექტროფიკაციოთ. მომხსენებლის აზრით, ზემო-ავჭალის მძლავრი ელსადგურის აგება ბუნებრივად გვეკარნახებს, აუცილებლად გამოყენებულ იქნეს მისი ენერგია წყალსადენის საელექტროფიკაციოთ.

წყალსადენი წარმოადგენს ზაჰესისათვის ხელსაყრელ აბონენტს, ვინაიდან დატვირთვა იქნება დიდი და მუდმივი, როგორც დღით, აგრეთვე ღამით.

წყალსადენის საელექტროფიკაციოდ გამომუშავებულია ორი ვარიანტი: მინიმუმი და მაქსიმუმი. აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ მიღებულია მინიმუმ ვარიანტი, რომელიც გულისხმობს წყალსადენის ელექტროფიკაციას არსებულ სიმძლავრის წყლის მიწოდების და სისტემის ფარგლებში. შედარებით ძვირი ძრავების ელექტრომოტორებით შეცვლას, ამ ვარიანტით წყალსადენის ელექტროფიკაციას სჭირდება 110 ათასი მანეთი.

თუ „ზაჰესი" წყალსადენს კილოუატსაათს 2 კაპ. მიაწოდებს, არსებულ ხარჯებთან შედარებით (128.070 მან.) მივიღებთ 65.560 ეკონომიას წლიურად, ანუ ყოველ 1000 ვედრო დაჯდება არა უმეტეს 14,2 კაპიკისა (ამჟამად თითო 1000 ვედრო ჯდება საშუალოდ—29,1 კ.); ე. ი. თითქმის 1000 ვედროზე ვიღებთ 51% ეკონომიას.

იმ შემთხვევაში, თუ წყალსადენს კილოვატსაათი 3 კაპიკათ დაუჯდება, არსებულთან შედარებით ეკონომია (მოგება) იქნება 50.380 მანეთი, ანუ 1000 ვედრო დაჯდება—17,7 კაპ., ანუ არსებულთან შედარებით 40% ნაკლები.

ელექტროფიკაციის გეგმის მინიმუმ ვარიანტის მიხედვით, იმუშავებენ ძველი წყლის ტურბინები და ორი ელექტრომოტორი. იმ შემთხვევაში, თუ კილოვატსაათი 2 კაპიკზე მეტი არ ეღირება, თუ ტარიფად მიღებულ იქნება 3 კაპიკი, მაშინ საჭიროა აგრეგატათ დიზელიც უნდა დარჩეს.

შეკითხვების და აზრთა მცირე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სექციამ დაადასტურა აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება მინიმუმ-ვარიანტის განხორციელების შესახებ.

საფინანსო სექცია

ფინანსიურმა სექციამ მორიგ სხდომაზე, მოისმინა ამხ. ტ. გავაშელის მოხსენება სექციის სამი თვის (აპრილი, მაისი, ივნისი) მუშაობის გეგმის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის და კამათის შემდეგ დამტკიცებულ იქნა 3 თვის მუშაობის შემდეგი გეგმა:

1) თანხების დახარჯვის მიზანშეწონილობის გამოკვლევა ცალკე გამგეობებში მიხედვით მიმდინარე საბიუჯეტო წლისა.

2) დამატებითი ბიუჯეტის დამუშავება 1926 წლის 3 თვისათვის (ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი).

3) წინასწარი მასალების დამუშავება 1927 წლის ბიუჯეტისათვის.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება ფინანსიურ განყოფილებებთან მიმაგრებულ სექციის წევრთა მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ სექციამ დაადგინა: მოეთხოვოს წერილობითი მოხსენება ფინანსიურ განყოფილებებთან მიმაგრებულ სექციის თვითეულ წევრს და დაევალოს გადასახადი [illegible] წარუდგინოს მოხსენებები განსახილველად აღმასკომის პრეზიდიუმს.

დასასრულ სექციის წევრები მიმაგრებულ იქნენ აღმასკომის განყოფილებებთან თანხების ხარჯვის მიზანშეწონილობის შესასწავლად.

ჯანმრთელობის სექცია

სექციამ მოისმინა ექ. ჩხეიძის მოხსენება საბურთალოს მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საბურთალოს ყველა ნაკლულოვანებებს: სინათლის, წყალსადენის, გზების უქონლობას, დაბინძურებული ადგილების სიმრავლეს და მალარიით დაავადებულთა დიდ რაოდენობას.

მოხსენების მიხედვით სექციამ დაადგინა—მოხსენებიდან გამოჰყოს პირველი რიგის და მნიშვნელობის საკითხები და მინიმუმ-პროგრამის სახით წარუდგინოს აღმასკომის [illegible] ღონისძიებათა გამოსამუშავებლად საბურთალოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

შემდეგ სექციამ მოისმინა რა მოხსენება ქალაქის ცენტრალური საბანის და ბაქოების სანიტარული მდგომარეობის შესახებ, დაადგინა გამოჰყოს სპეციალური კომისია ბანების დასათვალიერებლად და სათანადო ღონისძიებათა გამოსამუშავებლად ბანების სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

პარტიული ცხოვრება

წიგნები სოფელს

მოსკოვი, 20 აპრილი. საკავშირო კომპარტიის ცეკას აგიტპროპ განყოფილებასთან შესდგა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი სოფლის საბიბლიოთეკო ქსელის მომარაგების შესახებ პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ.

თათბირმა დაადგინა, საჭირო შემთხვევაში იმართებოდეს თათბირები პოლიტგანმანათლების, სახალხო განათლების განყოფილებების, კულტგანყოფილების, საშეფო კომისიების, კოოპერატიულ ორგანიზაციების, კომკავშირის, ქალთა განყოფილებების, ცენტრალური ბიბლიოთეკების და სხვ. წარმომადგენლების მონაწილეობით. თათბირებმა უნდა გამოიმუშაონ შეთანხმებული გეგმა ბიბლიოთეკების წიგნებით მოსამარაგებლად.

საკავშირო თათბირი პარტინფორმაციის და სტატისტიკის საკითხებზე

მოსკოვი, 20 აპრილი. გაიხსნა საკავშირო თათბირი პარტიული ინფორმაციის და სტატისტიკის საკითხებზე. თათბირის მიზანია, —იმ გამოცდილების მიხედვით, რომელიც საკავშირო კომ. (ბ) ცეკას აქვს სტატისტიკის და ინფორმაციის დარგში, გამოიმუშაოს მუშაობის უახლოესი გზები, მეთოდები და ფორმები, რომელიც გაადვილებს იმ ამოცანების შესრულებას, რომელიც პარტიის წინაშე მე-14-ე ყრილობამ წამოაყენა.

კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის

(გორის მაზრა)

გორის სამაზ. კომიტეტის პლენუმმა 12 აპრილის სხდომაზე კოოპერაციის გაჯანსაღების მიზნით გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1. ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული ფულების განაღდების მიზნით.

2. იქ, სადაც გამგეობის წევრთა რაოდენობა იძლევა ფრაქციის ჩამოყალიბების საშუალებას, ასეთები ჩამოყალიბებულ იქნეს.

3. ჩატარებული იქნეს კამპანია, რათა თვითეული პარტიის და კომკავშირის წევრი და კანდიდატი გახდეს კოოპერატივის წევრი.

4. საქონლის ნისიების გაცემა კოოპერატივებიდან, გამგეობის პასუხისმგებელ წევრებს შეუძლიათ ასეთი გასცენ თავის პასუხისმგებლობის ქვეშ, იმ პირობით, რომ გაცემული ნისია ჯამაგირიდან დაექირებათ პირველივე მიღების დროს. ნისიის გაცემა და დავალიანების განაღდების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

5. გამგეობის ყველა იმ წევრებს, რომელთაც აქვთ დამოკიდებულება საქონლის მიწოდებასთან—ავანსის მიცემა აკრძალოთ. უკიდურეს შემთხვევაში, აღებული ავანსი ჯამაგირის პირველივე მიღებისთანავე უნდა იქნეს დაფარული მთლიანად. დადგენილების დარღვევაში შემჩნეული დაუყონებლივ მოიხსნას თანამდებობიდან და მიეცეს პასუხისგებაში.

6. იქნეს მიღებული ყოველგვარი ზომები კოოპერაციის საორგანიზაციო ხარჯების შესამცირებლად. შტატების, ზედმეტი ხარჯების და სხვა ასეთების შემოკლებით.

7. გამგეობამ ყოველ ექვს თვეში უნდა ჩააბაროს თავის წევრებს ანგარიშები.

8. იმ გლეხკომების ქონება, რომელთა [illegible] ხდება ამჟამათ, გადაეცეს კოოპერატივებს და დაევალოს ადგილობრივ თემკომებს, რათა ხსენებული ქონებით შეიყვანონ სხვადასხვა თავისუფალ საზოგადოებებში წევრებათ ღარიბისა გლეხები.

რაჭის სამაზრო პარტკომის მუშაობა

რაჭის ორგანიზაციაში თემურ სისტემაზე გადასვლამ პარტიული მუშაობა საგრძნობლად გამოაცოცხლა. ორგანიზაციაში დამყარებულია მტკიცე პარტდისციპლინა. შინაპარტიული დემოკრატია და პარტიის ხაზი სათანადოდ ტარდება. რაჭის სამაზრო ორგანიზაცია აერთიანებს 17 თემკომს და 35 უჯრედს (ამათში ერთი არის საწარმოო უჯრედი). თემკომებზე სამაზრო პარტკომიდან არიან მიმაგრებული ამხანაგები, ამასთან მაზრის ინსტრუქტორები უწევენ ხელმძღვანელობას სუსტ თემკომებს და სოფლის უჯრედებს.

ისინი ხშირად ესწრებიან თემკომების სხდომებს. სამაზრო პარტკომი უჯრედებს უწევს სათანადო ხელმძღვანელობას. უჯრედებთან არსებობს მუდმივი ცოცხალი კავშირი. გარდა ცოცხალი კავშირისა მაზრკომი წერილობით ხელმძღვანელობასაც უწევს თემკომებს და უჯრედებს ცირკულარებით, დირექტივებით და სხვა. ამასთან ერთად ხშირად ხდება ამა თუ იმ თემკომების და უჯრედის მდივნის გამოძახება სამაზრო პარტკომში, სადაც ისინი აკეთებენ მოხსენებას მუშაობის შესახებ.

გლეხკომებში უჯრედები დიდ მუშაობას აწარმოებენ, მაგრამ ჯერ კიდევ არ მოხერხდა ამ ორგანიზაციის გამოჯანსაღება, რადგანაც მაზრა ღარიბია და გლეხკომების ფონდი ვერ გაძლიერდა.

უპარტიო გლეხობასთან დამოკიდებულება კარგია. ხშირად ეწყობა გლეხობასთან გაერთიანებული ღია კრებები, რომლებზედაც უპარტიო გლეხობა ბლომათ ესწრება. უპარტიო გლეხთა ლტოლვა პარტიისაკენ დიდია. ამ გარემოებას მაზრკომმა მიაქცია სერიოზული ყურადღება და ამ მოკლე ხანში მიღებულია პარტიის კანდიდატებათ 199 კაცი. დაარსებულია საკანდიდატო ჯგუფები. მაზრაში არსებობს 30 კომ-სამკითხველო. რომლის გამგეებათ შერჩეული არიან შესაფერი პირები. წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა არის 34—მათში მსმენელთა რაოდენობა უდრის 1.120 კაცს. ქალთა შორის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ჩატარებულ იქნა ხელ-ახალი არჩევნები დელეგატ-ქალების იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელი აღმოჩნდა კრებების ხელმძღვანელების გამოყოფა.

მოჯამაგირე ქალთა შორის მუშაობა სწარმოებს. აყვანილია აღრიცხვაზე ქ. ონის ფარგლებში მცხოვრები მოჯამაგირეები. უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში პარტიაში მიღებულია 14 ქალი.

კომკავშირის სამაზრო ორგანიზაციაზე სამაზრკომის ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებელია.

სამაზრო პარტკომი აწარმოებს აგრეთვე მუშაობას ღარიბის გლეხთა შორის.

რაჭველი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ქობულეთის 7-წლედის უჯრედი

(აჭარისტანი)

ქობულეთის შვიდწლედში არსებობს ა. ლ. კომკავშირის უჯრედი. უჯრედში ირიცხება 28 ამხანაგი. მათ შორის აჭარლები არიან. სხდომები უმთავრესად ღია ეწყობა, უპარტიო მოწაფეობა საკმაოდ ესწრება ღია სხდომებს. უჯრედთან დაარსებულია „რემიდეა"-ს წრე, რომელშიც 41 წევრი ირიცხება.

ნ. ს.

სამხედრო უჯრედების კონფერენცია

(ქუთაისი)

12 აპრილს, ქუთაისში, ქართულ დივიზიის კლუბის დარბაზში შესდგა ქუთაისში მყოფ ქართულ ნაწილების ა. ლ. კომკავშირის უჯრედების კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა ამხ. პატარაიას მოხსენება ა. ლ. კომკავშირის საკავშირო მეშვიდე ყრილობის შედეგზე.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო ყრილობის მუშაობას და გააშუქა ყველა ის საკითხები, რომელიც ყრილობის დღის წესრიგში იდგა. დაახასიათა რა კომკავშირის მდგომარეობა, მომხსენებელმა გააცნო კონფერენციას ყრილობის დადგენილებები.

მომხსენებელს ბევრი შეკითხვები მისცეს, რაზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

მიღებულ რეზოლუციაში კონფერენცია ესალმება ყრილობის მიერ აღებულ მტკიცე ხაზს და ჰპირდება ყოველგვარ გადახრას პარტიის მიერ დასახულ გზიდან.

მ. ქუნია.

ლიტერატურა არ არის

(ლეწურწუმი, ზუგდიდის მაზრა)

ლეწურწუმის ა. ლ. კომკავშირის უჯრედში 31 წევრი და 3 კანდიდატია. კრებები სისტემატიურად იმართება კვირაში ერთხელ. უჯრედის მუშაობა უკანასკნელ ხანებში ძლიერ მოისუსტებდა, რადგან ბიურომ ვერ გამოიჩინა შესაფერისი უნარი. ახალ ბიუროს არჩევის შემდეგ, მდგომარეობა გაუმჯობესდა.

უჯრედთან არსებობს პოლიტწრე, სადაც სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა, მაგრამ წრეს არა აქვს ლიტერატურა, რაც აფერხებს საქმეს.

ი. წურწუმია.

ამხ. სერგო აივაზოვის ხსოვნას

18 აპრილს, სოფ. ანაგის გზაზე შემთხვევით დაიღუპა ამხ. სერგო აივაზოვი.

ამხ. სერგო აივაზოვის სახით ს. კ. პ. (ბ) სიღნაღის ორგანიზაციამ დაჰკარგა ერთ-ერთი საუკეთესო, აქტიური და პატიოსანი პარტიის წევრი, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ნამდვილი დამცველი.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან სიღნაღის მაზრაში არც ერთი ორგანიზაციულ-აღმშენებლობითი მუშაობა არ ყოფილა ჩატარებული, სადაც არ მიეღოს მას უშუალო და უაქტიურესი მონაწილეობა. 1921 წ. ჩვენ მას ვხედავთ სიღნაღის სამაზრკომის საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების გამგის თანამდებობაზე. 1922 წელს ის მუშაობს სიღნაღის რაიკომის მდივნათ. 1923 წელს მას ირჩევენ პრეზიდიუმის წევრათ და ნიშნავენ სიღნაღის სამაზრო აღმასკომის კომუნალურ განყოფილების გამგეთ. ხოლო შემდეგ, სამაზრო აღმასკომი ის გადაჰყავს ერთ-ერთი უმთავრეს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე—სამაზრო ფინანსიურ განყოფილების გამგეთ, სადაც ის მუშაობდა სიკვდილამდე. ამხ. სერგო თითქმის განუწყვეტლად იყო სამაზრო კომიტეტის და სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად. აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოთა უკანასკნელმა ყრილობამ ამხ. სერგო აირჩია საქართველოს ცაკის წევრად.

ამხ. სერგოს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ენერგიით სავსეს, ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ბევრი შეეძლო გაეკეთება, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა წაგვართვა ის.

მშვიდობით ამხანაგო სერგო, შენ უდროოთ დაგვშორდი, მაგრამ შენ მიერ დაწყებულ საქმეს მივიყვანთ საბოლოო გამარჯვებამდე.

ა. ლიცინოვი.

* * *

ამხ. სერგო აივაზოვი

გონება არ უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ მუდამ მოძრავი, დაუღალავი სერგო აღარ არის ცოცხალი.

ტრადიციულ ნეკროლოგის მაგიერ, მინდა ორიოდე სიტყვით მაინც დავახასიათო ის ადამიანი, რომელთანაც მივარდნილ პროვინციაში 5 წლის განმავლობაში მაკავშირებდა ახალი ცხოვრების შენებისათვის საერთო მუშაობა.

ამხ. სერგო აივაზოვი ღარიბ ოჯახის შვილი იყო. ის ადრევე ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში და შეუხარდა კომუნისტურ იდეებს.

ჯერ კიდევ მენშევიკების დროს ვხედავთ მას პარტიის არალეგალურ ჯგუფებში მომუშავეს. მტკიცე, ურყევი ხასიათის მქონე და დაუღალავი სერგო ამხანაგების საერთო სიყვარულით სარგებლობდა.

დაუფასებელი იყო ის, როგორც პრაქტიკული მომუშავე-მოღვაწე მაზრის მშენებლობის დარგში.

პირადი ცხოვრებისათვის ამხ. სერგო თითქმის არ ზრუნავდა; ის საერთო საქმიანობის ინტერესებით იყო გამსჭვალული. მისი მუშაობით ბევრი რამ გაკეთდა სიღნაღის მაზრაში. შეიძლება ითქვას, რომ არ იყო მაზრაში ისეთი წამოწყება არც ერთ დარგში, რომელშიც ამხ. სერგო აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა.

ჩვენი აღმშენებლობის საქმეს ის ანდომებდა მთელ თავის დროს, მისი მონაწილეობის გარეშე რაიმე წამოწყება წარმოუდგენელი იყო.

ყველა ამასთან ერთად ის იყო მეტის მეტად ჩუმი მომუშავე, მას არ უყვარდა ხმაურობა.

სერგო ერთი იმ პარტმუშაკთაგანი იყო, რომელთაც აწევთ ახალი სახელმწიფოს მშენებლობის მთელი სიმძიმე. სხვებთან ერთად, ისიც დღე და ღამ დაუღალავი შრომით აგურს აგურზე აწყობდა მშრომელთა სახელმწიფოს საფუძვლის გასამაგრებლად.

დიდი დანაკლისია ამხ. სერგოს დაკარგვა პარტიის სიღნაღის ორგანიზაციისათვის მით უფრო [illegible] მაზრის [illegible] აპარატისათვის.

იძინე [illegible] ამხ. სერგო! შენი დაუღალავი [illegible] სახე ყოველთვის მაგალითი იქნება [illegible], უკეთეს მომავლისათვის ბრძოლაში.

სერგო თავდიშვილი.

საბჭოთა საქართველო

ჰიდროელექტრონის სადგური.

ოზურგეთი, 20 აპრილი. ინჟინერ-სპეციალისტების კომისიამ ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ასაშენებლად ყველაზე ხელსაყრელ ვარიანტად მიიჩნია სოფ. ლიხაური, ოზურგეთიდან 4 ვერსის მანძილზე. სადგური იქნება 500 ცხენის ძალის.

აჭარისტანი

ბეწვეულის ექსპორტი.

ბათომი, 20 აპრილი. ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სამმართველოს ბათომის განყოფილებამ გაგზავნა საზღვარგარეთ 600 ადგ. ბეწვეული.

ბინები რკინისგზელებისათვის.

ბათომი, 20 აპრილი. ამიერ-კავკასიის რკინის გზების ბათომის უბნის სამმართველომ გადადო 25.000 მანეთი რკინისგზელებისათვის ორი სახლის ასაშენებლად.

ჩაქვის ჩაი.

ბათომი, 20 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის აჭარისტანის განყოფილებამ შეიძინა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისაგან 50.000 გირვ. ჩაი საბჭოთა რუსეთში გასასაღებლად.

საკურორტო სეზონის გახსნა.

ბათომი, 20 აპრილი. 1 მაისიდან იხსნება სამკურნალო სეზონი ქობულეთის სანატორიუმში. სანატორიუმი ხელმეორეთაა შეკეთებული.

ბათომის ბაღში 1 მაისიდან იხსნება თბილი საზღვაო ვანები ტალახით სამკურნალო განყოფილებით.

ოსმალეთის სპორტსმენების ჩამოსვლა.

ბათომი, 20 აპრილი. 30 აპრილს ბათომში ტრაპიზონიდან ჩამოდის ოსმალ სპორტსმენთა ერთი ჯგუფი.

ჩამოსულებს ზეიმით შეხვდებიან ამიერ-კავკასიის, საქართველოს და აჭარისტანის ფიზკულტურის საბჭოების წარმომადგენლები. იმავე დღეს სპორტსმენები გაემგზავრებიან ბაქოში.

ბაქოდან ბათომში დაბრუნდებიან 10 მაისს.

11 და 12 მაისს ბათომში მოხდება შეჯიბრება მსუბუქ ატლეტიკაში.

სადღეისო საკითხი.

გაზაფხულის დადგომასთან ერთად სოფლად გაჩაღებული სამეურნეო მუშაობა დაიწყო. ეს ის დროა, როცა დაქირავებული შრომის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დგება ჩვენი სოფლად მომუშავე ორგანიზაციების წინაშე და სათანადო პასუხის გაცემას ითხოვს.

შეძლებული ელემენტები, რომელთაც არ შესწევთ ძალა საკუთარი შრომით დაიმუშაონ ადგილ-მამული, ყველაზე მეტად სწორედ გაზაფხულის თვეებიდან საჭიროებენ დაქირავებულ მუშა ხელს. ამიტომ თემსაბჭოებმა და მიწა-ტყის კავშირის ორგანოებმა განსაკუთრებული სიფხიზლე მართებთ, რომ არ გამოეპაროთ მხედველობიდან მოჯამაგირის აყვანის არც ერთი შემთხვევა, რომელიც საჭიროებს კავშირის და ადმინისტრაციის რეგისტრაციას.

აღსანიშნავია, რომ ბევრ შემთხვევაში თემსაბკომებმა არც კი იციან ხეირიანათ ის დებულებანი, რომელნიც არსებობს მუშა ხელის დაქირავების საქმეში. ეს ერთი მხრივ იმითაც აიხსნება, რომ უკანასკნელ არჩევნების დროს თემსაბჭოების შემადგენლობა ბევრგან თითქმის სრულიად გამოიცვალა და აღმასკომებშიაც ახალი მუშაკები მოჰყვნენ.

ამრიგათ, პირველ ყოვლისა, საჭიროა თემსაბკომებმა და მიწა-ტყის კავშირების მუშაკებმა შეითვისონ სავსებით ხელისუფლების მიერ გამოცემული დებულებანი სოფლად კოლექტიურ ან ინდივიდუალურ შრომის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

ეხლაც შეხვდებით სოფლად „სულის სამადლოთ" აყვანილ მოჯამაგირეებს, რომელნიც წლობით მუშაობენ დამქირავებლისას და შრომის საფასურად სუფრის ნარჩენებით იკვებებიან და ხაზეინების გამონაცვალით იმოსებიან.

თქმა არ უნდა, მოჯამაგირეთა დაცვის საქმეში ადგილი არ უნდა დაურჩეს გადამეტებას, რომელიც საშუალებას მოუსპობს დამქირავებელს აიყვანოს მუშა ხელი და ამით შეაფერხებს, როგორც სოფლის მეურნეობის წინსვლას, ისე ხელს შეუწყობს სოფლად უმუშევრობის განვითარებას. მაგრამ ამავე დროს არც ისეთი მდგომარეობაა მოსათმენი, როცა დამქირავებელი ყოველგვარ კონტროლის და ზედამხედველობის ქვეშ ამუშავებს დაქირავებულს და უსაზღვროთ ჰყვლეფავს მას.

მთავრობის მიერ გამოცემულ დადგენილებებში სოფლად დაქირავებულ შრომის მოწესრიგების შესახებ ყველა ეს მომენტები გათვალისწინებულია. საჭიროა ჩვენმა სოფლად მომუშავე დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა გულდასმით შეისწავლონ ეს დადგენილებანი და ყოველგვარი ზომები მიიღონ მათ ცხოვრებაში სისწორით და უკლებლივ გასატარებლად.

ხეველი.

რა აფერხებს საზოგადო მუშაობას სოფლად

სოფელს ესაჭიროება გზაც, სკოლის შენობაც, სახალხო სახლიც და ბევრი კიდევ სხვა. კარგია, რომ ყველა სოფელში რადიო იყოს. სოფლის ხელმძღვანელები ყურადღებას არ აქცევენ გზას და სკოლას, იწყებენ სახალხო სახლის აშენებას, აარსებენ [illegible] საზოგადოებას და უნდათ კონცერტის მოსმენა ლონდონიდან... გლეხები გულგრილობას იჩენენ და მართლებიც არიან.

რათ უნდა სოფელს სახალხო სახლი, როცა თავისი ჭირნახული უგზოობის გამო საკუთარ სახლამდე ვერ მოუტანია და ფანჯრებ ჩამტვრეულ სკოლაში ბავშვები ეყინებიან, გლეხს ლონდონის კონცერტი რას გაუკეთებს, როცა სამაზრო ქალაქამდე კი ვერ მიდის უგზოობის გამო?

საზოგადო საქმის წამოწყებას დიდი სიფრთხილე სჭირდება. პირველ რიგში უნდა დაწყებულ იქნას გადაუდებელი საჭიროების საქმე. არის ასეთი შემთხვევებიც: სოფლის ხელმძღვანელები საქმეს ჰკიდებენ ხელს ფრიად მიზან - შეუწონლად. გლეხებს საერთო კრებაზე გამოაქვთ დადგენილება, რომ ყველა იმუშავებს, მაგრამ იწყება საქმის კეთება და ზოგი გაურბის მუშაობას.

არის გლეხობაში ერთი ნაწილი, რომელიც მუდამ აიცილებს საზოგადო ხასიათის მუშაობას, მასზე არ მოქმედობს არც აგიტაცია, არც ხვეწნა-მუდარა. ეს მოვლენა გულს უცრუებს მუშაობაზე გლეხობის შეგნებულ და სინდისიერ ნაწილს. გლეხი გრძნობს, რომ თუ ყველამ არ იმუშავა საქმე არ დამთავრდება და თანაც ამბობს: „ჩემსავით ორი ხელი და ორი ფეხი აქვს, ჯანსაღია, თუ მთავრობა ძალით არ გამოიყვანს, მეც დავანებებ თავს მუშაობას, მარტო ჩემთვინ ხომ არ კეთდება საქმე"-ო.

დღეს გლეხს არავინ ავალებს, რომ მან სახლები ააშენოს, სადაც თავადები ინებებენ. სოფელს თუ გზა სჭირდება ამ საქმეში დაინტერესებულია ყველა გლეხები.

ყოველი ახალი საზოგადო საქმე სოფელში უნდა იწყებოდეს მაზრის ნებართვით და პასუხისმგებლობით. გაზეთებში ვხვდებით ასეთი ხასიათის ცნობებს, „სამი წლის წინ დაწყებულია სახალხო სახლის შენება, კედლები ამოყვანილია, ვერ დავხურეთ, მოგვეშველეთ, ვინ ხარ გულ-შემატკივარი"-ო და სხვა.

ამ ნაირად საქმის დაწყება „გულშემატკივრების" იმედით სახიფათოა და შეიძლება სოფელს ზიანი მოუტანოს.

ჭ. ჭეიშვილი.

მეთამბაქოეთა თათბირი.

(წერილი ზუგდიდიდან).

ამას წინად შესდგა ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა თათბირი, რომელიც მოწვეული იყო მაზრკომის ინიციატივით. თათბირს დაესწრნენ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლები, მეთამბაქო გლეხების წარმომადგენლები თითო რაიონიდან ხუთ-ხუთი კაცი, მიწათმოქმედების კომისარიატიდან, მეთამბაქოების სპეციალისტი აგრონომი ცაგარეიშვილი, მაზრის და რაიონში მომუშავე აგრონომები. თათბირში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულნი იყვნენ წარმოკავშირის და თამბაქოს ტრესტის წარმომადგენლები, რომლებიც არ დაესწრნენ, რის გამო საყვედური გამოსთქვა თათბირმა. თათბირმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1925 წ. მოსავლის ფასების გამორკვევა სამეგრელოს თამბაქოზე და თამბაქოს ჩაბარების ადგილები; გეგმების განხილვა რაიონებად, თუ რამდენი დესეტინა თამბაქო იქნება წელს დამუშავებული მაზრაში გლეხების მიერ და აგროდახმარების საკითხი. პირველ საკითხზე მოხსენების შემდეგ თათბირმა მოიწონა მაზრკომის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლის შუამდგომლობა ფასების მიმატების შესახებ უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა.

გლეხებმა იკისრეს აღნიშნულ ფასებში თამბაქოს ჩაბარება თამბაქოს ტრესტისათვის. თათბირმა დაადგინა თამბაქოს ჩაბარება ხდებოდეს არა სამაზრო ცენტრში, არამედ რაიონებში.

გეგმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ გასულ წელს თამბაქოთი მაზრაში ორასი დესეტინა მიწა იყო დამუშავებული, მოსავალი, დაახლოვებით, 12.000 ფუთს უდრიდა. თათბირმა საჭიროდ სცნო 1926 წლისათვის 1350 დეს. იქნას დამუშავებული. გაუმჯობესებული ხარისხის თესლი უკვე შეიძინეს კოოპერატივებმა და დაურიგეს გლეხებს.

გამოირკვა, რომ შარშან ძლიერ გვიან აძლიეს ავანსი გლეხებს და ამ გარემოებას ძლიერ შეუფერხებია თუთუნის მოყვანის საქმე, ვინაიდან თამბაქოს პლანტაციები გვიან იქნენ დამუშავებული. ამას უნდა მიექცეს თამბაქოს ტრესტის და წარმოკავშირის მიერ სათანადო ყურადღება და წელს ავანსები თავის დროზე უნდა იქნას გლეხებზე დარიგებული.

მესამე საკითხის შესახებ თათბირმა დაადგინა მიმართოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს და წარმოკავშირს, რათა მათ გამოგზავნონ მაზრისათვის მუდმივი ინსტრუქტორები, ვინაიდან მაზრის მცხოვრებნი ძლიერ ჩამორჩენილნი არიან ამ მხრივ. თათბირის მოწვევით დამწრე გლეხები ძალიან კმაყოფილი დარჩნენ, რადგან მათ გაიგეს და აგრეთვე გამოარკვიეს ის, რაც აინტერესებდათ მეთამბაქოობის დარგში. წელს თუ დაახლოვებით 11—12 ათასი ფუთი თამბაქო [illegible] ზუგდიდის მაზრის გლეხობამ, ისიც დაბალი ხარისხის, თათბირის მიერ დადასტურებული გეგმა იმედს იძლევა, რომ ამ სამეურნეო წლის ბოლოს გვექნება 70.000 ფუთი თამბაქო და გაცილებით უკეთესი ხარისხის.

ი. ყვანია.

წერილებიდან

შუხუთი (გურია).

ჩარჩებს თავს გაუდით. ამ სოფელში არსებობდა კოოპერატივი, მაგრამ ის ორი წლის წინ დაიხურა. სამაგიეროთ ჩარჩებმა გახსნეს დუქანი და ხალხს, როგორც მოეპრიანებათ, ისე აძრობენ ტყავს. ახალმა საბჭომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ სოფელში კოოპერატივი ისევ გაიხსნას.

ადგილობრივი გლეხი.

ახალდაბა (გორის მაზრა).

ენერგიული გლეხკომი. ჩვენი გლეხკომი კარგათ მუშაობს. მან შეიძინა აგურის საკეთებელი ქარხანა, მიიტანა კოოპერატივთან ერთად, 4 ვაგონი სიმინდი და სხვ. ეხლა გლეხკომი აპირებს აბანოს აგებას და აგრეთვე გვპირდება სანიავებელი მანქანის შეძენას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გლეხკომი გამართლებს ჩვენს დაიმედებას.

კოჭი.

პროფკავშირებში

[illegible] ბიუროებს, აჭარისტანის, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭოებს, სამაზრო და საქალაქო პროფბიუროებს და რკინისგზელთა კავშირის საუბნო კომიტეტებს.

(პროფორგანიზაციებში მომუშავეთა შვებულებისა და დაგვიანების შესახებ).

ძვირფასო ამხანაგებო! პროფსაბჭოს მიერ შემჩნეულია, რომ უმეტეს პროფორგანიზაციების პასუხისმგებელი და ტექნიკური თანამშრომლები სამუშაოზე დაგვიანებით მოდიან.

ისინი სისტემატიურად იგვიანებენ განსაკუთრებით ზაფხულის განმავლობაში.

სამუშაო დღის განმავლობაში პასუხისმგებელი ყველა მომუშავენი ერთბაშად სტოვებენ პროფესიონალურ ორგანიზაციას და მიდიან ან პირად, ანდა საკავშირო საქმეებზე.

აგრეთვე საქმისათვის სრულიად შეუფერებელი პროფკავშირებში მომუშავეთა საზაფხულო შვებულებების განაწილება დაწესებული.

ეს უმეტესად პასუხისმგებელ მომუშავეებს ეხება:

ერთ საკავშირო ორგანიზაციიდან რამოდენიმე კაცი ერთბაშად მიდის შვებულებაში, რაც ხშირად კავშირის წევრების შორის კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს. კავშირის წევრები ძლივს თავისუფლდებიან თავიანთ სამუშაოებიდან და ამის გამო ტყუილა-უბრალოდ ჰკარგავენ დროს, რადგან პროფკავშირებს, ფართო მასების თვალში, სახელი უტყდებათ და, ამას გარდა, მნიშვნელოვნად სუსტდება საკავშირო ორგანიზაციების მუშაობა.

საქართველოს პროფსაბჭო აქცევს რა თქვენს ყურადღებას ასეთ მოვლენებს, წინადადებას გაძლევთ საჭირო ზომები მიიღოთ ზემო აღნიშნულ შემთხვევების აღმოსაფხვრელად.

პროფორგანიზაციებში მომუშავეთათვის შვებულების მისაცემად მტკიცე გეგმა დააწესეთ. თვალყური ადევნეთ, რომ პროფორგანიზაციებში მომუშავენი სამუშაოზე დაუგვიანებლად ცხადდებოდნენ და სამუშაოს ერთბაშად არ სტოვებდნენ იმ საათებში, რომლებიც მათ დაწესებული აქვთ მომსვლელთა მისაღებად.

ამავე დროს ვადასტურებთ საქ. პროფსაბჭოს ცირკულარს 1925 წ. 15 ივლისის თარიღით და №-32-ე №-ით. ამ ცირკულარში აღნიშნულია პროფორგანიზაციებში მომუშავეთათვის დაწესებული შვებულების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.

ს. პ. კ. ს. თავმჯდომარე—**გ. ყურულიშვილი.**

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების გამგე—**ა. ფანცხავა.**

საკავშირო ფულების გაფლანგვას ბოლო უნდა მოეღოს

ამ ბოლო ხანებში შრომის კოლექტივებში ფულების გაფლანგვა იღებს სისტემატიურ ხასიათს. ეს აიხსნება მით, რომ კოლექტივების გამგეობა არ აწარმოებს სათანადო მეთვალყურეობას და არც ჰყავს სპეციალური მუშაკი კოლექტივებში რევიზიის საწარმოებლად.

გაფლანგვა კოლექტივ „წითელ მეწვრილმანე"-ში, მტაცებლობა-გაფლანგვა „საშუამავლო და მინდობილობათა" შრომის კოლექტივში და უკანასკნელად „[illegible] კოლექტივში" აღმოჩენილი იქნა საბჭოთა მუშაკების კავშ. გამგების მიერ.

[illegible] კოლექტივი მოეწყო წ.-წ. დეკემბრის თვეში, სადაც დანიშნული იყო ვინმე მოქ. დავითაია. დეკემბრის თვიდან კოლექტივის გამგების მიერ არც ერთხელ არ მოხდა ამ კოლექტივების გამოკვლევა, მხოლოდ კავშირმა შეადგინა კომისია, რომელშიც შეყვანა შრომის ბირჟის წარმომადგენელი და აღმოჩნდა შემდეგი:

აღმოჩნდა სალაროში ფულის ნაკლებობა 134 მანეთით და საერთო ზარალი კოლექტივისა 779 მანეთამდე, მასთან არ არის გადახდილი აღმასკომის ბინის ქირაც.

საინტერესოა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამ კოლექტივში მომუშავე მოქ. დავითაიას თანახმად შრომის ბირჟის კომიტეტის დადგენილებისა, თვიური ჯამაგირი უნდა გამოეწერა თვისთვის 70-80 მანეთის რაოდენობით ის კი იწერდა თვიურ ჯამაგირს 120 მანეთს.

თავის [illegible] გამო მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ [illegible] მაინც გამოიწერა ჯამაგირი [illegible] შრომის ბირჟის კომიტეტის [illegible], სადაც აღნიშნულია, რომ ამხ. დავითაიას პირადი საქმეებისათვის მოსკოვში გამგზავრების გამო ჯამაგირი არ უნდა მიეცეს.

ამის გარდა შრომის სალაროს 3 თანამშრომლებისაგან მოქ. დავითაიამ მიიღო ხელწერილით (კვიტანციების გარეშე) 17 მანეთი და კომბანკის მომუშავეთაგან ხელის მოუწერლად 7 მანეთი. ეს ფული კოლექტივის შემოსავლის ორდერებში გატარებული არ არის.

კომისიამ დაათვალიერა მხოლოდ ორი დაწესებულება. შეიძლება სხვა დაწესებულებებშიც იყოს ასეთი მაგალითები.

კიდევ ერთი მაგალითი—მოქ. დავითაიამ გადაუხადა საწერი მანქანების შეკეთებისათვის ამხ. ხერუმიანს 140 მანეთი, რომლის ანგარიშში მან პირველად მისცა 40 მანეთი ხელწერილს ქვეშ. როდესაც ამხ. ხერუმიანისაგან მიიღო დავითაიამ ოფიციალური ანგარიში 140 მანეთისა მან გასავალში გაატარა 140 მანეთი და 40 მანეთიც.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის გამგეობის მიერ მოქ. დავითაია მოხსნილ იქნა სამსახურიდან და ყოველი მასალა მის შესახებ გადაცემული აქვს სათანადო ორგანოებს.

საჭიროა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება შრომის კოლექტივების ფინანსიურ საქმიანობას.

ი. კალანდაძე.

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

— **პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა** უარი უთხრა პარიკმახერებს მათ დასასვენებელ კვირის ნაცვლად ორშაბათის დაწესების შესახებ.

— **ფოტოგრაფების დასასვენებელი დღე:** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შესაძლოთ სცნო, კვირის ნაცვლად სხვა დღის დაწესება.

— **დასასვენებელ სახლებში** მუშების გაგზავნასთან დაკავშირებულ საკითხების მოსაგვარებლათ გამოყო კომისია ამხ. ავეტისოვის, ფანცულაიას, ათოევის, ბუაძის შემადგენლობით. დასასვენებელი სახლები გაიხსნება ა.-წ. 1 ივნისში და დაიხურება 1 ოქტომბერს.

— **უმუშევართა კოლექტივების** (შრომის ბირჟის კომიტეტთან არსებობს) სახელმძღვანელოთ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წამოაყენა ამხ. ასლანოვის კანდიდატურა.

— **ჭიათურის მაღაროებში** მომხდარ უბედურ შემთხვევის (მაღარო ჩამოიქცა მოკლა ორი და დააშავა ერთი კაცი) დამნაშავე პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, გადაეცემა სასამართლოს. ეთხოვა შრომის სახალხო კომისარიატს შრომის ინსპექცია გააძლიეროს ქ. ჭიათურაში.

— **პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა** მიზანშეწონილად სცნო შრომის სასახლეში ლოტოს დადგმა.

— **ხულიგნების წინააღმდეგ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, კავშირებმა აქტიური ზომები უნდა მიიღონ. დაევალა ყველა კავშირებს არ აძლიონ შუამდგომლობა ხულიგნობისათვის დაჭერილ პირთა სასჯელის შესამსუბუქებლად ან და განსათავისუფლებლად. პროფკავშირებმა ხულიგნებზე გავლენა უნდა მოახდინონ მათი კავშირის წევრობიდან გამორიცხვამდეც კი.

— **მუშათა ცენტრალურ კლუბის გასაფართოვებლად** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო ამ კლუბის მეორე სართულის განთავისუფლება.

— **მუშათა ცენტრ. კლუბის თანხის გასაძლიერებლად** მეღვინეთა, სურსათ-გემოვნებისა და რკ.-გზელთა კავშირების ც. კ. ყოველთვიურად გადადებენ 500 მან.

ქუთაისის სამპროფბიუროში

— **იურიდიული დახმარების გასაწევად.** ქუთაისის სამპროფბიურომ დაადგინა კავშირების წევრთათვის იურიდიული დახმარების გასაწევად მოიწვიოს ერთი იურისკონსულტი დამცველთაგან, მისი ხელფასი განაწილდება ადგილობრივ ყველა კავშირებზე.

— **რაისამდივნოების მოხსნება.** ქუთაისის სამპროფბიურომ გადასწყვიტა ამ ახლო ხანში მოისპოს ვანისა და სამტრედიის რაისამდივნოების მოხსნებები.

ბორჯომის სამპროფბიუროში

— **ბორჯომის მუშებისათვის დასასვენებელ სახლებში ადგილების მიცემის შესახებ.** ბორჯომის პროფბიურომ სთხოვა პროფსაბჭოს, რომ მომავალ სეზონის განმავლობაში დასასვენებელ სახლებში მუშებს დაუთმონ 100 ადგილი.

ახალქალაქის სამპროფბიუროში

— **1926 წ. 1 აპრილისათვის** ახალქალაქის სამპროფბიურო აერთიანებდა 1232 კავშირის წევრს.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა **საგანგებო კრება**. კრება გაიხსნება სტამბის სამკითხველოში, კამოს ქ., № 68 (ყოფ. დიდი მთავრის). „კომუნისტი“-ს მუშკორთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

ახალ ქვეყნისკენ

(მუშის სიმღერა)

ახალ ქვეყნისკენ მივდივართ
მუშა და გლეხი ძმურადა,
წითელი დროშა წინ გვიძღვის
ვეტრფით მას, მეგობრულადა.
იმით ვამაყობთ წინ მივალთ
მის გვერდით დარაზმულები...
აღთქმულ ქვეყანას ვეწვევით
წითლადვე მოკაზმულები...
ერთად მივდივართ, მხარ და მხარ,
სადაც ანათებს ლამპარი!
მუშებს, ჩაქუჩი გვიჭირავს
სოფლის გლეხს მჭრელი ნამგალი!
ჩვენ საფლავამდის ძმები ვართ,
ჩვენა გვაქვს მტკიცე
მტერს საშინარსა თავზარს სცემს
ჩვენი ხმა—ბრძოლის საყვირი.

ახალ ყოფნისკენ მივდივართ
ერთი გრძნობით გამსჭვალულები
წითელი დროშით წინ მივალთ,
წითლადვე დარაზმულები...

ა. ლ. კ. კ. წ. [illegible]ანჯარაშვილი.

რა უნდა იცოდეს მუშამ თავის შემფასკომზე

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების ნორმალური [illegible] დამოკიდებულია მათ სწორ სტრუქტურაზე და მათში შემავალ წევრთა პროფესიონალურ მომზადებაზე. შემფასკომის სტრუქტურას კი დღესაც ბევრი მუშა-მოსამსახური [illegible] იცნობს და ამის გამო მის შემადგენლობაში სჭარბობს ზოგჯერ ხან მუშათა და ხან ადმინისტრაციის წარმომადგენლობა (რასაც მის მუშაობაში შეაქვს არევ დარევა) მაშინ როდესაც თანახმად არსებული დებულების (მუხ. მე-7-სი) შემფასკომი არის პარიტეტული ორგანო, სადაც თანასწორ რაოდენობით უნდა იქნეს წარმოდგენილი მუშათა და ადმინისტრაციის წარმომადგენლობა.

ამგვარად შემფასკომი არ არის, არც წმინდა პროფესიონალური და არც წმინდა ადმინისტრატიული ორგანო. მას უმთავრესად ევალება კოლექტიური ხელშეკრულებ. ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტების ორივე მხრით შეთანხმებით გადაჭრა. საკონფლიქტო საკითხები აქ არ წყდება ხმის უმრავლესობით, ან კენჭის ყრით არამედ ორივე მხარის შეთანხმებით, უკენჭოდ

თუ ასეთი სტრუქტურა და წესრიგი დაცულია შემფასკომის საქმიანობაში და მისი დადგენილებები შეფარდებული კოლექტ. ხელშეკრულებადა და შრომის მომქმედ კანონმდებლობასთან, უეჭველია, რომ მისი მუშაობა ნაყოფიერი და ხაზი მუშაობისა მტკიცე და ურყევი.

წინააღმდეგ შემთხვევაში „შ. ს. კ.“-ის მუშაობა არაფრად იქცევა.

შემფასკომი არ არის მასიური ორგანო როგორც ეს ჰგონია ბევრ მუშას თუმცა შესაძლებელია მის სხდომებს დაესწრენ სხვებიც, გარდა მისი ნამდვილი წევრებისა. მაგრამ რაც უფრო ნაკლები იქნება შემფასკომის სხდომაზე უცხო პირთა დასწრება, მით უფრო ნაყოფიერია შემფასკომის მუშაობა. ეს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ ჩვენს მუშებს, რადგან სინამდვილეში აქ ბევრ ნაკლს აქვს ადგილი.

საკონფლიქტო საქმეები უნდა გაირჩეს 72 საათის განმავლობაში დღიდან განცხადების შემოსვლისა, სინამდვილეში კი განცხადებების განხილვა ხდება ერთი კვირით და მეტი ხნის დაგვიანების შემდეგ.

შემფასკომის მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ოქმების შედგენასაც. ოქმები უნდა სდგებოდეს სწორად და დადგენილებები ორივე მხარის მიერ უნდა იქნეს ხელმოწერილი, რათა შემფასკომის სხდომის ოქმების გარშემო არ ქქნეს ადგილი არავითარ გაუგებრობას და დავას.

ოქმში უნდა იქნეს აუცილებლად აღნიშნული: ამა თუ იმ უკმაყოფილო მუშის განცხადების (საჩივრის) შინაარსი მოკლედ, მაგრამ სწორად; 2) პირადი ახსნა-განმარტება მომჩივანისა შეძლების და გვარად, უნდა იქნეს ოქმში შეტანილი ფართედ; 3) აქვე მოკლედ უნდა აღინიშნოს მოწმეების ჩვენება; 4) შემფასკომის დადგენილება უნდა იყოს სრული, დასაბუთებული და ჩაწერილი მდაბიო ენით; 5) დადგენილება უნდა გამოეცხადოს მომჩივანს დაუყოვნებლივ და ოქმის ასლი კი უნდა იქნეს გაკრული მუშათა საყურადღებოდ და ცნობისათვის სათანადო ადგილას.

შემფასკომის მუშაობას უნდა ხელმძღვანელობდეს ფაბრ-ქარხკომები და ადგილკომები. მათ სხდომაზე და საერთო კრებებზე უნდა კეთდებოდეს მოხსენებები შემფასკომის მუშაობის შესახებ და სხ.

გონი.

განათლების და შრომის კომისარიატის საყურადღებოდ

უკვე გაზაფხული დადგა, ახლოვდება სტუდენტების პრაქტიკაზე წასვლის დრო როგორც აგრონომიული, ისე საინჟინერო დარგის, მაგრამ თუ ეხლავე არ შეუდექით საქმეს, მერე გვიანღა იქნება.

საჭიროა გამოიცეს განკარგულება დაჩქარებით შრომის კომისარიატის მიერ შარშანდელივით, რომ ის სტუდენტები, რომლებიც მიდიან პრაქტიკაზე, — განთავისუფლებულ იქნენ დროებით უჯამაგიროდ, მხოლოდ სამსახურის შენახვით და აგრეთვე, რაც შეიძლება, მეტი რიცხვი სტუდენტებისა გაგზავნილი იქნეს პრაქტიკაზე, რათა ახალგაზრდობამ ადრე და კარგად შეითვისოს პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება.

მუშკორი—შალი.

მელითონეთა კავშირში

17 აპრილს საღამოს 6 საათზე შესდგა საპლ. უნივ. სტუდენტთა (მელითონეთა კავშირის წევრთა) საერთო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ვ. ბახტაძე. კრების დღის წესრიგს შეადგენდა: 1) ც. გ. მოხსენება ამხ. ზ. მაჩაიძის პროფ-მოძრაობის შესახებ, 2) პროფკომში მომუშავეთა ხეთაგური და კაკაბაძის შორის მომხდარ კონფლიქტი, 3) ახალი წევრების დამტკიცება და 4) კომისიების არჩევა.

ც. გ. მოხსენება ამხ. ზ. მაჩაიძის გამოუცხადობის გამო გადაიდო.

შემდეგ სარევიზიო კომისიამ მოხსენება გააკეთა ყოფ. პ.-გ. მდივნის ხეთაგურის და პროფკომის თავმჯდომარის—დ. კაკაბაძის შორის მომხდარ კონფლიქტზე. ბრალად ამხ. ხეთაგურს ედება—გულგრილობა, დაუდევრობა, კავშირ. წევრთათვის ცუდად მოპყრობა და სხვადასხვა ფუნქციების მითვისება, აგრეთვე ისიც, რომ იგი თავის თავს უწოდებდა კომკავშირელს, სინამდვილეში კი იგი აღმოჩნდა უპარტიო.

კავშირში ახალ წევრებს იღებდა საერთო კრების დაუკითხავად „ძმა-ბიჭურად“.

ყველა ამის გამო გამოეცხადა მას დიდი საყვედური და მისი საქმე გადაეცა ც. გ. პასუხისგებაში მისაცემად.

შემდეგ კრებამ დაამტკიცა ახალი წევრები და ბოლოს აირჩიეს კულტ-ეკონომიური კომისიების წევრები, რის შემდეგ კრება დაიხურა.

მუშკორი—ლი.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ

ის ნაკლიც გამოასწორეთ

„კომუნისტი“-ს № 37-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით **„მოსთხოვეთ პასუხი ასეთი სიზორონტისთვის“** რომელიც შეეხებოდა ელისაბედის ქ. № 156-ში სავაჭროს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული აბრა ჩამოღებულია და ამ ჟამად ყოველივე ასეთი მოგვარებულია.

მოვარჯულეთ ურჯულო

„კომუნისტ“-ის № 69-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით **„მოარჯულეთ ეს მოურჯულებელი ვინმე“** ვაცნობებთ, რომ როგორც კვლევა-ძიებიდან გამოირკვა აღნიშნული მდგომარეობა დადასტურდა, მაგრამ **ამ ჟამად ყოველივე უწესობა მოგვარებულია და მოქ. ჯანიაშვილი დაჯარიმებულია, ანტისანიტარულ მდგომარეობის შექმნისთვის.**

ალმას. ადმინისტრატიული განყ. უფროსის მაგიერ **კილურიძე**.

ავარიებს ბოლო მოუღეთ

„კომუნისტი“-ს № 66-ში მოთავსებული წერილის შესახებ სათაურით **„მოგვაშორეთ ხულიგნები“**, რომელიც შეეხებოდა შრომის ბირჟასთან ხულიგნობის და ავარიების თარეშს, **გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ მიღებულია ზომები ასეთის საბოლოოთ მოსასპობლად. ამ ჟამად აღნიშნულ ადგილას ყოველივე წესიერათ არის.**

ალმ. ადმინისტრატიული განყ. უფროსის მაგიერ **მკურნალი**.

მიღებულია ზომები

„კომუნისტი“-ს № 68-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით **„ამ მიკიტნებს ჭკუა ასწავლეთ“** გაცნობებთ, რომ წერილის შინაარსი ვერ დადასტურდა, მაგრამ **ჩვენ მიერ მაინც დანიშნულია მეთვალყურეობა და თუ შემჩნეულ იქნება ასეთი, მის საწინააღმდეგოთ იქნება მიღებული სათანადო ზომები.**

ალმას. ადმინისტრატიული განყ. უფროსის მაგიერ **მკურნალი**.

ბაღს ავაშენებთ და გავანათებთ

„კომუნისტი“-ს № 59-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით **„საჭიროა აქ ერთი მილიციელი“** გაცნობებთ, რომ ასეთი შინაარსი სიმართლეს არ შეეფერება, ვინაიდან სომხის ეკლესიის და ვოგილოს აბანოს შუა მდებარე ადგილს მე-7 სამილიციო რაიონის მხრივ ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული და მით უმეტეს იქვე ახლოს დანიშნულია საგუშაგო, რომელიც ყოველ მხრივ თვალყურს ადევნებს აღნიშნულ ადგილებსაც, რაც შეეხება ცარიელ ადგილს და გაუნათებლობას, პირველზე **ალმასკომი ზრუნავს, რათა აღნიშნულ ადგილას გაშენოს ბაღები მეორე-კი განათების მხრითაც ალმასკომი ყოველგვარ ზომებს იღებს, რათა ახლო მომავალში გაანათოს ასეთი ადგილები.**

ალმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი კილურაძე.

მუშათა ქრონიკა

— **საყვედურის გამოცხადება.** ქუთაისის რკინისგზის გაერთ. ადგილკომის საერთო კრებამ საყვედური გამოუცხადა იმ პირებს, რომელთაც ურთიერთ-დამხმარე სალაროდან 5—6 თვეა წაღებული აქვთ სესხი და არ დაუბრუნებიათ.

— **სავადმყოფო.** ქუთაისის რკინისგზის ადგილკომმა შუამდგომლობა აღძრეს რკ. გზის ჯანმრთელობის განყოფილების წინაშე, რათა ადგილობრივ გახსნილ იქნეს საავადმყოფო 20 საწოლით.

— **სახურავის შეკეთება.** ლენინაკანის საუბნო პროფკავშირმა მიმართა სალიანდაგო სამსახურს შეაკეთოს მუშების ყველა ყაზარმების სახურავები.

— **რკინისგზელებს.** ა. კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა რკინისგზის სამმართველოს გადასცეს მოძრაობის დარგის პირველი განყოფილების ფარგლებში განთავისუფლებული კანტორის შენობა რკინისგზელების საცხოვრებლად.

წითელ ჯარში

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება მე-2-რე ქართულ დივიზიაში

დივიზიის სამხ.-სამეცნიერო საზოგადოებას საძირკველი ჩაეყარა 1925 წლის მაისში. იგი აერთიანებს და ხელმძღვანელობას უწევს დივიზიის ნაწილებში არსებულ სამხ.-სამეცნიერო წრეებს.

საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს წითელ არმიელების და მეთაურების სამხედრო აღზრდას და გაავრცელოს მათ შორის სამხედრო-სამეცნიერო ცოდნა. აგრეთვე ხელი შეუწყოს მოსახლეობაში სამხედრო ცოდნის გავრცელებას და მშრომელთა გასამხედროებას.

საზოგადოებაში თავმოყრილნი არიან ნაწილების მეთაურთა შემადგენლობა და წითელ არმიელთა აქტიური ნაწილი. მუშაობაში ჩაბმულია მეთაურთა შემადგენლობის თითქმის 85%.

საზოგადოება აწარმოებს წევრებს შორის თვითგანვითარებითი და მეცნიერულ გამოკვლევითი მუშაობას.

დიდი მიღწევებია მუშაობის პირველ დარგში. დამუშავებულია მთელი რიგი სერიოზული საკითხებისა, როგორიცაა: ომების ისტორია, ბრძოლის ტეხნიკური საშუალებები, აღზრდა და სწავლება, სროლის წარმოება, შესწავლა მოსაზღვრე სახელმწიფოების.

საზოგადოება უწევდა დახმარებას ნაწილების წრეებს. აწვდიდა სათანადო ლიტერატურას, აგზავნიდა მომხსენებლებს და უწევდა იდეურ დახმარებას.

მუშაობას ხელს უშლიდა ლიტერატურის სიმცირე ქართულ ენაზე. რაც შეეხება მუშაობის მეორე დარგს—მეცნიერულ-გამოკვლევის, ამაში არ არის მაინც და მაინც დიდი მიღწევები, ვინაიდან ნაწილებში არ არის შესაფერისი პირობები.

საზოგადოებას გადადგმული აქვს ნაბიჯი კავშირის გასამტკიცებლად სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

განზრახულია მთელი რიგი სამხედრო კუთხეების გახსნა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. არსებულ სამხედრო კუთხეებში საზოგადოება აყალიბებს სამხედრო-სამეცნიერო წრეებს.

საზოგადოებას აქვს რეალური მიღწევები მოსახლეობის გასამხედროების საქმეში.

საჭიროა მხოლოდ, რომ საზოგადოებამ გააბას კავშირი პარტიულ ახალგაზრდობის და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან, ამით იგი შესძლებს თავის მუშაობის გაფართოება-გაძლიერებას.

საზოგადოებამ აგრეთვე მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივ გაზეთებში სამხედრო განყოფილებების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას და თავის მხრივ უნდა გაუწიოს ამ განყოფილებებს დახმარება.

ს.

წრეების მუშაობა ჩვენთან

(მე-4 ლეგ. მე-3-ე ათას.)

ჩვენს ნაწილში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული წითელ არმიელთა თვითგანვითარების საქმეს. ამისათვის დაარსებულია სხვადასხვა ხასიათის წრეები, რომელშიაც ობს. ეწყობა ლექციები, საუბრები, სალი- მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარე- ტერატურო და ბოლიტ. გასამართლებები.

ათასეულში არსებობენ: სამხედრო-სამეცნიერო, ფიზკულტურის, ლიტერატურული, დრამატიული და მომღერალთა წრეები. წრეებს ხელმძღვანელობენ ჩვენი მეთაურები. წითელ არმიელნი დიდი ხალისით და ენერგიით მუშაობენ აღნიშნულ წრეებში.

ვ.

სასამართლო

განაჩენი ახვერდოვის საქმეზე.

შრომის სასამართლომ საქმეში დართულ მასალების და მოწმეთა ჩვენების მიხედვით, ახვერდოვის მიმართ წაყენებული ბრალდება სცნო დამტკიცებულად და მიუსაჯა მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და 1000 მან. ჯარიმა.

ქოქორიშვილის და ხატიაშვილის საქმე

ქოქორიშვილმა და ხატიაშვილმა, რომლებსაც სოლქო სასამართლომ მკვლელობის ჩადენისათვის დახვრეტა მიუსაჯა—საკასაციო საჩივარი შეიტანეს უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა პარასკევს, 23 აპრილს.

ქრონიკა

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის გადადება.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც უნდა გახსნილიყო 9 მაისს, გაიხსნება 16 მაისს.

ტრაქტორები მებამბეებს.

ახლო ხანში ა.-კ. მებამბეების კომიტეტი საზღვარგარეთიდან მიიღებს ბამბის სათეს 70 ტრაქტორს, რომლებიც განაწილებული იქნება ა.-კავკასიის ბამბის მეურნეთა შორის. ამჟამად მთელ ამიერ-კავკასიაში არის 150 ტრაქტორი, რომლებიც მუშაობენ ბამბის რაიონებში.

ნარმის შეძენა.

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირი ამ დღეებში მიიღებს რუსეთიდან 40 რონოდა ნარმას, რომელსაც გაუნაწილებს ადგილობრივ განყოფილებებს.

კონკურსი.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა გამოაცხადოს კონკურსი საუკეთესო საკრედიტო ამხანაგობაზე. ამ მიზნით დანიშნულია 3 ჯილდო—3.000, 2.000 და 1.000 მან. რაოდენობით.

ფართლეულობის შემოზიდვა.

საოპერაციო წლის დასაწყისიდან დღემდე საფეიქრო სინდიკატმა ამიერ-კავკასიაში ფართლეულობის შემოზიდვის გეგმა შეასრულა 83 პროც.

ფასები მატყლზე.

ა.-კ. სახალხო კომისარ[illegible] გაზაფხულის მატყლზე დააწესა შემდეგი ფასები: თუშურ მატყლზე 14 მან. ფუთი, ალ[illegible]—13 მან. ფ., ზაქათალის—12 მან., აზერბეიჯანის—10 მან. 80 კ. ფ., განჯის—9 მან. ფ., ყარაბაღის—7 მან. 50 კ., ნახიჩევანის—12 მ. 50 კ., მერინოსული მატყლი 35 მან. ფუთი და ნახევრად მერინოსულ მატყლზე—26 მან. 25 კ. ფუთი.

საბეჭდი მანქანები.

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთიდან მიიღო 350 საბეჭდი მანქანა „უნდერვუდის“ სისტემისა.

თამბაქოს დამზადება.

ა.-კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთ გასატანად დაამზადა აფხაზეთში 100.000 ფუთი თამბაქო.

სასოფლო - სამეურნეო გამოფენა.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი გერმანიაში იტყობინება, რომ ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თბილისში მონაწილეობას მიიღებს 52 გერმანული ფირმა, რომლებიც გამოფენენ 600.000 მანეთის ექსპონატებს—სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და ტრაქტორებს.

ამ ფირმებს გადაწყვეტილი აქვთ გამოფენაზე გამოცდილ მემანქანეების გამოგზავნა მანქანების საჩვენებლად და სათანადო განმარტებათა მისაცემათ.

ზარალი უკანასკნელ თოვლისაგან სომხეთში.

თოვლმა, რომელიც მოვიდა სომხეთში 5 და 6 აპრილს, სრულიად შეაჩერა მუშაობა მინდვრათ და განსაკუთრებით ბაღებში, სადაც სწარმოებდა ვაზების მასიური სხვლა.

სრულიად დაიღუპნენ ყვავილები ვარგარისა და ალუჩის, ვინაიდან ღამით ყინვა აღწევდა 4 გრადუსამდე. ფიქრობენ, რომ ვაზები და ნათესები არ უნდა იყვნენ დაზარალებულნი.

ცხვრის ფარაში, რომელიც ჩამორეკეს ბარში აბარანიდან და ეჩიდთა ზოგიერთ სოფლებიდან, საკვების უქონლობის გამო დაიღუპა დიდძალი ცხვრები და ბატკნები. სამაზრო აღმასკომის მიერ მიღებული ზომებით, ცხვრის ფარა თავმოყრილ და განაწილებულ იქნა ვაღარშაპატის მთებზე და მახლობელ სოფლების მიდამოებში.

წითელ ჯარში.

◆ **ჯარის ნაწილებში** დაიწყო წითელ-არმიელთა სამხედრო ცოდნის შემოწმება.

◆ **პოლიტიკური ცოდნა.** ჯარის ნაწილების უფროს შემადგენლობის პოლიტიკურად მომზადების მიზნით შემუშავებულია ახალი პროგრამები.

სხვადასხვა.

◆ **მუშკოოპის საშაქარლამო** ქარხანაში ამჟამად მუშაობს 53 მუშა. ქარხანასთან იწყობა ირისის დამმზადებელი განყოფილება.

◆ **ქუჩის უპატრონო ბავშვთა** დამხმარე სალაროში 19 აპრილამდე გამოწვევით შემოვიდა 6.184 მანეთი.

◆ **სასაკლაოს** დათვალიერება ექსკურსანტების მიერ შეიძლება მხოლოდ სამშაბათობით და პარასკეობით.

◆ **გაიხსნა ქალაქის** ფოსტის მეოთხე განყ. (რუსთაველის პრ. შრომის სასახლის შენობაში). ამანათებს ღებულობენ დილის 9 საათ. შუადღის 2 საათამდის და 5—7 საათ.

◆ **„პირველი მაისი“.** რედაქციამ მიიღო დ. თურდოსპირელის საყმაწვილო მოთხრობათა კრებული „პირველი მაისი“.

კრებები და მოხსენებები.

◆ **გეოგრაფიულ საზოგადოებაში.** ოთხშაბათს, 21 აპრილს, საქართველოს მუზეუმის დარბაზში. (შესავალი კალოუბნის ქუჩიდან), საღამოს 7 საათზე, შესდგება საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების მთასვლა - მგზავროსნობის განყოფილების წლიური საზოგადო კრება. მოხსენება მკურნალ ი. ასლანიშვილის: „მთასვლა-მგზავროსნობა საქართველოში უკანასკნელ წლებში“.

◆ **ექიმთა საზოგადოებაში** ხუთშაბათს, 22 აპრილს, სალ. 8 ს., მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საზოგადოების მორიგი კრება. **დღის წესრიგი:** ექ. აბაკელია—„შერეული ინფექცია ფილტვების ტუბერკულიოზის დროს“ და ახალი წესდების პროექტის განხილვის გაგრძელება.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ა. სპენდიაროვის მუსიკის კონცერტი.** ახლო ხანში ოპერის თეატრში გაიმართება კომპოზიტორ სპენდიაროვის მუსიკის სიმფონიური კონცერტი.

◆ **აღმოსავლურ მუსიკის საღამო.** 21 აპრილს პატარა თეატრში გაიმართება აღმოსავლურ მუსიკის დიდი საღამო ა. ოგანეზაშვილის მონაწილეობით.

◆ **ბარბალე ალექსი-მესხიშვილის** საგასტროლოთ ხვალ რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „უსახელო ქალი“.

◆ **ა. დანელიანის კონცერტი.** შაბათს 21 აპრილს რუსეთში გამგზავრების წინ კონსერვატორიაში გაიმართება მომღერალ ქალის ა. დანელიანის კონცერტი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ჩემი მეურნეობის საქმეში უკანონოდ მერევიან, როგორ მოვიქცე

კითხვა

მე ვარ ქვრივი. მყავს ოთხი ობოლი ბავშვი სარჩენად მაქვს 6 ქცევა მიწა. ამის წინად ჩამოვიდა ჩოხატაურში ერთი მუშაკი და მთხოვა: მიწა მე მომეცი იჯარით, შიგ თემისათვის ბაღი უნდა გავაკეთო და შენ სამაგიეროდ სიმინდ მოგცემო. მე უარი უთხარი. რადგან მე მიწა გაცემული მაქვს საყანედ პირობით, რომელსაც ორი წლის ვადა კიდევ აქვს, თუ დაარღვევ უმიზეზოდ პირობები და თუ მას საყანე ჩამოართვი ვადის გასვლამდის, იგი გადამახდევინებს ჯარიმას. ესეც რომ არ იყოს ჩემ სარგებლობაში მყოფ. მიწას მარტო საყანე მნიშვნელობა არა აქვს: შიგ მაქვს ნაშენი ესარგებლობ აბრეშუმისათვის თუთის ფოთლით, ნიგვზით, ყურძნით, წყნლით და სხვადასხვა ხეხილით.

ჩვენ 5 სულს სხვა არავითარი მასაზრდოებელი საშუალება არა გვაქვს.

ჩემი უარის შემდეგ ზემოაღნიშნულ მუშაკს უნდა ძალით ჩამომართვას ადგილი და ვითომც სამაგიეროდ უნდა მომცეს სხვა უვარგისი, მარტო საყანე მიწა, რომელშიც ხე სრულებით არ არის.

ამისათვის გთხოვთ ახსნა-განმარტებას მქონდა თუ არა უფლება მიწის იჯარით გაცემის და კანონიერია თუ არა აღნიშნული მუშაკის ასეთი მოთხოვნა და ძალადობის შემთხვევაში ვის მივმართო.

ქვრივი ნატალია.

პასუხი

მიწის კოდექსის მუხ. 26 და 27-ის თანახმად, ქვრივ დედაკაცს უშვილოს ან წვრილ ობლებიანს აქვს უფლება გასცეს მიწა იჯარით სამი წლის ვადით. ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელებული იქნეს ადგილობრივი რაიაღმასკომის მიერ ექვს წლამდე. რაც შეეხება მიწის მოსარგებლისათვის მიწის ჩამორთმევას, იგი უნდა მოხდეს მხოლოდ მიწის კოდექსის მუხ. 18, 19 და 20-ში გათვალისწინებული წესით მიწის მოსარგებლეს (მიწის მუშას) უნდა მიეცეს სხვა ბადალი მიწა და აუნაზღაურდეს ზარალი.

თუ კი თქვენ თქვენ საადგილ-მამულო უფლებებს დარღვეულად სცნობთ ვინმე „მუშაკის“ თქვენ მეურნეობის საქმეში უკანონოდ ჩარევით, გირჩევთ მიმართოთ ადგილობრივ სახალხო სასამართლოს სათანადო განცხადებით მიწის კოდექსის მუხ. 24-ის თანახმად.

ბინის რემონტის და ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობთ ორი სული ეძინის ქუჩა სახ. № 8-ში ერთ ოთახში, სივრცით 20 კვ. არ. ვართ კავშირის წევრნი. ერთი უმუშევარი. მეორე კი ღებულობს მე-6 კატეგორიით 45 მანეთს. ბინის ქირათ ვიხდით 3 მანეთს. მაგრამ დიასახლისი არ გვასვენებს, გვთხოვს მომატებას.

გთხოვთ განვვიმარტოთ, თუ რამდენი ერგება მას ბინის ქირად და შევვიძლია თუ არა მისი გამოქვითვა რემონტის ხარჯებში, რომელიც სჭირია ოთახს როგორც შიგნით, ისე სახურავზედაც?

(პროფ. კავშ. წ. № 97)

ა. ქ.—ძე.

პასუხი

ბინის ქირას გადაიხდის მხოლოდ ის, რომელიც იღებს ორმოცდა ხუთ მანეთს და თითოეულ კვადრატიულ არშინზე სამი კაპეიკის რაოდენობით. კაპიტალური რემონტის გაკეთება (როგორიცაა მაგ. სახურავის, პერ-იატაკის და დაზიანებული კედლების შეკეთება) თანახმად თბ. ქალ. აღმას. პრეზიდიუმის დადგენილება № 88-ის 1925 წ. იანვრიდან, ევალება სახლის პატრონს, და თუ თქვენ ასეთ რემონტს გააკეთებთ თქვენი ხარჯით და ალმასკომის ტეხნიკის მიერ დადასტურებულ ანგარიშს წარუდგენთ სახლის პატრონს, იგი ვალდებულია ასეთი ხარჯები ბინის ქირის ანგარიშში მიიღოს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ვინ არის წინააღმდეგი?

1-ლ ქართ. მსრ. ლეგ. მე-8-ე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

ჯიშკარიანი ესტატე, კერვალიძე არსენ, სარჯველაძე აკაკი, მურმანიძე სამსონ, ვეშაკური ისაკი, ურთმელაძე ვასილი, ლომაძე ზენია, პაპისმედოვი ილია, კოზანაშვილი კოტე, შახნაზაროვი რუბენ, ჩიკვაიძე ალექსი.

ზემოაღნიშნულ ამხანაგების მიმართ თუ ვინმეს რამე აქვს საწინააღმდეგო, უნდა აცნობონ ერთი კვირის განმავლობაში მე-3-ე ასეულს კომუჯრედში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის **კომიტეტის** აღმრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღმრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **ჩარკვიანთან:**

სევასტი აბრამის ძე მესხი, ბარბალე ალექსანდრეს ასული შუშიცკაია, გაიკ მელიქის ძე ერონსოვი, პ. მოტლი, ო. ბეხერი.

ოთხშაბათს, 21 აპრილს, საღამოს 6 საათზე. ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება **საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.**

დასწრება ქვემოდ აღნიშნულ ამხანაგებისა სავალდებულოა: ლოლობერიძე, მაშკვეიჩი; ინსტრუქტორები: კეკელია, მირიანოვი, ხაცკევიჩი, ტყაბლაძე, გაბუნია, მგალობლიშვილი და ცაგარელი ვ.; ვოლოსოვსკოი, ლიცინოვი, ჯაფარიძე ვ., გორდელაძე, ინსტრუქტორი ჩერქეზიშვილი, მეშველიანი, სვანიძე, მურუსიძე, მელნიკოვი; ინსტრუქტორები: ხუხუა, ცაბაძე, შოგირაძე, გოგლიძე, კარსაველი, მარქაროვი, ბეტროვი, აფციაური, ფანცხავა; მოწვეულნი არიან ამხ. ენუქიძე (რაჭიდან), ურუშაძე (ქიათურიდან) და ხელაძე (ჭიათურიდან).

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სთხოვს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **კვირიკაძესთან.**

1) სერგო ზურაბის ძე გურგენიძე. 2) ვლადიმერ სტეფანეს ძე სოტსკინი, 3) გიორგი მიხეილის ძე ონიაშვილი.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მეთაურთა სკოლის პარტუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადებები პარტ-კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

ორაგველიძე დავითი იოსების ძე, ჩხაიძე ვასილი რაჟდენის ძე, მარგიევ ზაურბეგი იაგორის ძე, ყუფარაძე კოლია.

თუ ვინმეს აქვს ამ ამხ. მიმართ პარტიაში მიღების შესახებ რამე საწინააღმდეგო, ერთი კვირის განმავლობაში უნდა აცნობონ ლეგიონის კომუჯრედში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 21 აპრილს, საღამოს 5 ნახ. საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება იმ კომისიის თათბირი, რომელსაც დაკისრებული აქვს მუშაობა [illegible] მომავალთა შორის.

თათბირს დაესწრებიან ქალაქის და სოფლის კავშირის (საშეფო საზოგადოებების) უჯრედთა ბიუროების მდივნები და წევრები.

„რემედასს“-ის მეორე რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 21 აპრილს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში (პლეხან. პრ. № 96) შესდგება „რემედასს“-ის რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები აუცილებლად უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად: მშველევი, გელაშვილი, პერცევი და სტრუხალინი.

ღრმად დამწუხრებული მშობლები მარიამი და ნიკოლოზი, დაიკო თინა პეიშვილები, ბებია მაკრინე და ბაბუა გრიგოლი მგალობლიშვილები, ამით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 19 აპრილს, ღამის 1 საათ. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ნათელიკო

ცხედრის გამოსვენება, დღეს, 21 აპრილს, საღამოს 4 საათ. ყოფილი სომხების სემინარიის შენობიდან, დაკრძალვა ნიკოლოზის (ვერის) სასაფლაოზე.

1—1 2230

გულ-დამწვარნი ბიძლები ანიჩკა და ნუცა, ბიძები აკაკი და იოსებ პეიშვილები ამით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 19 აპრილს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმისწული

ნათელა

ცხედრის დაკრძალვა დღეს, 21 აპრილს, საღამოს 4 საათზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1 2230

გულდათუთქულნი დედა ვარინკა წყალობას ასული, და [illegible] და ძმები: გიგა და პაიკა თავიანთ ცოლშვილებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 18 აპრილს ქალ. სიღნაღში ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

სერგო ემელიანეს ძე აივაზოვი

დაკრძალვა მოხდება 21 აპრილს, დღის, ნაშუადღევის 4 საათზე ქალ. სიღნაღში.

1—1 2226

ღრმად დამწუხრებულნი დები: ნადინკა ტერ-სტეფანოვისა, ქალინკა კარემუზოვისა, მანია ხერუმოვისა, არუსიაკ ფარსადანოვისა და ძმები: გიგა ტერ-სტეფანოვი, კოსტა ფარემუზოვი, საშა ხერუმოვი და ანდრონიკა ფარსადანოვი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 18 აპრილს, ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

სერგო მელქოს ძე აივაზოვი

დაკრძალვა მოხდება 21 აპრილს, ოთხშაბათს, 4 საათზე ქალ. სიღნაღში.

1—1 2226

სიღნაღის მაზრის აღმასკომის თამბაქოს ქარხანა „ალზიორა“-ს ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აცხადებენ, რომ ა. წ. 18 აპრილს ს. ანაგაში უდროოდ გარდაიცვალა მაზრის ერთგული მუშაკი

სერგო აივაზოვი

2235 1—1

სიღნაღის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მაღაზიის ღრმად დამწუხრებულნი თანამშრომლები აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ქალ. სიღნაღში ტრაგიკულად გარდაიცვალა აღნიშნულ მაღაზიის უანგარო და დაუვიწყარი ხელმძღვანელი ამხ.

სერგო ემელიანეს ძე აივაზოვი

დაკრძალვა მოხდება დღეს, 21 ამა აპრილს დღით, ნაშუადღევის 4 საათზე ქალ. სიღნაღში.

2225 1—1

ღრმად დამწუხრებული და ნინა ყანჩელი თავის შვილებით და ქმრით, ძმები გიგო და ვანო ქილაშვილნი თავიანთი ოჯახობით აუწყებენ ძვირფას და საყვარელ სიძის

ექიმ ნიკოლოზ იოსების ძე იაგულაშვილის

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე, გამოსვენება დღეს, 21 აპრილს, 4 ნახ. საათზე, კობის ქუჩა № 1.

2222 1—1

მე 12 შრომის სკოლის თანამშრომელნი და მოწაფენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ შაბათს, 17 აპრილს უეცრად გარდაიცვალა ბავშვების მეგობარი და საყვარელი ამხანაგი

ექიმი ნიკოლოზ იოსების ძე იაგულაშვილი

დაკრძალვა დღეს, 21 აპრილს, 4 ნახ. საათზე, საკუთარ ბინიდან კობის ქ. № 1, სოლოლაკის კათოლიკეთა სასაფლაოზე.

2228 1—1

მე-18-ტე შრ. სკ. პედაგოგიური საბჭო და მოწაფენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ამა წლის აპრილის 17 ს, უეცრად გარდაიცვალა ამავე სკოლის დაუფასებელი მუშაკი და ბავშვების საყვარელი მეგობარი

ექიმი ნიკოლოზ იოსების ძე იაგულაშვილი

დაკრძალვა დღეს, აპრილის 21-ს, დღის 4 ნახ. საათზე სოლოლაკში, კათოლიკეთა სასაფლაოზე.

1—1 2229

მე-13 შრომის სკოლის მოწაფეები, მასწავლებლები და მშობლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ შაბათს, 17 აპრილს, უეცრად გარდაიცვალა ამავე სკოლის საყვარელი და ერთგული ექიმი

ნიკოლოზ იოსების ძე იაგულაშვილი

პანაშვიდი ყოველდღე სალ. 7 საათზე. გამოსვენება ოთხშაბათს, 21 აპრილს, დღის 4 ნახ საათზე. კობის ქუჩა № 1.

2233 1—1

დღეს და ყოველდღე

მეჟრაბპომ-რუსის საუკეთესო სურათი

გამოშვებული 1926 წ.

აპოლლო
არტისტო
სოლეი

დათვური ქორწინება

მხატვრული დრ. 7 ნაწილად, პროლოგით.

პირველი კვირის განმავლობაში თეატრი ვერ იტევდა სურათის ნახვის მსურველებს.

ანონსი: ამ დღეებში კინო-თეატრებში **აპოლლო, სოლეი და არტისტო** **„ნამუსი“** შირვან-ზადეს რომანის მიხედვით

6. 972 0—18

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

50—30

ექიმი ი. დ. თოფურიძე

№ 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—1

საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი

ბალანსი

1926 წ. 1-ლ აპრილისთვის

აქტივი		პასივი	
1. კასა და სახელდახელო ანგ-შები	279 601—26	1. ძირითადი კაპიტალი	1.514.401—70
2. საფასენი	70.882—13	2. სხვა კაპიტალი	83.490—33
3. საქონელი	21.477—49	3. სპეც. თანხ. სამიზნო კრედიტ.	1.152.941—68
4. განაღდება და სპეც. სახელდ. ანგ. თამას.	240.898—87	4. სესხები	2.407.748—00
5. სესხები საქონლის დაგირავებით	960.459—75	5. გადანაღდება და გადაგირავება	239.576—77
6. სამიზნო სესხები	3.378.661—86	6. ანაბარები და სახელდ. ანგარიშები	492.090—99
7. კორესპონდენტები	330.827—90	7. კორესპონდენტები	67.696—81
8. კლიენტები და კომიტენტები საქონლის ოპერაც. და სხვადასხვა პირნი	1.069.956—57	8. კლიენტები და კომიტენტები საქონლის ოპერაც. და სხ. და სხ. პირნი	921.792—93
9. მონაწილეობა წარმოებებში	322.985—20	9. ანგარიში გამგეობასთან	1.245.101—18
10. ანგარიში განყოფილებებთან	1.245.290—56	10. სარგებელი და კომისია მიღებული და დარიცხული და სხვა შემოსავალი	235.844—40
11. ანგ. ცენტრ. სასოფლო-სამ. ბანკთან	6.817—84	11. სხვადასხვა პასივი	86.681—67
12. გაპროტესტებული თამასუქები და საეჭვო ვალები	170.187—15		
13. პროცენტები და კომისია დარიცხული და გადახდილი	68.922—01		
14. მიმდინარე ხარჯები	73.750—66		
15. სხვადასხვა აქტივი	206.347 21		
ბალანსი	8.447.066—46	ბალანსი	8.447.066—46

გამგეობის თავმჯდომარე **ან. ახმეტელი**

1—1 ნ. 1191 ს.ს.ს.რ. სასოფლო-სამეურნ. ბანკის გამგეობა **ი. ანდრონიკაშვილი** **გ. დუმბაძე.** მთ. ბუღალტერი **გ. ტოგონიძე.**

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. 25 აპრილს დღის 12 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის ინვალიდთა არტელის კლუბ „ქიმერიონ“-ს და იმყოფება მე-2 მილიციის უბ. რუსთველის გამზირი № 21 და შესდგება სხვადასხვა ზომის ხალიჩებიდან (ნოხები), დასაწერი მაგიდიდან და სხვა კლუბის და ბუფეტის მოწყობილობიდან როგორიც არის: სპილენძეული, დანა-ჩანგალი, ფრაქეულობა, საინები, მაგარი სასმელები და სხვ. შეფასებული 955 მან. 70 კაპ. რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

ქონება აწერილია სახალხო კვების კავშირის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 6 თებერვლის 1926 წ. თარიღით № 389 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემო-ნაჩვენ მისამართზე სადაც შეუძლიათ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დღეს.

2227 1—1

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. აპრილის 22 დღეს 1 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის იულია იგნატოვის და იმყოფება მე-10-ე მილ. უბ. ფეირეერკის ქ. № 11 და შესდგება საძეხვო ქარხნის მთელი მოწყობილობით, როგორიც მატორი და სხვადასხვა ძეხვების დასამზადებელი ელექტრონის მანქანებისაგან შეფასებულია 5.069 მან. რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვინაიდან საჯარო ვაჭრობა მეორეთ ინიშნება, შეიძლება ვაჭრობა დაიწყოს შემოძლეულ ფასიდან. ქონება აწერილია სურსათ გემოვნების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 15 მარტის 1926 წ. თარიღით № 921 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემო-ნაჩვენებ მისამართზე სადაც შეუძლიათ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დღეს.

2237 1—1

თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გებელაშვილი

აცხადებს რომ 24 აპრილს 1926 წ. დილის 11 საათზე, მე-11 სამილიციო უბანში, ობეროვის ქუჩ. № 9, მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ელენე ლუკას ასული არშანინოვის ერთ სართულიან სახლს, რომელიც შესდგება ოთხი ოთახისაგან, შუშაბანდიან ბალკონით, სამზარეულოთი და სარდაფით, აშენებული ნაკვეთ მიწაზე ზომით 106,5 კვ. საჟ. შეფასებული—1500 მანეთში, დასაკმაყოფილებლად ვალის ქუთაისის 26 კომუნართა სახელობის თუთუნის ქარხნისა, თანახმად ქუთაისის მე-2 უბნის სასამართ. განაჩენის ბძანებით წესით 21 ივლისის 1925 წ. № 2366; ვაჭრობა დაიწყება პირველ თავისუფალ ფასიდან და მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამარ. საპროც. კოდექ.

2236 1—1

პრაქტიკული ანგარიშისათვის აუცილებელი

ზომა-წონის

(ავტომატიურად)

გადამყვანი მანქანა

სწრაფად გადაჰყავს რუსული ზომა-წონა მეტრიულზე და პირიქით.

ყველასათვის მისაწვდომია ენერგიის და შრომის დაუხარჯავათ.

საჭიროა დაწესებულებათა, წარმოებათა, სამეურნეო დარგში მომუშავეთა, უმაღლეს სასწავლებლების და სკოლების მოსწავლეთა, დახლების მუშაკების და ყოველგვარ კანტორისათვის.

იგზავნება დაუყოვნებლივ შეკვეთის და 75 კაპეიკის მიღების შემდეგ. 3. მან. 75 კაპეიკამდე შეიძლება გამოგზავნილი იქნას მარკებით.

ამანათით იგზავნება 3 მან. და 75 კაპ. რაოდენობით.

გადაგზავნა და ჩალაგება ღირს 15 კაპ. 5 ცალზე მეტის შეკვეთის დროს გადაგზავნა და ჩალაგება უფასოა.

შეკვეთა და ფულები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ბ. ნეიტსკაია, № 9., რეკლამების ბიურო „ეკონომისტი“ — 30—2 ნ. 1164

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება.

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).

25—19

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი.

25—25

ექიმი ჯალალოვი

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5-დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ხიდის მახლობლად

22—1

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. [illegible] ქ. (ყოფ. საპიორის) № 3

25—8

ექიმი მ. ა. ლუკომსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—18

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56

25—1

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.

ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, [illegible] № 15. [illegible]

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა. პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

თვალის ექიმი მაევსკი

პლეხანოვის პროსპექტი (ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე. დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7 დან 8-დე.

25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულებანი სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 4—7 ს-დე. ქალების 6—7 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3.

2215 31—1

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახელმწ. ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.

2238 21—1

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარნოვის ქუჩა №18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—20

დაიკარგა 12 წლის ყმაწვილი სოსიკო მოსესოვი, რომელიც თვის წინათ ის მსახურობდა სოფ. ავლევში (გორის მ.) თედორე ნინოშვილთან. მნახველს ვსთხოვ შეატყობინოს და მიიღებს შესაფერ ჯილდოს შემდეგი მისამართით: ფოთის ქუჩა№38 იუსტინე მგრადოვს.

2224 1—1

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო პირადობის მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი და სამხანაგო ხელშეკრულება სასადილოს ამხანაგობის სერგო იოსების ძე [illegible] სახელზე, ჩ. გ.

2232 1—1

დაიკარგა მედსანშრომის საწევრო წიგნაკი, დაწნულვეგ სალაროს წიგნაკი და ლენინის მაზრიდან მოცემული ტეხნიკუმის მოწმობა ლეონტი ზელიონის სახელზე, ჩ. გ.

2231 1—1

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 10.157 გრიგოლ ჩაჩანიძის სახელზე, ჩ. გ.

2234 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68